# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 28 ნოემბერი 2000 №229 (1251) | ფასი 50 თეთრი




# «არსენალს» ქართული მადა ემცხეთა

## ვინ ჩაშალა ხიზანიშვილის ტრანსფერი?



ბადრი კოიოლაძის ფოტო

**ლონდონის** „არსენალმა" ზურაბ ხიზანიშვილის ტრანსფერისადმი ინტერესი დაკარგა — 25 ნოემბრის „ტორპედო" — „ლოკომოტივს" ლონდონური კლუბის მთავარი სკაუტი სტივ როული არ დასწრებია.

— თუ როული 25 ნოემბერს არ ჩამოვიდა, ჩათვალეთ, ზურაბ ხიზანიშვილის „არსენალში" გადასვლა გამორიცხულია — უთხრა „სარბიელს" ორიოდ კვირის წინ რკინიგზის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ და „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა აკაკი ჩხაიძემ.

როული არ ჩამოვიდა, რადგან ლონდონის „არსენალმა" მოლაპარაკების გაგრძელება იუარა — დაგვიდასტურა გუშინ თავად ხიზანიშვილმა.

„არსენალმა" უარი თქვა. სამაგიეროდ, „ლოკომოტივის" თავკაც რევაზ ძოძუაშვილის ვაჟმა მიხეილმა, რომელიც ლატვიური რიგის „სკონტის" მენეჯერია, საქართველოში იტალიელი მაურიციო პევერალი დაპატიჟა.

პევერალი, უმცროსი ძოძუაშვილის თქმით, ძირითადად ინგლისურ კლუბებთან მომუშავე ფიფას ლიცენზირებული აგენტია, ქუთაისურ მატჩს კი ზურაბ ხიზანიშვილზე და ლევან სილაგაძეზე დასაკვირვებლად დაესწრო.

თბილისის „ლოკომოტივის" 19 წლის მცველი საშაბათო მატჩის მეათე წუთზევე სერიოზულად დაშავდა. ხიზანიშვილს უკნიდან ზურაბ იონანიძე ეუხეშა, ტაიმნახევარი ტრავმირებულმა ითამაშა და 64-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა.

— სერიოზული ტრავმაა. კოჭი გადაბრუნებული და აქილევსის მყესი დაზიანებული მაქვს. აკადემიკოს ბიჭიკო ასკურავასთან ვმკურნალობ, მაგრამ რამდენ ხანში მოვმჯობინდები, ჯერ არ ვიცი — გვითხრა გუშინ საღამოს იმედგაცრუებულმა ზურაბ ხიზანიშვილმა.

საქმე რომ გაჭინაურდება, სასიკეთო ბოლო ძნელად უჩანს ხოლმე. „სარბიელი" ადრევე ვარაუდობდა, რომ როულის ჩამოუსვლელობა მხოლოდ პიკეტებზე დამწვარ საბურავებზე და „ფოლადის" სტადიონის უვარგის გაზონზე არ ეკიდა. მაგრამ ხიზანიშვილის ტრანსფერის თავზე ასე შავი ღრუბლების თავშეყრას მაინც ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. რატომ? საამისო მიზეზი არაერთია და, მათზე თანმიმდევრობით ქვემოთ ვთქვათ. მანამდე კი იმის გარკვევა ვცადოთ, ვინაა თითქოსდა სტივ როულის ნაცვლად ჩამოსული მაურიციო პევერალი.

— ბევრს დავდივარ, კარგ ფეხბურთელებს ვეძებ. საქართველოში ჩემი ჩამოსვლის მიზანიც ინგლისური კლუბების შესაფერი მოთამაშეების პოვნაა. დღევანდელი მატჩი და რამდენიმე ფეხბურთელი მომეწონა. მათ კიდევ დავაკვირდები და ვნახოთ.


მაურიციო პევერალის და ზურაბ ხიზანიშვილის ინტერვიუ იხილეთ მეორე გვერდზე


# ირაკლი მეძმარიაშვილი: ელოდეთ ცვლილებებს!

## საკადროს, სტრუქტურულს, პროგრამულს, პრიორიტეტულს

ირაკლი მეძმარიაშვილი სპორტის დეპარტამენტში თავმჯდომარის რანგში პირველად გუშინ მივიდა. შაბათს მან იმერეთის გუბერნატორ თემურ შაშიაშვილს თხოვნა შეუსრულა და „ტორპედო" — „ლოკომოტივის" თამაშზე ქუთაისში ესტუმრა. შაბათსვე საქართველოს ხელბურთის ასოციაციის ყრილობაც უნდა გამართულიყო. დასწრების სურვილი მეძმარიაშვილმაც გამოთქვა და რადგან იმ დღეს არ ეცალა, მისი თხოვნით ყრილობა კვირისთვის გადაიტანეს. ის დამთავრდა და დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ „სარბიელთან" სასაუბროდაც მოიცალა.


იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი


საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

# 15 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 15 | 12 | 1 | 2 | 30:7 | 37 |
| ტორპედო | 15 | 11 | 3 | 1 | 23:5 | 36 |
| დინამო | 15 | 11 | 1 | 3 | 39:13 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 4 | 3 | 21:11 | 28 |
| კოლხეთი | 15 | 6 | 3 | 6 | 14:14 | 21 |
| ბათუმი | 15 | 6 | 2 | 7 | 18:19 | 20 |
| მერანი | 15 | 4 | 6 | 5 | 14:17 | 18 |
| სიონი | 15 | 4 | 4 | 7 | 12:22 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 6 | 6 | 13:20 | 15 |
| თსუ | 15 | 4 | 2 | 9 | 15:27 | 14 |
| დილა | 15 | 3 | 3 | 9 | 9:25 | 12 |
| იბერია | 15 | 0 | 1 | 14 | 3:31 | 1 |


იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები


25 ნოემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| სიონი | 1 |
| ბათუმი | 1 |
| გორდა | 3 |
| დილა | 0 |
| იბერია | 0 |
| მერანი | 2 |
| დინამო | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| ტორპედო | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |
| თსუ | 0 |
| კოლხეთი | 0 |

# უგოლო ვნებანი

შაბათის ქუთაისურმა მატჩმა, რომელმაც უაზრო ვნებათაღელვაში ჩაიარა და უგოლო ფრით მორჩა, ჩემპიონატის ლიდერი ვერ გამოუცვალა და ვერც დაწინაურებულთა შორის სხვაობა შეამცირა. სამაგიეროდ, „ვიტ ჯორჯიას" 4:0 მძლეველი ექსჩემპიონი თბილისის „დინამო" ამჟამინდელ ჩემპიონს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება, თასის მფლობელ „ლოკომოტივს" კი სამით. ამ მარცხის მერე მწვრთნელგამოცვლილ ვიტელებთან დინამოელებს წლეულსვე ორჯერაც მოუწევთ თასის მეოთხედფინალში შეხვედრა.

## ჰოლანდია

XIV ტური

### ფეიენოორდი 1:0 ტილბურგი

1:0 ტომასონი (9)

### ტვენტე 3:0 გრონინგენი

1:0 ჰუვინგი (78), 2:0 დე ვიტე (88), 3:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (90)

### პსვ ეინდჰოვენი 2:1 ბრედა

1:0 პენდერსი (22ს.კ.), 2:0 კეჟმანი (79), 2:1 პენდერსი (81)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ჰოფლანდი, ნიკიფოროვი, ჰაინცე, ვან ბომელი, ვოგელი, რამზი (რომედალი 46), კოლკა, ბრუგინკი (დე იონგი 81), კეჟმანი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

31 000 მაყურებელი

### ნაიმეგენი 0:0 ჰერენვენი

### უტრეხტი 2:1 აიაქსი

1:0 რობმონდი (35), 1:1 პასანენი (57), 2:1 გლუშევიჩი (80)

აიაქსი: გრიმი, დე კლერი, პასანენი, კოვუ, ბერგდოლმო, ვინტერი (ჰერსი 46), გალაშეკი, ვან დერ გუნი, ვან დერ ვაარტი, შ. არველაძე (ლობონტი 18), ვამბერტო (ვან დერ მეიდე 77)

მწვრთნელი: კო ადრიანსე

გაძევება: გრიმი (17, აიაქსი)

14 200 მაყურებელი

### როზენდალი 0:4 როდა

0:1 ვან დერ ლუერი (30), 0:2 სოტერსი (36), 0:3 ლავალი (45), 0:4 სონკო (89)

### გრააფსხაპი 5:1 სიტარდი

1:0 ვისკაალი (27), 2:0 პრომესი (44), 3:0 დენ ტურკი (58), 3:1 ავერდიკი (61), 4:1 დენ ტურკი (75), 5:1 მეერდინკი (82)

### ალკმარი 1:1 სპარტა

1:0 ნელისე (56პ), 1:1 მარბუში (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 12 | 10 | 1 | 1 | 30:11 | 31 |
| პსვ | 13 | 9 | 3 | 1 | 23:9 | 30 |
| ვიტესი | 13 | 9 | 2 | 2 | 29:18 | 29 |
| აიაქსი | 14 | 7 | 3 | 4 | 30:18 | 24 |
| როდა | 13 | 7 | 3 | 3 | 28:19 | 24 |
| ნაიმეგენი | 14 | 5 | 8 | 1 | 23:15 | 23 |
| ვალვაიკი | 13 | 6 | 4 | 3 | 15:10 | 22 |
| ტვენტე | 14 | 5 | 5 | 4 | 25:23 | 20 |
| ალკმარი | 13 | 6 | 2 | 5 | 24:22 | 20 |
| ბრედა | 13 | 5 | 2 | 6 | 20:21 | 17 |
| უტრეხტი | 14 | 4 | 3 | 7 | 23:29 | 15 |
| ტილბურგი | 13 | 3 | 5 | 5 | 19:20 | 14 |
| ჰერენვენი | 12 | 3 | 5 | 4 | 13:18 | 14 |
| გრააფსხაპი | 15 | 4 | 1 | 10 | 23:29 | 13 |
| გრონინგენი | 14 | 3 | 3 | 8 | 18:28 | 12 |
| სპარტა | 13 | 2 | 4 | 7 | 18:28 | 10 |
| როზენდალი | 14 | 3 | 0 | 11 | 21:39 | 9 |
| სიტარდი | 13 | 0 | 4 | 9 | 7:32 | 4 |

## თურქეთი

მე-14 ტური. გალათასარაი — ფენერბაჰჩე 0:0; ქოჯაელი — იოზგათი 2:2; ბურსა — რიზე 2:1; გაზიანთეფი — დენიზლი 1:1; გენჩლერბირლიგი — იეთფა 2:0; ისთანბული — ბეშიქთაში 2:3; სამსუნი — ანთალია 4:2; ერზურუმი — ადანა 2:0; ტრაბზონი — ანკარაგიუჯიუ 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 14 | 11 | 1 | 2 | 35:19 | 34 |
| გალათასარაი | 13 | 9 | 2 | 2 | 32:10 | 29 |
| ფენერბაჰჩე | 14 | 9 | 2 | 3 | 33:17 | 29 |
| გაზიანთეფი | 14 | 8 | 5 | 1 | 29:15 | 29 |
| ტრაბზონი | 14 | 7 | 4 | 3 | 29:18 | 25 |
| გენჩლერბირ. | 14 | 7 | 3 | 4 | 17:14 | 24 |
| სამსუნი | 14 | 6 | 4 | 4 | 23:19 | 22 |
| ისთანბული | 14 | 6 | 4 | 4 | 20:18 | 22 |
| ანკარაგიუჯიუ | 14 | 5 | 5 | 4 | 21:23 | 20 |
| ანთალია | 13 | 5 | 4 | 4 | 18:19 | 19 |
| იოზგათი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:18 | 17 |
| დენიზლი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:26 | 16 |
| რიზე | 14 | 3 | 4 | 7 | 14:17 | 13 |
| ბურსა | 14 | 3 | 3 | 8 | 15:31 | 12 |
| ადანა | 14 | 2 | 5 | 7 | 19:26 | 11 |
| ერზურუმი | 14 | 3 | 2 | 9 | 16:31 | 11 |
| ქოჯაელი | 14 | 0 | 5 | 9 | 10:26 | 5 |
| იეთფა | 14 | 0 | 4 | 10 | 15:35 | 4 |

## საბერძნეთი

მე-8 ტური. პანილიაკოსი — ირაკლისი 1:2; იონიკოსი — პანიონიოსი 2:2; ეთნიკოსი — არისი 1:0; ოფი — ათინაიკოსი 5:3; პანაჰაიკი — კალამატა 3:2; პანათინაიკოსი — ქსანტი 3:0; აეკ — იანინა 4:2; პაოკ — ოლიმპიაკოსი 2:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 8 | 6 | 2 | 0 | 26:7 | 20 |
| ირაკლისი | 8 | 5 | 2 | 1 | 12:5 | 17 |
| პანათინაიკოსი | 8 | 4 | 4 | 0 | 13:5 | 16 |
| აეკ | 8 | 5 | 1 | 2 | 17:12 | 16 |
| ქსანტი | 8 | 4 | 3 | 1 | 8:6 | 15 |
| ეთნიკოსი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:16 | 14 |
| არისი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:8 | 13 |
| იონიკოსი | 8 | 3 | 3 | 2 | 14:12 | 12 |
| პაოკ | 8 | 2 | 4 | 2 | 13:14 | 10 |
| პანიონიოსი | 8 | 1 | 5 | 2 | 9:12 | 8 |
| პანაჰაიკი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:17 | 7 |
| კალამატა | 8 | 1 | 3 | 4 | 11:15 | 6 |
| ათინაიკოსი | 8 | 2 | 0 | 6 | 10:19 | 6 |
| იანინა | 8 | 1 | 2 | 5 | 11:16 | 5 |
| ოფი | 8 | 1 | 2 | 5 | 9:16 | 5 |
| პანილიაკოსი | 8 | 0 | 3 | 5 | 3:13 | 3 |

## ბელგია

XIV ტური

### ბრიუგე 2:0 ანტვერპენი

1:0 ვერჰეინი (67), 2:0 ვერმანტი (77)

### აალსტი 1:1 ბევერენი

0:1 აიმსხოტი (68), 1:1 ტიბო (77)

აალსტი: კუიოვიჩი, ვან ჰაუვეგენი, ობენი, ფილიპოვიჩი, კესტენსი, რეიჯელი (ჰერმანსი 75), ტემერმანი, ვან დენ ბოში, იაკობსი, როჟერიო, ტიბო

მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი

12 000 მაყურებელი

### მეხელენი 4:3 შარლერუა

1:0, 2:0 გებელენი (1, 17), 3:0 ვან ჰუტი (47), 3:1 ედუარდო (49), 4:1 გებელენი (60), 4:2 ომელიანოვიჩი (78), 4:3 დუფერი (85)

### მუსკრონი 4:3 ჰარელბეკე

1:0 მიხალ ჟევლაკოვი (8), 1:1 ტომპსონი (23), 1:2 ეიოლფსონი (30), 2:2 მარჩინ ჟევლაკოვი (43), 2:3 დიატელი (55), 3:3 იესტროვიჩი (60პ), 4:3 მარჩინ ჟევლაკოვი (68)

### სენტ ტრუიდენი 1:2 ვესტერლო

0:1 ბოეკა-ლისასი (2), 1:1 ტეპერსი (11), 1:2 ბოეკა-ლისასი (77პ)

### ლოკერენი 1:1 გენტი

0:1 იოლი (31), 1:1 იანსენსი (90)

### ლუვიე 0:2 ლიერსი

0:1 ვან მეირი (1), 0:2 პეპა (60)

ლიერსი: ვან დერ სტრატენი (დემანი 62), შეყილაძე, ჰოფკენსი, ლაერემანსი, კლაესი, ლეენი, სომერსი, კავენსი, სნოექსი, ვან მეირი (დაემსი 46), პეპა (სპიტერი 66)

მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

10 000 მაყურებელი

### ბეერსხოტი 0:1 ანდერლეხტი

0:1 კოლერი (74)

### სტანდარდი 2:1 გენკი

0:1 ჰენდრიქსი (70), 1:1 აარსტი (75), 2:1 ლუკუნკუ (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 14 | 14 | 0 | 0 | 53:8 | 42 |
| ანდერლეხტი | 14 | 11 | 3 | 0 | 43:13 | 36 |
| სტანდარდი | 14 | 9 | 3 | 2 | 37:16 | 30 |
| მუსკრონი | 14 | 8 | 1 | 5 | 32:17 | 25 |
| გენტი | 14 | 7 | 3 | 4 | 28:23 | 24 |
| შარლერუა | 14 | 8 | 0 | 6 | 25:29 | 24 |
| ლიერსი | 14 | 7 | 2 | 5 | 25:21 | 23 |
| ვესტერლო | 13 | 6 | 3 | 4 | 22:22 | 21 |
| ბეერსხოტი | 14 | 6 | 0 | 8 | 21:22 | 18 |
| ლოკერენი | 14 | 4 | 6 | 4 | 14:21 | 18 |
| ბევერენი | 14 | 4 | 4 | 6 | 12:27 | 16 |
| გენკი | 14 | 3 | 6 | 5 | 16:16 | 15 |
| ანტვერპენი | 14 | 4 | 1 | 9 | 13:23 | 13 |
| სტ. ტრუიდენი | 14 | 3 | 3 | 8 | 16:26 | 12 |
| აალსტი | 14 | 3 | 3 | 8 | 17:34 | 12 |
| მეხელენი | 13 | 2 | 3 | 8 | 19:31 | 9 |
| ლუვიე | 14 | 1 | 4 | 9 | 11:29 | 7 |
| ჰარელბეკე | 14 | 2 | 1 | 11 | 19:45 | 7 |

## დანია

მე-16 ტური. ოდენსე — ოლბორგი 2:3; ორჰუსი — სილკებორგი 1:2; მიდტიულანდი — ვიბორგი 3:5; ლიუნგბიუ — აკადემისკი 2:4; კოპენჰაგენი — ჰადერსლევი 4:0; ჰერფიოლგე — ბრონდბიუ 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 18 | 10 | 3 | 5 | 46:23 | 33 |
| სილკებორგი | 18 | 8 | 8 | 2 | 27:23 | 32 |
| ვიბორგი | 18 | 9 | 4 | 5 | 31:18 | 31 |
| ლიუნგბიუ | 18 | 10 | 1 | 7 | 30:32 | 31 |
| კოპენჰაგენი | 18 | 8 | 6 | 4 | 30:16 | 30 |
| მიდტიულანდი | 18 | 8 | 6 | 4 | 31:25 | 30 |
| ოდენსე | 18 | 8 | 2 | 8 | 29:23 | 26 |
| ოლბორგი | 18 | 7 | 4 | 7 | 28:30 | 25 |
| ორჰუსი | 18 | 6 | 2 | 10 | 27:36 | 20 |
| ჰერფიოლგე | 18 | 4 | 5 | 9 | 23:37 | 17 |
| აკადემისკი | 18 | 3 | 7 | 8 | 24:29 | 16 |
| ჰადერსლევი | 18 | 1 | 4 | 13 | 18:52 | 7 |

## ჩეხეთი

მე-16 ტური. ბლშანი — დრნოვიცე 0:0; პრჟიბრამი — სპარტა 1:1; ბუდეიოვიცე — პლზენი 4:3; იაბლონეცი — ბოჰემიანსი 1:0; ჟიჟკოვი — ლიბერეცი 2:0; სიგმა — ტეპლიცე 3:1; ბრნო — ბანიკი 1:0; სლავია — სინოტი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 15 | 12 | 1 | 2 | 39:13 | 37 |
| ტეპლიცე | 15 | 8 | 3 | 4 | 27:16 | 27 |
| პრჟიბრამი | 16 | 7 | 4 | 5 | 24:18 | 25 |
| სინოტი | 16 | 6 | 7 | 3 | 24:18 | 25 |
| ლიბერეცი | 16 | 7 | 3 | 6 | 24:22 | 24 |
| სიგმა | 14 | 6 | 5 | 3 | 24:14 | 23 |
| ჟიჟკოვი | 15 | 6 | 4 | 5 | 23:23 | 22 |
| სლავია | 13 | 5 | 5 | 3 | 16:13 | 20 |
| ბოჰემიანსი | 16 | 4 | 7 | 5 | 20:20 | 19 |
| იაბლონეცი | 16 | 4 | 7 | 5 | 15:21 | 19 |
| ბლშანი | 15 | 4 | 5 | 6 | 16:18 | 17 |
| დრნოვიცე | 16 | 4 | 5 | 7 | 14:19 | 17 |
| ბუდეიოვიცე | 15 | 3 | 6 | 6 | 18:29 | 15 |
| ბანიკი | 16 | 3 | 6 | 7 | 14:28 | 15 |
| ბრნო | 14 | 4 | 2 | 8 | 14:19 | 14 |
| პლზენი | 16 | 1 | 6 | 9 | 13:34 | 9 |

## პორტუგალია

თასის IV ეტაპი

ლეირია — ამადორა 1:1; ფარენსე — იმორტალი (II) 2:1; მადეირა (II) — სალგეიროში 3:0; პორტუ — ატლეტიკო (II) 2:1; მორეირენსე (II) — გიმარაეში 4:3; ფატიმა (II) — ბელენენსეში 0:1; მარიტიმუ — კასა პია (II) 3:0; ჟილ ვისენტე — ბარეირენსე (II) 1:0; ავეში — ვასკუ და გამა (III) 7:2; ფუტბოლ ბენფიკა (III) — პასუშ ფერეირა 0:1; ნავალი (II) — რიუ ავე (II) 0:2; ოვარენსე (II) — ფელგუეირაში (II) 1:2; აკადემიკა (II) — ლეიშესი (II) 1:2; ლულეტანუ (II) — სეტუბალი (II) 3:1; ლეცა (II) — ლიშა (III) 2:1; ვარზიმი (II) — აგიას კამარატე (III) 4:0; მარინენსე (II) — ფეირენსე (II) 0:1; გონდომარი (II) — ოლივერენსე (II) 0:0; ინფესტა (II) — კალდასი (II) 3:0; ფამალიკაუ (II) — კოვილია (II) 1:0; პენალვა (III) — ბრაგანკა (II) 1:2დ.დ. (1:1); საკავენენსე (III) — პენაფიელი (II) 0:1; ალვერკა — ლუსიტანუ (II) 2:1; ბრაგა — ეშტორილ პრაია (II) 1:2; ბოავიშტა — ფრეამუნდე (II) 6:1; კამპომაიორენსე — ბენფიკა 0:1; უნიაო ლამაში (II) — სპორტინგი 0:3

## ავსტრია

21-ე ტური. ავსტრია — ზალცბურგი 1:1; ბრეგენცი — გრაცერი 1:0; შტურმი — ადმირა 3:1; ტიროლი — რიდი 3:1; ლინცერი — რაპიდი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 20 | 12 | 4 | 4 | 40:16 | 40 |
| ავსტრია | 22 | 11 | 5 | 6 | 37:21 | 38 |
| რაპიდი | 20 | 10 | 6 | 4 | 37:24 | 36 |
| ზალცბურგი | 20 | 9 | 5 | 6 | 31:25 | 32 |
| გრაცერი | 20 | 9 | 3 | 8 | 28:26 | 30 |
| შტურმი | 20 | 9 | 2 | 9 | 36:29 | 29 |
| რიდი | 20 | 8 | 5 | 7 | 34:30 | 29 |
| ბრეგენცი | 22 | 6 | 4 | 12 | 28:43 | 22 |
| ადმირა | 21 | 4 | 4 | 13 | 17:50 | 16 |
| ლინცერი | 21 | 3 | 6 | 12 | 22:46 | 15 |

# ოთხი ამბავი ბარსელონიდან

„ბარსელონაში" სიახლეებია. ამბავი პირველი: გუნდს დაახლოებით ორი თვით მეკარე ფრანსისკ არნაუ დააკლდება. ესპანელმა უეფას თასის შეხვედრაში „ბრიუგესთან" მუხლის მყესები დაიზიანა და იძულებული გახდა მოედანი დაეტოვებინა, მის ნაცვლად კი კარში რიშარ დუტრუელი ჩადგა. ისიც ალვნიშნოთ, ფრანგი მეკარე ჩემპიონთა ლიგაში „ლიდსთან" დაშვებული შეცდომისა და გაშვებული გოლის შემდეგ ძირითადში აღარ გამოჩენილა. ახლა არნაუს ტრავმამ სერა ფერერს იძულებითი ნაბიჯი გადაადგმევინა — დუტრუელი კვლავ უნდა ათამაშოს. სხვა არჩევანი მწვრთნელს არ დარჩენია: „ბარსელონაში" მეტი ჯანმრთელი მეკარე აღარ ირიცხება და ვაი სერა ფერერის და „ბარსელონას" ბრალი, თუ ახლა დუტრუელსაც ეტკინა რამე.

ამბავი მეორე: კატალონიიდან შეიძლება ფრანკ დე ბური წავიდეს. ამაოდ ცდილობს იგი „ბარსას" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას. ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, ფრანკი შესაძლოა ტყუპისცალ რონალდის გზას გაუდგეს, რომელიც „რეინჯერსში" ჩაირიცხა.

ამბავი მესამე: კატალონიელთაგან იმავე „რეინჯერსში" მოთამაშე ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა მიიღო მიწვევა. ამბობენ, ჰოლანდიელი ნახევარმცველი სეზონის დასრულების შემდეგ „აიბროქსს" დატოვებს და „კამპ ნოუზე" გადავაო. ერთ-ერთ სააგენტოს შესაძლო გარიგების ფინანსური დეტალებიც შეუტყვია და იუწყება, სატრანსფერო თანხა 9 მილიონი გირვანქააო, თუმცა იქვე დასძენს, „ბარსელონას" გარდა ვან ბრონკჰორსტს „ჩელსი" და „რომაც" იწვევენო. „ბარსელონაში" მართლაც მეპატიჟებიან — ადასტურებს ვან ბრონკჰორსტი — ვიმედოვნებ, რომ „რეინჯერსი" უპრობლემოდ გამიშვებს, რადგან ეს ყველასთვის ხელსაყრელი გარიგება იქნება". 25 წლის ჰოლანდიელი ამჟამად დაშავებულია, რის გამოც კვირას გლაზგოურ დერბიში ვერ ითამაშა. ექიმები ვარაუდობენ, რომ იგი მოედანს დეკემბრის შუა რიცხვებისთვის დაუბრუნდება.

დაბოლოს, ამბავი მეოთხე: „ბარსელონას" „ინტერიდან" ალვარო რეკობას ყიდვაც სურს. რა ხანია, ურუგვაელის „სან სიროდან" წასვლაზე ლაპარაკობენ. ფორვარდის მსურველ კლუბებსაც ასახელებენ: „მანჩესტერ იუნაიტედი", „მილანი" და „იუვენტუსი". ახლა ამათ „ბარსელონაც" შეემატა. არაოფიციალური ინფორმაციით, თუ რეკობა კატალონიაში გადავა, „ბარსა" მას კვირაში 50 ათას გირვანქას გადაუხდის.

# ტოიოტას დღე

გემოვნების ამბავია, მაგრამ წელიწადში ერთხელ ფეხბურთის ქომაგები ყველა სხვა მანქანას „ტოიოტას" ამჯობინებენ.

მრავალმა წელმა განვლო, სანამ იაპონური კონცერნი საკონტინენტთაშორისო თასის საკუთარი სახელობის თასად მოხსენიებას დაამკვიდრებდა, ისტორია კი ასე დაიწყო:

უეფას გენერალურმა მდივანმა ანრი დელონემ წერილი გაუგზავნა კონმებოლელ კოლეგას. იგი წერდა, ჩვენი ჩემპიონები დავაჯახოთ და გამარჯვებულს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ტიტული ვარგუნოთო. ამ აზრმა გაიმარჯვა, ისევე როგორც ცოტა მოგვიანებით დელონეს სხვა იდეამ ევროპის ჩემპიონატის ჩატარების შესახებ.

40 წლისა და 24 დღის წინ „რეალმა" პუშკაშის, დი სტეფანოს, ერერასა და ხენტოს გოლებით დაამარცხა ურუგვაის „პენიაროლი" და მსოფლიოს პირველი ჩემპიონი გახდა. მას შემდეგ კიდევ 37-ჯერ გაიმართა ჩემპიონთა ბრძოლა, ორჯერ კი გუნდებმა უარი თქვეს შერკინებაზე.

ბრძოლა ვახსენეთ და ზოგჯერ თამაში მართლაც ბრძოლად იქცეოდა ხოლმე. თუნდაც 1969 წელს, როცა არგენტინული „ესტუდიანტესისა" და „მილანის" მატჩის შემდეგ სამი არგენტინელი ფეხბურთელი ზღვარგადასული უხეშობისთვის ციხეში მოხვდა.

დღეს, როცა თბილისში 14 საათი შესრულდება, ტოკიოში საჩემპიონო ბრძოლა დაიწყება — ჩემპიონთა ლიგის მომგები „რეალი" ლიბერტადორესის თასის მფლობელ „ბოკა ხუნიორსს" დაუპირისპირდება.



რობერტო კარლოსი „რეალის" გუშინდელ ვარჯიშზე

ვინ ვის? „რეალი" „ბოკა ხუნიორსს" თუ პირიქით? პასუხის მისაღებად დიდი ხნის ლოდინი არ დაგვჭირდება და დღესვე შევიტყობთ, იქამდე კი მეტოქეებს გადავავლოთ თვალი.

ზოგადად ის შეიძლება ითქვას, რომ ევროპელი გრანდი სამხრეთამერიკელზე ტიტულიანია: „რეალმა" 27-ჯერ მოიგო პრიმერადივიზიონი, რვაჯერ ჩემპიონთა და ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი. „ბოკა" 15-ჯერ გამხდარა არგენტინის ჩემპიონი, სამჯერ იყო უძლიერესი სამხრეთ ამერიკაში და საკონტინენტთაშორისო თასსაც ერთხელ ფლობდა. ამასთანავე „რეალს" ბევრად მეტი ქომაგი ჰყავს მთელ მსოფლიოში (ფლორენტინო პერესს თუ ვერწმუნებით, 80 მილიონი). სამაგიეროდ, ბუენოსაირესელები კლუბის ყველაზე ცნობილ გულშემატკივარზე მიგითითებენ — დიეგო არმანდო მარადონა.

ფეხბურთელებს თუ ჩამოვთვლით, უპირატესობა აქაც ესპანელთა მხარესაა — ობიექტურად „რეალს" უფრო ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტოიოტას თასს აუცილებლად რეალი მოიგებს. ბოლოს და ბოლოს, ბურთი მრგვალია...

მადრიდის „რეალზე" ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი ვიცით, ამიტომ მეტი ადგილი „ბოკა ხუნიორსს" დავუთმოთ.

90-იანი წლების დასაწყისში „ბოკას" მძიმე დრო დაუდგა და საშუალოზე დაბალი დონის კლუბად იქცა. ვინ აღარ ცდილობდა მის ხსნას, ერთხანს იქ კარლოს ბილარდოც მუშაობდა, მაგრამ უშედეგოდ.

კლუბში ყველაფერი ახალი პრეზიდენტის მისვლის შემდეგ შეიცვალა. მილიონერმა ბიზნესმენმა მაურისიო მარსიმ კარლოს ბიანკის დაადგა თვალი, რომელიც მაშინ „ველეზ სარსფილდს" წვრთნიდა და ერთიმეორეს მიყოლებით იგებდა ტიტულებს. სხვათა შორის, 1994 წელს საკონტინენტთაშორისო თასზე ბიანკის „ველეზმა" „მილანი" დაამარცხა და მას შემდეგ სამხრეთამერიკელებს ეს ჯილდო აღარც მოუგიათ.

19 ნოემბერს, როცა „რეალი" ჩემპიონთა ლიგაში „ლიდსთან" სათამაშოდ ემზადებოდა, ბუენოს აირესის „ესეისას" აეროპორტში ათასზე მეტი გულშემატკივარი „ბოკას" ტოკიოში აცილებდა. არგენტინელებს უპირველესად მარტინ პალერმოს იმედი აქვთ, რომელიც დღეს ძველი, ტრავმამდელი სახელის დაბრუნებას შეეცდება. გასული სეზონის დასაწყისში ნახევარი სერია ფ ლამობდა მის გადაბირებას, მაგრამ მუხლის ოპერაციამ და ფეხბურთისგან შვიდთვიანმა ჩამოშორებამ ბევრი რამ შეცვალა.

არგენტინელები თავიანთ კოლუმბიურ ტრიოშიც — მეკარე ოსკარ კორდობა, ცენტრალური მცველი და კაპიტანი ხორხე ბერმუდესი და ნახევარმცველი მაურისიო სერნა — დარწმუნებულნი არიან. სხვათა შორის, „ბოკამ" ლიბერტადორესის თასი რომ მოიგო და შესაბამისად, ტოიოტას თასისთვის იბრძოლებს, ოსკარ კორდობას დიდი დამსახურებაა — მისმა მოგერიებულმა პენალტებმა მოაგებინა „ბოკას" ფინალი „პალმეირასთან". ამასთანავე ეს მეკარე ორჯერ იცავდა კოლუმბიის ნაკრების ღირსებას და გოლი არ გაუშვია.

კლუბმა, როგორც იქნა, გადაჭრა კონტრაქტთან დაკავშირებული პრობლემები 22 წლის გამთამაშებელ ხუან რომან რიკელმესთან, რომელიც არგენტინული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია. კარლოს ბიანკიმ სასტარტო შემადგენლობაში შესაძლოა ვეტერანს, 37 წლის ხოსე ბასუალდოსაც უხმოს. იგი იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატიდან გვახსოვს — გერმანიასთან ფინალშიაც კი ითამაშა.

გიორგი დარჯანია

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I დივიზიონი | | | |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 001 | ნოტინგემი-შეფილდი | 1,85 | 3,0 | 3,8 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-18 ტური | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 21.00 | 002 | გენგამი-ლანსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.45 | 003 | პსჟ-რენი | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 004 | პსჟ-რენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 005 | ბორდო-ბასტია | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 23.00 | 006 | ლიონი-სედანი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 007 | მარსელი-სენტ ეტიენი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 008 | ლილი-სტრასბური | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 009 | ტულუზი-ტრუა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 010 | ოსერი-მეცი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 011 | ნანტი-მონაკო | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | საფრანგეთი, II დივიზიონი. 21-ე ტური | | | |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 012 | კანი-აიაჩო | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 013 | გენიონი-ბოვუა | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 014 | სოშო-კაენი | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| | 015 | სოშო-კაენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 016 | ლე მანი-შატორუ | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 23.00 | 017 | ნანსი-კრეტეი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 018 | ვასკეალი-ლავალი | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| 23.00 | 019 | ანჟე-მარტიგი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 23.00 | 020 | ლორიანი-ნიცა | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 021 | ლორიანი-ნიცა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 022 | ლე ავრი-ნიორი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| | | 30 ნოემბერი | | | |
| 23.30 | 023 | მონპელიე-ნიმი | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| | 024 | მონპელიე-ნიმი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | ჰოლანდია | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 025 | როდა-ვიტესი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 026 | ფეიენოორდი-სპარტა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 027 | ფეიენოორდი-სპარტა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 21.00 | 028 | ჰერენვენი-ალკმაარი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 029 | როზენდალი-ბრედა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| | | 30 ნოემბერი | | | |
| 23.15 | 030 | აიაქსი-ვალვაიკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 031 | აიაქსი-ვალვაიკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | ჩეხეთი | | | |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 19.30 | 032 | ბრნო-ჟიჟკოვი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | 30 ნოემბერი | | | |
| 19.30 | 033 | სიგმა-ბუდეიოვიცე | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | | შოტლანდია. მე-18 ტური | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 034 | დანდი იუნაიტედი-კილმარნოკი | 3,5 | 3,2 | 1,8 |
| 23.45 | 035 | სენტ ჯონსტონი-აბერდინი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 036 | დანფერმლაინი-ჰართსი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 037 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 23.45 | 038 | მოზერუელი-სენტ მირენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | | ავსტრია | | | |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 21.00 | 039 | ზალცბურგი-ტიროლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.30 | 040 | რაპიდი-რიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 041 | რაპიდი-რიდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.00 | 042 | შტურმი-გრაცერი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | გერმანია. თასის 1/8 ფინალი | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 16.00 | 043 | უნიონი-ულმი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 044 | მაგდებურგი-კარლსრუე | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.30 | 045 | ვოლფსბურგი-დუისბურგი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 22.30 | 046 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.30 | 047 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 048 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 22.30 | 049 | მიუნხენ 1860-ბოხუმი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.30 | 050 | შალკე-დორტმუნდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | ინგლისი. თასის I ეტაპი. გადათამაშება | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 051 | პიტერბრო-მენსფილდი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 052 | საუთენდი-ტორკი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | ინგლისი. ლიგის თასის 1/8 ფინალი | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 053 | იფსვიჩი-ქოვენთრი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.45 | 054 | კრისტალ პალასი-ტრანმერი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 055 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 2,2 | 3,3 | 2,3 |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 23.45 | 056 | სიტი-უიმბლდონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.45 | 057 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 2,5 | 3,1 | 2,4 |
| 23.45 | 058 | ვესტ ჰემი-უენსდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.45 | 059 | სტოკი-ლივერპული | 5,6 | 3,4 | 1,55 |
| 23.45 | 060 | ფულემი-დერბი | 1,8 | 3,1 | 3,6 |
| | | იტალია. თასის 1/4 ფინალი. I მატჩები | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 24.00 | 061 | მილანი-ატალანტა | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 21.45 | 062 | ლაციო-უდინეზე | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 23.45 | 063 | პარმა-ინტერი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | 30 ნოემბერი | | | |
| 24.00 | 064 | ფიორენტინა-ბრეშა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| | | ბელგია. თასის 1/8 ფინალი | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 065 | ლომელი-ლუვიე | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 23.00 | 066 | სტანდარდი-ლოკერენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 23.00 | 067 | ვესტერლო-ბევერენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 068 | ბეერსხოტი-ინგელმუნსტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | თურქეთი. თასის მე-3 ეტაპი | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 20.00 | 069 | ალთაი-ტრაბზონი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 21.00 | 070 | ფენერბაჰჩე-იეთფა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | | საკონტინენტთაშორისო თასი (ტოკიოში) | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 14.00 | 501 | რეალი-ბოკა ხუნიორსი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | უეფას თასი. I მატჩი | | | |
| | | 30 ნოემბერი | | | |
| 23.30 | 502 | რეინჯერსი-კაიზერსლაუტ. | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | საკონტინენტთაშორისო თასი. თასის ალება | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 14.00 | 701 | რეალი -1,45 | ბოკა ხუნიორსი | -2,1 | |
| | | კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები | | | |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 21.00 | 801 | სლოვაკეთი-უნგრეთი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 21.00 | 802 | ბალარუსი-საბერძნეთი | 5,0 | 12,0 | 1,05 |
| 21.00 | 803 | უკრაინა-ბელგია | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 21.15 | 804 | პოლონეთი-ესტონეთი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 22.00 | 805 | ისლანდია-სლოვენია | 5,0 | 12,0 | 1,05 |
| 22.00 | 806 | შვედეთი-ბულგარეთი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 22.00 | 807 | ავსტრია-ჩეხეთი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 23.00 | 808 | პორტუგალია-მაკედონია | 5,0 | 12,0 | 1,05 |
| 23.00 | 809 | ჰოლანდია-ბოსნია | 1,7 | 12,0 | ·1,7 |
| 23.00 | 810 | ფინეთი-ისრაელი | 3,5 | 12,0 | 1,1 |
| 23.30 | 811 | ინგლისი-ლატვია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 812 | შვეიცარია-ხორვატია | 3,0 | 12,0 | 1,15 |
| | | კალათბურთი | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 04.00 | 813 | ვაშინგტონი-ატლანტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 04.30 | 814 | კლივლენდი-ბოსტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.30 | 815 | მაიამი-მილუოკი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 816 | ნიუ ჯერსი-იუტა | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 05.00 | 817 | დალასი-ტორონტო | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 05.30 | 818 | ჩიკაგო-მინესოტა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.30 | 819 | ჰიუსტონი-საკრამენტო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 07.00 | 820 | პორტლენდი-სიეტლი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 821 | ლეიკერსი-ინდიანა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | | 29 ნოემბერი | | | |
| 04.00 | 822 | ფილადელფია-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 823 | შარლოტი-ტორონტო | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 04.30 | 824 | დეტროიტი-ნიუ ჯერსი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 04.30 | 825 | ორლანდო-იუტა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 826 | მინესოტა-დენვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 827 | ნიუ იორკი-მაიამი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 828 | სან ანტონიო-საკრამენტო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 829 | ვანკუვერი-ფინიქსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 07.30 | 830 | კლიპერსი-გოლდენ სტეიტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | | 30 ნოემბერი | | | |
| 04.30 | 831 | ატლანტა-ჩიკაგო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.00 | 832 | მილუოკი-ბოსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 06.00 | 833 | დენვერი-ჰიუსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 07.00 | 834 | პორტლენდი-დალასი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 835 | სიეტლი-ლეიკერსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 07.30 | 836 | გოლდენ სტეიტი-ინდიანა | 2,1 | 12,0 | 1,45 |
| | | ჰოკეი | | | |
| | | 28 ნოემბერი | | | |
| 04.00 | 901 | ბოსტონი-პიტსბურგი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 902 | ოტავა-ბუფალო | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 903 | რეინჯერსი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 904 | ნეშვილი-კალგარი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 07.00 | 905 | ვანკუვერი-ანაჰაიმი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 07.30 | 906 | სან ხოსე-მინესოტა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| | | 22 ნოემბერი | | | |
| 04.00 | 907 | ვაშინგტონი-ტამპა ბეი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 04.00 | 908 | კოლუმბუსი-ფილადელფია | 2,9 | 4,0 | 1,6 |
| 04.30 | 909 | ტორონტო-სენტ ლუისი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 910 | ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 911 | ატლანტა-დეტროიტი | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 912 | ფლორიდა-კაროლინა | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 05.30 | 913 | დალასი-კალგარი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 06.00 | 914 | კოლორადო-ფინიქსი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 06.00 | 915 | ედმონტონი-მონრეალი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| | | 30 ნოემბერი | | | |
| 04.00 | 916 | კაროლინა-ფილადელფია | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 917 | აილენდერსი-ტორონტო | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 05.30 | 918 | ჩიკაგო-ნეშვილი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 06.00 | 919 | ფინიქსი-მინესოტა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 07.00 | 920 | ვანკუვერი-მონრეალი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 07.30 | 921 | სან ხოსე-ანაჰაიმი | 1,55 | 4,0 | 3,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მაიამიში გაავდრდა

24 ნოემბერი

**ბოსტონი 103:98 ორლანდო**

(ძირითადი დრო 89:89)
ბოსტონი: პირსი (41), უოლკერი (25 ქულა)
ორლანდო: მაკგრეიდი (26)

**კლივლენდი 85:80 მაიამი**

კლივლენდი: ვეზერსპუნი (16)
მაიამი: ჯონსი (19), ჰარდევეი (17)

**დეტროიტი 118:96 ვანკუვერი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (31), სმიტი (20)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (28 ქულა, 12 მოხსნა)

**ატლანტა 67:76 ფილადელფია**

ატლანტა: ჰენდერსონი (17)
ფილადელფია: აივერსონი (21)

**იუტა 97:85 ნიუ ჯერსი**

იუტა: მელოუნი (20)
ნიუ ჯერსი: მარბერი (21), გილი (19)

**ინდიანა 99:87 ვაშინგტონი**

ინდიანა: როუზი (23), მილერი (17)
ვაშინგტონი: ჰამილტონი (25)

**მილუოკი 90:106 შარლოტი**

მილუოკი: ალენი (21), კასელი (18)
შარლოტი: ვესლი (24)

**დენვერი 102:92 სან ანტონიო**

დენვერი: ვან ექსელი (27 ქულა, 13 პასი, 9 მოხსნა), მაკდაიესი (20)
სან ანტონიო: დანკანი (21)

**ფინიქსი 80:74 გოლდენ სტეიტი**

ფინიქსი: მარიონი (19 ქულა, 16 მოხსნა), კიდი (18 ქულა, 13 პასი)
გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (18)

**სიეტლი 98:81 კლიპერსი**

სიეტლი: პეიტონი (23 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა, 5 ჩაჭრა)
კლიპერსი: ოდომი (14)

**ლეიკერსი 115:108 მინესოტა**

ლეიკერსი: ბრაიანტი (29), ონილი (28 ქულა, 16 მოხსნა)
მინესოტა: ბრენდონი (27)

მძიმე დღეშია „მაიამი ჰითი". ლეგენდარული მწვრთნელის, პატ რილის მიერ აწყობილი მანქანა მთავარი ნაწილის, ალონზო მურნინგის გარეშე კარგად ვერ მუშაობს. „მაიამის" არასდროს უჭირდა „კლივლენდთან" თამაში, სტუმრადაც კი, რაზეც მის მიერ ამ გუნდთან ზედიზედ რვა მოგებაც მოწმობს. დღეს კი „ჰითის" მექანიზმში ბლომადაა, წუნი და ამაზე მისი კლივლენდში სტუმრობაც მეტყველებს.

„სეზონის დაწყებამდე სერიოზულ მეტოქედ არავინ აღვიქვამდა. ვფიქრობ, ახლა ყველამ აზრი შეიცვალა. კარგად დავიწყეთ სეზონი და ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. სულაც არაა მოულოდნელი, რომ ბევრ თამაშს ვიგებთ. უბრალოდ, ჩვენ იქნებ სხვაზე მეტად გვინდა მოგება და ყოველ თამაშს დიდძალ ენერგიას ვახარჯებთ, სულ ესაა" — თქვა „კლივლენდის" სათადარიგო კრის გეტლინგმა, რომელმაც შეხვედრა 15 ქულით დაასრულა. ეს სიმართლეა. მისმა „კლივლენდმა" ვარსკვლავთ „მაიამის" დიდი ჟინი და მონდომება დაუპირისპირა. თავად გატლინგმა მაშინ ივარგა, როცა მის გუნდს ყველაზე უფრო სჭირდებოდა. 78:75 ანგარიშზე, როდესაც შეხვედრის დამთავრებამდე სამნახევარი წუთი რჩებოდა, მან მაიამელ ბრაიან გრანტს მოხდენილად დაუფარა, რამდენიმე წამის შემდეგ კი თანაგუნდელი კლარენს ვეზერსპუნის აცილებულს დაამატა და მასპინძლები ხუთი ქულით დააწინაურა. დარჩენილ დროში სტუმრებმა ყველაფერი ილონეს მატჩის გადასარჩენად, მაგრამ მათ წინაშე ლიტველი ჟიდრუნას ილგაუსკასი (14 ქულა, 6 დაფარება) აღიმართა. 221-სანტიმეტრიანმა ლიტველმა დარჩენილ დროში სამჯერ დაუფარა სტუმრებს. „კლივლენდისთვის" ეს ზედიზედ მეექვსე შინაური გამარჯვება იყო.

შინაურ კედლებში „დენვერიც" საუცხოოდ გრძნობს თავს და არ დაგიდევთ, ჩემპიონს ხვდება თუ აუტსაიდერს. კოლორადოელებმა ბოლო ხუთი სტუმარი გაამწარეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის იყვნენ მოქმედი თუ ყოფილი ჩემპიონი „ლეიკერსი" და „სან ანტონიო". ამ უკანასკნელთან შეხვედრა „დენვერის" გამთამაშებლის, ნიკ ვან ექსელის ბენეფისად იქცა.

„დეტროიტმა" შინ „ვანკუვერი" დაამარცხა. სხვა დროს ამ შეხვედრას არ შევეხებოდით, მაგრამ ახლა კი ღირს ყურადღების მიპყრობა. „მინესოტასთან" ფარული კონტრაქტის დადებაში მხილებულმა ჯო სმიტმა, როგორც იქნა, იპოვა თავშესაფარი. იგი „დეტროიტში" დაფუძნდა და „ვანკუვერთან" მისი დებიუტიც შედგა. სმიტს თავი არ შეურცხვენია, ახალ გუნდს ოც წუთში ოცი ქულა, ოთხი მოხსნა და ორი ჩაჭრა შეაწია.

25 ნოემბერი

**შარლოტი 109:98 კლივლენდი**

შარლოტი: მაშბურნი (30), კემპბელი (23), დევისი (14 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა, 4 ჩაჭრა)
კლივლენდი: მიურეი (30)

**მაიამი 80:91 ჰიუსტონი**

მაიამი: ჯონსი (18), გრანტი (16)
ჰიუსტონი: მობლი (21)

**ორლანდო 114:92 ატლანტა**

ორლანდო: მილერი (23)
ატლანტა: ტერი (21)

**დალასი 108:84 დენვერი**

დალასი: ნოვიცკი (24), ფინლი (19)
დენვერი: მაკდაიესი (19)

**ვაშინგტონი 107:100 მილუოკი**

ვაშინგტონი: ჰოვარდი (24)
მილუოკი: ალენი (37), კასელი (22)

**სან ანტონიო 96:76 ფილადელფია**

სან ანტონიო: ანდერსონი (16)
ფილადელფია: აივერსონი (21), რეთლიფი (19)

**გოლდენ სტეიტი 114:93 მინესოტა**

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (18)
მინესოტა: გარნეტი (22)

**პორტლენდი 86:84 ნიუ ჯერსი**

პორტლენდი: ვოლესი (25)
ნიუ ჯერსი: ვილიამსი (17)

**კლიპერსი 89:95 ფინიქსი**

(ძირითადი დრო 82:82)
კლიპერსი: ოდომი (20)
ფინიქსი: მარიონი (26 ქულა, 10 მოხსნა), რობინსონი (25)

**საკრამენტო 125:101 სიეტლი**

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (29), ვებერი (24 ქულა, 14 მოხსნა)
სიეტლი: პეიტონი (26)

**ნიუ იორკი 75:79 ტორონტო**

ნიუ იორკი: სპრიუელი (20)
ტორონტო: კარტერი (25)

ნერვიულობენ მაიამიში და ამის საკმაო საბაბიც აქვთ, „ჰითი" ატლანტიკის დივიზიონის ცხრილში ქვედა ნახევარში ჩაჭედილა და ზემოთ ანაცვლებას ვერა და ვერ ახერხებს. სეზონის დაწყებიდან თითქმის ერთი თვე მიილია და ფლორიდელები ჯერ ვერაფრით იწონებენ თავს. პირიქით, უარყოფითი აქვთ მოგება-წაგებათა ბალანსი. ღელავს გუნდის თავკაცი პატ რაილი. აგერ 19 წელია, მას ნბა-ს გუნდები აბარია და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მის შეგირდებს უარყოფითი ბალანსი ჰქონოდეთ.

კლივლენდში დამარცხების შემდეგ „ჰითმა" შინაც უიმედოდ წააგო „ჰიუსტონთან", რომელიც საშუალო გუნდების მარაქაში გარევას ლამობს. „ჰიუსტონმა" პირდაპირ გაამწარა მასპინძლები, 16 ათასი გულშემატკივრის თვალწინ კატათაგვობანას თამაში მოუწყო და მზიური მაიამიდან შინ იოლი გამარჯვებით გახალისებული გაბრუნდა. უკვე მესამე მეოთხედში „როკიტსი" ოცი ქულის სხვაობით იგებდა. „ჰითმა" ძალა მოიკრიბა და მოდუნებულ მეტოქეს სამ ქულამდეც დაუახლოვდა, მაგრამ მერე საკუთარ კალათში ზედიზედ ცხრა ქულა მიიღო და კაპიტულაცია გამოაცხადა.

26 ნოემბერი

**დეტროიტი 79:94 იუტა**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (37)
იუტა მელოუნი (24)

**ტორონტო 101:89 ჩიკაგო**

ტორონტო: პეტერსონი (18)
ჩიკაგო: ბრენდი (31), არტესტი (20)

**ბოსტონი 87:98 ვანკუვერი**

ბოსტონი: პირსი (27), უოლკერი (18)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (27 ქულა, 21 მოხსნა)

„იუტა ჯაზის" 38 წლის გამთამაშებელი ჯონ სტოქტონი ნბა-ს რამდენიმე რეკორდის ავტორია — ლიგის ისტორიაში მას ყველა სხვაზე მეტი პასი და ჩაჭრა გაუკეთებია. ახლა სტოქტონი გახდა მოთამაშე, რომელსაც ერთ გუნდში ყველაზე მეტი თამაში ჩაუტარებია. „დეტროიტთან" შეხვედრის შემდეგ მას 1271 თამაში დაუგროვდა, ზუსტად ერთით მეტი, ვიდრე 60-70-იანი წლების ბოსტონის ლეგენდარულ უკანახაზელს ჯონ ჰავლიჩეკს.

**ირაკლი ფირცხალავა**

## საქართველოს ჩემპიონატი. X ტური



თსუ — აზოტი. ზაზა გაბისონია თსუ-ელთა ფარქვეშ შეფრინდა

25 ნოემბერი. ვერის ბაღი

**თსუ 61:73 აზოტი**

16:18, 18:13, 8:24, 19:18
თსუ: მაისურაძე (21), ხეცურიანი (7), გ. მარკოიშვილი (6), მაჭარაძე (4), ახალკაცი (11); არსიაშვილი (8), ვეფხვაძე, ი. ბერიკაშვილი (3), ლ. ზამთარაძე, სანიკიძე (1)
აზოტი: ა. ღლენტი (10), ტურაშვილი (12), კოკოლიშვილი (8), ბერუაშვილი (17), შენგელია (19); გაბისონია (3), ბაბიაშვილი (4), არწივაძე, ლ. ჩაჩუა, მიქიაშვილი, ჯიმშელეიშვილი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე
კომისარი: მურმან ქურიძე

25 ნოემბერი. ვერის ბაღი

**ვითა 87:108 ბასკო**

26:16, 24:37, 16:25, 21:30
ვითა: მარხვაშვილი (12), ტ. ვაშაკიძე (23), ბარბაქაძე (13), ჭირაქაძე (7), მდივანი (22); ნ. შანიძე (10)
ბასკო: როჯერსი (9), მ. მარკოიშვილი (4), საყვარელიძე (10), ვ. ნაცვლიშვილი (19), ათუაშვილი; ნიკოლაძე, ვ. კილაძე (23), ბეჟანიშვილი (17), გ. ნაცვლიშვილი (6), კეშელავა, ქარაბაკი (12), ორმოცაძე (8)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ანდრიაძე
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

25 ნოემბერი. ვერის ბაღი

**დინამო 102:68 სსუ**

29:11, 17:22, 28:23, 28:12
დინამო: თორთლაძე (30), აკოლაშვილი (10), პაპასკირი, კონჯარია (8), არაქელიანი (12); ჩაველეიშვილი (13), ნინოშვილი (7), ნინიაშვილი (4), იაშვილი (7), აბულაძე (9), ყველაშვილი (2)
სსუ: სორდია (7), კანკია (11), ვ. ქვილითაია (8), ბ. ქვილითაია (8), ძიძიგური (18); ლაცუზბაია (6), გ. ღლენტი (4), მამოიანი (5), ტატუნაშვილი (1), ფენდერავა
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

25 ნოემბერი. ვერის ბაღი

**სტუ 84:102 მაკაბი**

20:25, 22:35, 24:17, 18:25
სტუ: სულაძე (1), ხოშტარია (17), ლოსაბერიძე (2), ოთიურიძე (4), მინაშვილი (13); ტულუში (5), კორძაძე (7), ლაფანაშვილი, დავითულიანი (21), მიქაძე (8), ჩუბინიძე (6)
მაკაბი: წოწელია (27), ტუჯანი (19), სარიშვილი (13), ი. შანიძე (17), დაჩუმი (17); ანდღულაძე (9)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: როლანდ გელოვანი

# მაკაბის ჯავრის ამოსაყრელად ხუთი დღე ეყო

## შენგელია, კეიდია, ბერიშვილი, აკოლაშვილი. იკითხეთ ახალ მისამართზე

**როლანდ ლაბუჩიძე**

**ყოველგვარი** შესვენების გარეშე ვერის ბაღში მეორე წრე დაიწყო. რამდენიმე კალათბურთელმა ეროვნული ჩემპიონატის დებულებით ისარგებლა და კლუბის გამოცვლა გადაწყვიტა. წამყვანი მოთამაშეების, კახაბერ შენგელიასა და ირაკლი კეიდიას გუნდიდან წასვლით ყველაზე დიდი დანაკლისი თბილისის „დინამომ" განიცადა. თუ შენგელიას რუსთავის „აზოტში" მისვლით ეულად მოასპარეზე ცენტრ მიხეილ ბერუაშვილს ამოსუნთქვის საშუალება მიეცემა, ფორვარდ კეიდიას საკმაოდ გრძელი სკამის მქონე სტუ-ს ძირითადში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდება. არაა გამორიცხული, მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდეს „სტუ-ჯეოსელის" კიდევ ერთი ახალწვეული, სსუ-ს ყოფილი ლიდერი ბუბა ბერიშვილი.

ფორვარდითა და ცენტრით დასუსტებული „დინამო" უკანა ხაზში გაძლიერდა. დავით აკოლაშვილი, რომელიც მეათე ეროვნულის დაწყებამდე გადავიდა „მაკაბიში", მაგრამ ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, დინამოელი გახდა. ეს, ალბათ, იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ „მაკაბიში" ჩაირიცხა გამოცდილი უკანახაზელი ილია კოჭლამაზაშვილი. იგი დიდი ხნის განმავლობაში თამაშობდა რუსთავის „აზოტში", მეცხრე ეროვნულის შემდეგ კი უგუნდოდ იყო დარჩენილი.

მეათე ტურში ცენტრალური ორი შეხვედრა იყო: სტუ — „მაკაბი" და თსუ — „აზოტი". პირველი წრე გასული წლის პრიზიორებმა სტუ-მ და „აზოტმა" 14-14 ქულით დაასრულეს და მხოლოდ ჩემპიონი „ბასკო" გაუშვეს წინ. ასევე თანაბარი ქულებით ერთმანეთის მეზობლად განლაგდნენ პრიზიორთა მეტოქეები, „მაკაბი" და თსუ. დავიწყოთ იმ მატჩით, სადაც რევანში შედგა.

პირველი წრის ბოლო ტურის შემდეგ უშუქობის გამო გადმოტანილ შეხვედრაში სტუ-სგან განადგურებულმა (103:74) „მაკაბიმ" ამჯერად სტუდენტებს იოტისოდენი შანსიც კი არ დაუტოვა.

როცა შეხვედრის პირველივე წუთებზე „მაკაბი" 13:2 დაწინაურდა, აშკარა გახდა, რომ სტუ-ს მატჩის შემობრუნება გაუჭირდებოდა. ამას პირველ მეოთხედში ცენტრ ვასილ ოთიურიძის ფეხის ტრავმაც დაემატა და სტუდენტების შანსი კიდევ უფრო შემცირდა. პირველი მეოთხედის ბოლოს სტუ-მ ისღა შეძლო, რომ 11-ქულიანი სხვაობა ხუთამდე დაიყვანა — 20:25. მეორე მეოთხედში „მაკაბის" უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. სასტარტო ხუთეულს კარგად შეეწყო სათადარიგო მალხაზ ანდღულაძე, მსროლელებს სამიანებიც წაუვიდათ, ფარი კამერუნელმა ლეგიონერებმა დაიპყრეს და პირველი ტაიმის ბოლოს ანგარიშში სხვაობამ 18 ქულას მიაღწია — 60:42. განსაკუთრებით გოჩა წოწელია

საქართველოს ჩემპიონატი. XI ტური

# ჩვეულებრივი ამბავი

## შუქი, რა თქმა უნდა, წავიდა, მაგრამ აზოტმა სტუ-ს დენივით დაარტყა

26 ნოემბერი. ვერის ბაღი

**სსუ 63:89 მაკაბი**

12:13, 12:31, 20:27, 18:17
სსუ: სორდია (10), ლაცუზბაია (14), კანკია (4), ძიძიგური (6), ვ. ქვილითაია (9); გ. ტლენტი, მამოიანი, ტატუნაშვილი (2), ბ. ქვილითაია (6), ფენდერავა (12)
მაკაბი: წოწელია (8), ი. შანიძე (13), სარიშვილი (8), ტუჯანი (12), დაჩუმი (13); ანდღულაძე (20), კრიხელი (4), ქოქოსაძე (6), კოჭლამაზაშვილი (2), მანველიშვილი (3)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

26 ნოემბერი. ვერის ბაღი

**აზოტი 100:97 სტუ**

23:19, 32:22, 28:21, 17:35
აზოტი: ა. ტლენტი (16), ტურაშვილი (12), კოკოლიშვილი (12), ბერუაშვილი (13), შენგელია (12); გაბისონია (12), ბაბიაშვილი (16), აბზიანიძე, ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი (7)
სტუ: ხოშტარია (28), ტულუში (8), დავითულიანი (23), ჩუბინიძე (4), კორძაძე (3); ბ. ბერიშვილი (5), სულაძე (1), ლოსაბერიძე (23), მიქაძე (2)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: მურმან ქურიძე

26 ნოემბერი. ვერის ბაღი

**შევარდენი 72:90 ბასკო**

14:19, 17:27, 13:26, 28:18
შევარდენი: ნ. ნოზაძე (15), გ. ჩხეიძე (22), გიგაური (10), სუხიშვილი (16), გოგუა (2); გულბადარაშვილი, კაზანჯიანი (6), ალავიძე, მაჭავარიანი (1)
ბასკო: როჯერსი (8), ორმოცაძე (7), ბეჟანიშვილი (2), ვ. ნაცვლიშვილი (19), ვ. კილაძე (5); მ. მარკოიშვილი, ნიკოლაძე (12), საყვარელიძე (2), გ. ნაცვლიშვილი (10), კეშელავა (8), ათუაშვილი, ქარაბაკი (17)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

26 ნოემბერი. ვერის ბაღი

**თსუ — დინამო**

მატჩი უშუქობის გამო ჩაიშალა და დღეს, 14.00 საათზე გაიმართება

**გიორგი ბიკაშვილი**

**ჩვენმა** დუხჭირმა ყოფამ კალათბურთი და უშუქობა ერთმანეთს შეუსისხლხორცა. შაბათ-კვირა ისე არ ჩაივლის, ვერის ბაღში დენმა თვალი არ ჩაგვიკრას და რაღა ეს უქმეები იქნებოდა გამონაკლისი. შედეგად კვირა დღის ბოლო მატჩი, თსუ — „დინამო" სადღეისოდ გადაიდო იმ იმედით, რომ დღეს ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში შუქი იქნება.

ახლა იმაზე მარჩიელობა, ადროვებს თუ არა თელასი ამ ყინვაში ჩვენს კალათბურთს ბოლომდე გახურებას, არ ივარგებს. გაუთავებლად უშუქობაზე ლაპარაკიც, ვხედავთ, არაფრისმომტანია, რადგან ქართული კალათბურთის მამებს ამ სენთან შეჭიდების მარიფათიც აღარ შერჩენიათ. ჰოდა, ამიერიდან აღარც თქვენ გაგაბეზრებთ თავს, ვერისბაღურ რეპორტაჟებში უსინათლობაზე საუბარი, ფაქტია, ვერ გადაჭრის ამ პრობლემას.

ამ უკუნეთში და შავ დღეში მყოფი მეათე ეროვნული ძალისძალად მიდის წინ. მიდის და ალაგ-ალაგ თუ გამოკრთება ხოლმე უკეთესობის იმედი. ხანდახან კარგ თამაშს რომ ვიხილავთ, ეგღა გვიხალისებს გულს.

კვირა დღის მატჩებიდან ამ მხრივ „აზოტი" — სტუ-ს დაპირისპირებაა გამოსარჩევი. გუშინწინ ერთმანეთს წინა ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები დაეჭიდნენ, მეათე ტურის ცენტრალური შეხვედრაც, ცხადია, ეს გახლდათ.

8 დღით ადრე სწორედ სტუ-სთან დამარცხებულ „აზოტს", ბუნებრივია, რევანშის წყურვილი კლავდა. რუსთაველი გუნდი სტუდენტებთან მოგებით სატურნირო ვითარებასაც გაიუმჯობესებდა და მყარად დამკვიდრდებოდა მეორე საფეხურზე. ყოველივე მწვრთნელ-კალათბურთელებსაც კარგად ჰქონდათ გააზრებული და ალბათ ამიტომაც იყო, რომ „აზოტი" ყოველმხრივ მობილიზებული წარსდგა მეტოქის წინააღმდეგ.

რუსთაველი გუნდი ტექნიკოსთაგან დიდ წინააღმდეგობას ელოდა, თუმც სტუ მატჩის დებიუტში დუნედ ირჯებოდა. მართალია, ანგარიში სტუდენტმა კოტე ტულუშმა გახსნა, მაგრამ ჩამორჩენის აღმოფხვრა და დაწინაურება „აზოტს" არ გასჭირვებია. მამუკა ტურაშვილი, რომელიც სტუ-ს ყველაზე სახიფათო კალათბურთელს, ირაკლი ხოშტარიას მეურვეობდა, შეტევაშიც აგრესიული იყო და ზედიზედ ორი ჩაგდებულით წინ გაიყვანა „აზოტი". იქვე არჩილ ტლენტმა კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა რუსთაველთა სასარგებლოდ, თუმც მომდევნო ეპიზოდში ტურაშვილის უხეშობა მაქსიმალურად გამოიყენა ირაკლი ხოშტარიამ — სამიდან სამივე საჯარიმო ჩააგდო და სხვაობა მინიმალური გახადა.

საწყისი ხუთწუთეულის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურები სწორედ ტურაშვილი და ხოშტარია იყვნენ, რომლებმაც მოგვიანებით სამქულიანებიც გაცვალეს. მერე კი ცენტრთა დუელიც ყურადღებამისაქცევი გახდა — სტუ-ს ტრავმამოშუშებული ცენტრალური თავდამსხმელი გოდერძი კორძაძე და მისი მეტოქე-კოლეგა, „დინამოდან" რუსთაველ გუნდში გადაბარგებული კახა შენგელია ფარქვეშ მთელი ძალით



აზოტი — სტუ. აზოტელმა მამუკა ტურაშვილმა ირაკლი ხოშტარიას ბურთი გააგდებინა

ჯაჯგურობდნენ. აზოტელი მეტად მარჯვობდა, რის შედეგადაც ფარქვეშ რუსთაველთა უპირატესობა გამოიკვეთა. სტუ-ს უკან ისიც ხევდა, რომ წინა დღეს „მაკაბისთან" თამაშში დაშავებული მაღლები — ვასილ ოთიურიძე და ვახტანგ მინაშვილი აკლდა.

შეგირდებით უკმაყოფილო სტუდენტთა მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა თამაშში ლაშა ლოსაბერიძე ჩართო. ლაშამ მოედანზე გამოჩენა ზუსტი სამქულიანით აღნიშნა, თუმც ტურაშვილისგან საპასუხო მიიღო და სხვაობა უწინდელივით 6 ქულა გახდა — 19:13 „აზოტის" სასარგებლოდ. მოგვიანებით რუსთაველთა თავკაცმა ოთარ ხმელიძემაც გადაახალისა შემადგენლობა, კოკოლიშვილისა და ბერუაშვილის ნაცვლად გაბისონიასა და ბაბიაშვილს დაეყრდნო, თუმც ლოსაბერიძის ძალისხმევით, რომელიც აშკარად თამაშის იმტაზე იყო, სტუ-მ პირველი მეოთხედის მიწურულს სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირა.

მცირე შესვენების შემდეგ ხმელიძემ სიურპრიზი შესთავაზა მოწინააღმდეგეს და სხვებთან შედარებით ნაკლებად გამოცდილი ლევან ჭიმშელეიშვილი შეუშვა მოედანზე. მან მოკლე ხანში ორი ბურთი ჩააგდო, რუსთაველთა გამთამაშებელმა არჩილ ტლენტმა კი ერთიორად ააჩქარა თავისიანთა შეტევები, რითაც ზვიად ბაბიაშვილმა იხეირა. 9 ქულით ჩამორჩენილ სტუ-ს ახლა მიხეილ ბერუაშვილი დაატყდა რისხვად. მიშამ უჩვეულო პოზიციიდან, გარედან თამაში იწყო და უყურადღებობისთვის 15 წამში ორჯერ დასაჯა მეტოქე სამქულიანით. ნუგზარ ჭეიშვილმა ისღა მოახერხა, რომ ინერტული ხოშტარია კოტე ტულუშით შეცვალა, მაგრამ ამანაც რუსთაველთა წისქვილზე დაასხა წყალი — ლევან ჯიმშელეიშვილის სამქულიანის შემდეგ „აზოტი" სოლიდურად, 42:26 დაწინაურდა. გაბისონიამ და ბაბიაშვილმა ერთხანს სხვაობა 19-ქულიანიც აქციეს, მაგრამ ტაიმის მიწურულს კვლავაც მძლავრად ათამაშდა ლაშა ლოსაბერიძე, რომელმაც ბოლო 20 წამში 5 ქულა გაქვითა და მეტ-ნაკლებად გამოაფხიზლა თანაგუნდელები.

მესამე მეოთხედშიც „აზოტის" უპირატესობა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ საინტერესო ორთაბრძოლის მომლოდინე ქომაგთ ხასიათი წაუხდათ. ერთი გუნდი ყველა სათამაშო კომპონენტში სჯაბნიდა მეორეს, რაზეც ტაბლოც მეტყველებდა. სტუდენტთაგან ისევ ლოსაბერიძე, შიგადაშიგ დავითულიანიც ბობოქრობდა, მაგრამ ეს „აზოტთან" ტოლ-სწორად სათამაშოდ არ იყო საკმარისი. 22 ქულით ჩამორჩენილი სტუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა უკანასკნელ ხერხს მიმართა, მოედანზე შედარებით ტანმორჩილი კალათბურთელები დატოვა და პრესინგი ბრძანა. იმ წუთებში ბევრსაც ვერაფერს გამორჩა სტუ მეტოქეს, რომელიც სავსებით თავდაჯერებულად განაგრძობდა თამაშს და ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რა განსაცდელი ელოდა.

ბოლო, დასკვნით მეოთხედში, საოცრად გარდაიქმნა სტუ. ჭეიშვილმა, ჩანს, პრესინგში იმედის მარცვალი შენიშნა და „აზოტს" კვლავაც იგივე დაცვითი ტაქტიკა შეაგება. ამან ნაყოფი გამოიღო, ორჯერ ხოშტარიამ, ამდენჯერვე ჩუბინიძემ ჩააგდო და ტექნიკოსთა გუნდმა მალე 8 ქულა გაქვითა. „აზოტი" ვერც ხმელიძის მიერ მოშველიებულმა წუთშესვენებამ გამოარკვია, სტუ კვლავაც განაგრძობდა მოწინააღმდეგის რბევას, წინამბრძოლი კი უდავოდ ირაკლი ხოშტარია გახლდათ. ამ კალათბურთელს ყველაფერი გამოსდიოდა, ფარქვეშ შესვლებიც და შორეული სამქულიანებიც, მისი მარჯვენა ხელი კი ლოსაბერიძე იყო, რომელიც მეტოქის კალათს ხელა არ აკლებდა. ძირითადი დროის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ხოშტარიამ მატჩში მეოთხე სამქულიანი რომ ჩააგდო, სტუ ქულითღა ჩამორჩებოდა „აზოტს" — 91:92. ტლენტის ერთ საჯარიმოს დავითულიანმა ორით უპასუხა და 15 წამში თანაბარი ანგარიშიც დაფიქსირდა — 93:93. შეფუცხუნებული და ნირწამხდარი „აზოტის" გადარჩენა ტლენტმა ითავა, რომელზეც ხშირად ჯარიმდებოდნენ სტუდენტები. რუსთაველთა გამთამაშებელმა საჯარიმოს ხაზიდან ბოლომდე ვერ გაისწორა სამიზნე და შეხვედრა კვლავაც ინტრიგას ინარჩუნებდა. სირენამდე 39 წამით ადრე ალეკო დავითულიანმა კიდევ ერთხელ აღადგინა თანაფარდობა — 96:96, მომდევნო ეპიზოდებში ტლენტმა საჯარიმოებით 3 ქულით გაიყვანა წინ „აზოტი", მერე დავითულიანმა და ბერუაშვილმა გაცვალეს თითო ქულა ასევე საჯარიმოებით და ბოლოს, 16 წამით ადრე, სტუ-ს უკანასკნელი შეტევის განხორციელების შანსიც მიეცა. რუსთაველთა ბედად, სლოვენიურ „სლოვანში" გადასაბარგებლად გამზადებულ კოტე ტულუშს ბოლო წამზე ნასროლი სამიანი გაუცუდდა...

კვირასვე „მაკაბიმ" აუღელვებლად დაამარცხა წლეულს მოუგებელი სსუ. თბილისურ გუნდს ამ მატჩში სანერვიულო არაფერი ჰქონდა, თუმც ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში თემურ მანველიშვილმა ნერვები ვერ მოთოკა და მისგან შეურაცხყოფილ მსაჯს, ზურაბ აბაშიძეს, მოედნიდან თავი გააგდებინა. არც ქვეყნის ჩემპიონ ბათუმის „ბასკოს" დასჭირვებია დიდი ჯაფა „შევარდენის" საძლევად...

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 10 | 10 | 0 | 1021:698 | 20 |
| აზოტი | 10 | 8 | 2 | 807:685 | 18 |
| მაკაბი | 10 | 6 | 4 | 897:826 | 16 |
| სტუ-ჭეოსელი | 10 | 6 | 4 | 952:893 | 16 |
| თსუ | 9 | 4 | 5 | 774:805 | 13 |
| შევარდენი | 9 | 4 | 5 | 713:773 | 12 |
| დინამო | 9 | 3 | 6 | 773:813 | 12 |
| ვითა-სტუ 2 | 9 | 2 | 7 | 731:899 | 11 |
| სსუ | 10 | 0 | 10 | 695:971 | 10 |

შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა

...ამოირჩა, რომლის შეჩერებას სტუდენტები ძირითადად აკრძალული ხერხით ცდილობდნენ. წოწელია საჯარიმოებს შეცდომოდ ესროდა და 13 შესაძლებლობიდან მხოლოდ ბოლო სამი ვერ გამოიყენა, ისიც მაშინ, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

მესამე მეოთხედში ცენტრზე ეულად დარჩენილ მინაშვილს სტუ-ს თავკაცობამ ტრავმამოშუშებული გოდერძი კორძაძე შეუწყვილა. დავითულიანიც აქტიურდა და მეოთხედის ბოლო წუთის წინ „მაკაბის" უპირატესობა 7 ქულაღა იყო — 69:62. მართალია, „მაკაბიმ" მეოთხედი დათმო, მაგრამ საერთო ჯამში უპირატესობის შენარჩუნება არ გასჭირვებია — 77:66.

დასკვნითი მეოთხედის წინ სტუ-ს ისღა თუ აიმედებდა, რომ კამერუნელ ცენტრ დიდიე დაჩუმის ოთხი ჯარიმა ჰქონდა აღებული. მალე სარიშვილმაც შავკანიანი თანაგუნდელის ბედი გაიზიარა, სტუ-ს მიერ მობეზებული შანსი ვერ გამოიყენა. მე-4 წუთისთვის დაჩუმი მინაშვილის ფანდს შემოეგო და მეხუთე ჯარიმის გამო სათადარიგოებში გადაინაცვლა. როგორც შემდეგ გაირკვა, არც მინაშვილს ეწერა მოედანზე დიდხანს ყოფნა, ფეხის ტრავმამ სტუდენტების ცენტრიც სათადარიგო სკამზე დასვა. საფინალო სირენამდე 3,11 წუთით ადრე, როდესაც 93:80 გახდა, შეხვედრამ ფორმალური სახე მიიღო. რევანში შედგა და „მაკაბი" ფავორიტებისთვისაც ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.

არ უმართლებს სტუ-ს, რომელიც ლაზარეთად იქცა. დაშავებულ გოდერძი კორძაძეს ბევრი გაუცდა, ჯერაც ვერ თამაშობს დავით მოისწრაფიშვილი, ახლა კიდევ ოთიურიძის და მინაშვილის ტრავმები...

კახაბერ შენგელიათი გაძლიერებულ „აზოტს" პირველ ტაიმში სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია თსუ-მ და ბოლო წამებზე ირაკლი ბერიშვილის ზუსტად შესრულებული სამქულიანი ტყორცნით ნახევარი მოუგო კიდეც — 34:31. პირველი მეოთხედი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ირაკლი მაჭარაძე აქტიურობდა და „აზოტს" დაწინაურების საშუალებას არ აძლევდა. მხოლოდ ბოლო წამებზე შეძლო ვიცე-ჩემპიონმა მინიმალური უპირატესობის მოპოვება — 18:16, ორწუთიანი შესვენების შემდეგ კი ისევ ჩამორჩა.

არც მესამე მეოთხედის დასაწყისი იყო ურიგო სტუდენტებისათვის, მაჭარაძის მორიგმა სამქულიანმა 4 ქულით დააწინაურა თსუ — 37:33. თბილისელთა დაღმასვლა მაშინ დაიწყო, როცა მწვრთნელმა მოედნიდან გაიყვანა ახალკაცი, რომელსაც ოთხი ჯარიმა ჰქონდა. მაჭარაძე და სანიკიძე მხოლოდ თვალს ადევნებდნენ მეტოქე-კოლეგებს, შენგელია და ბერუაშვილი კი დაუბრკოლებლად ავსებდნენ თსუ-ს კალათს. სტუდენტების ხელმძღვანელობას ახალკაცი მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო ვიცე-ჩემპიონის სასარგებლოდ.

ჩემპიონი „ბასკო" ექსპერიმენტული შემადგენლობით წარდგა ყმაწვილკაცებით დაკომპლექტებული „ვითას" წინააღმდეგ და სანამ სერიოზულად არ მოეკიდა საქმეს, დაისაჯა კიდეც. ტატო ვაშაკიძისა და განსაკუთრებით გიორგი მარხვაშვილის აქტიურობის შედეგად ჩემპიონმა პირველი მეოთხედი მდევრის როლში გაატარა. ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ გამარჯვება საბოლოოდ „ბასკოს" დარჩებოდა და ასეც მოხდა მას შემდეგ, რაც მწვრთნელმა ტომარაძემ სარბიელზე გუნდის ლიდერებს უხმო.

სსუ-სთან შეხვედრაში „დინამო" შესუსტებული შემადგენლობითაც კი ფავორიტად ითვლებოდა. პირველი მეოთხედის 18 ქულით (29:11) მომგები „დინამო" მეორე ათწუთეულის დასაწყისში ცოტა მოდუნდა. მართალია, მან ეს მონაკვეთი 0:11 დათმო და მეოთხედიც წააგო (22:17), მაგრამ დავით თორთლაძის ოსტატობის წყალობით შეხვედრა მაინც გამარჯვებამდე მიიყვანა.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ირაკლი მამარიაშვილი: მელოდეთ ცვლილებებს!



სპორტის დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე პირველმა თემურ შაშიაშვილმა იწვია

**— ცოტა მოულოდნელი ხომ არ იყო თბილისის ვიცე-პრემიერისთვის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეობა?**

— მე ჯარისკაცი ვარ და სადაც გამიშვებენ, იქ წავალ. ბოლო ხუთი წელიწადი სადაც კი ვიმუშავე, ყველგან საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით დავინიშნე. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეობა ძალიან საპატიო მისიაა. ამას წინ უძღოდა შეხვედრები, საუბრები ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებასთან და ბოლოს, ჩემი თანხმობა. სიმართლე გითხრათ, ქართული სპორტის მდგომარეობამ დამაფიქრა. დათანხმებით კი დავთანხმდი, მაგრამ სამომავლო გეგმები ხომ უნდა დააწყო. დეპარტამენტშიც ამ განწყობით მივალ. იქ სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება, ალბათ, პროგრამულ დაფინანსებაზეც გადავალთ, გამოიყოფა ძირითადი სახეობებიც, რომლებიც შედეგებს იძლევიან, მაგრამ ერთის ხარჯზე მეორე არ უნდა ჩაკვდეს. შედარებით არაპოპულარული სახეობებიც ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განვითარდეს. აქ კი უმთავრეს, ფინანსურ საკითხთან მივდივართ. წლეულს მხოლოდ შეჯიბრებებისთვის 269 ათასი ლარია გამოყოფილი, მინიმუმ კი 2 მილიონი გვჭირდება. უახლოეს დღეებში ფინანსთა მინისტრს შევხვდები და დახმარებას ვთხოვ. იქნებ როგორმე გული მოუბრუნდეს სპორტისკენ. იმავდროულად პარლამენტის შესაბამის კომისიასა და კანცელარიაშიც ვიმუშავებთ. ამ თანხით ვერაფერს გავაკეთებთ.

**— ყოფილი სპორტსმენი ბრძანდებით და სარბიელიდან წასული ერთხანს სპორტშიც საქმიანობდით...**

— მე ხელბურთელი ვიყავი და სპორტს რომ თავი დავანებე, ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად ვმუშაობდი, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე გავხდებოდი.

**— იმის მიუხედავად, რომ კონკურენტები გყავდათ, პრეზიდენტმა არჩევანი მაინც თქვენზე შეაჩერა. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, არ ვიცი. იქნებ ახალგაზრდა კადრი უნდოდათ. იყვნენ კი კანდიდატთა შორის ახალგაზრდები? მე ისიც კი არ ვიცი, ვინ იყვნენ ისინი. ხუთი წელიწადია, სახელისუფლო სტრუქტურებში ვმუშაობ და უამრავი ნაცნობი მყავს. შევეცდები, ეს ურთიერთობები სპორტის საკეთილდღეოდ გამოვიყენო.

**— დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნისას, ცხადია, პრეზიდენტს შეხვდებოდით. მასთან საუბრიდან რას გამოარჩევდით?**

— პრეზიდენტი საკმაოდ დიდხანს, დაახლოებით 45 წუთი მესაუბრა პირისპირ. რა თქმა უნდა, რაღაც-რაღაცები დამავალა, მაგრამ მთავარი ეს იყო — სპორტის მეშვეობით პოლიტიკური სიტუაციის დათბობა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. მიმაჩნია, რომ ეს შესაძლებელია.

**— ესე იგი, სპორტს სახალხო დიპლომატიის როლი დაეკისრა.**

— დიახ, ასეა. სპორტი პოლიტიკისგან თავისუფალი უნდა იყოს. აქვე ერთსაც გეტყვით — ჯერ სამსახურში არ მისულვარ და უკვე მესმის ჭორები. უნდა ვიყო თუ არა სპორტის დეპარტამენტში, ეს ჩემი გადასაწყვეტია, ხოლო გაუქმდეს თუ არა ეს უწყება — ხელისუფლებისა და არა ცალკეული განაწყენებული პიროვნებებისა. ყველაზე ცუდი მტრობა და შურია. შევეცდები, სპორტში ეს აღმოვფხვრა.

**— გეგმებზე საუბრისას სტრუქტურული ცვლილებები რომ ახსენეთ, რას გულისხმობდით?**

— დეპარტამენტში, ალბათ, განხორციელდება ცვლილებები. სიტუაციის შესაბამისად თანამშრომელთა რაოდენობა შემცირდება ან პირიქით, გაიზრდება. ვნახოთ... ვიდრე კარგად, საფუძვლიანად არ გავეცნობი ამ სტრუქტურას და მისი გარკვეული სამსახურების მიზანშეწონილობას, მანამდე დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. აი, საკადრო ცვლილებებს კი ელოდეთ. ოღონდ ჯერ ვერც ამ საკითხზე ვისაუბრებ დაწვრილებით. ვინ წავა და ვინ დარჩება, ამას მალე შეიტყობთ.

**— ესე იგი, თქვენც სპორტში დიფერენცირების მომხრე ხართ?**

— ძალიან კარგი იქნება, თუ პროგრამულ დაფინანსებას მივაღწიეთ, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, ერთი სახეობის ხარჯზე მეორე მოკვდეს.

**— იმ მეორეთა აღორძინებას როგორ აპირებთ?**

— არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც დიდ გრანტებს გასცემენ სპორტის სხვადასხვა სახეობებზე. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჯობია, ურთიერთობა იქონიო სახელმწიფოსთან, ვიდრე კერძო პირთან. სახელმწიფო სტრუქტურის გაკონტროლება გაცილებით იოლია და მათაც ასე ურჩევნიათ. მართალია, ამ მიმართულებით მუშაობა უფრო რთულია, ბევრი რამ დასახვეწია, მაგრამ სწორედ ამ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული თანხებით უნდა აღორძინდეს ეს სახეობები. შეიძლება ზოგიერთი არაოლიმპიურია, ზოგიც ნაკლებად პოპულარული, მაგრამ სპორტი ხომ მაინც ჯანმრთელობის წინაპირობაა. აუცილებლად მიმაჩნია ბავშვთა სპორტის განვითარებაც. შევხედოთ დღევანდელ ახალგაზრდობას — მათი უმეტესობა ცუდი აღნაგობისაა და ცუდად ვითარდება. უნდა აღდგეს ფიზკულტურის გაკვეთილები სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც. მახსოვს, 1983 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჩემპიონი ხელბურთში გახდა ჰიდროტექნიკის ფაკულტეტი, ამ დროს კი ქიმიკოსთა ნაკრებში ალექსანდრე ანპილოგოვი, გია ნარიმანიძე და სხვები თამაშობდნენ. ოლიმპიური ჩემპიონი ინსტიტუტის ჩემპიონატში გამოდიოდა და ეს არ ეთაკილებოდა, რადგან იქ მაღალი დონე იყო. იმ თაობისთვის საქართველოში, საკუთარ ინსტიტუტში თამაში პატივი იყო. დღეს ასეთი დამოკიდებულება დაიკარგა და ყველაზე ცუდი სწორედ ესაა.

**— მახსოვს არაერთი მაგალითი იმისა, თუ რა პრობლემებს აწყდებოდნენ ახალგაზრდული ნაკრებები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე წასასვლელად, რადგან დეპარტამენტი მათ ზოგჯერ არ აფინანსებდა, რა დროს ბავშვები და ახალგაზრდებია, დიდებისთვის ვერ ვშოულობთ ფულს. თქვენი სიტყვები გვაიმედებს, რომ მომავალში ასე აღარ იქნება.**

— კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ სპორტის ერთი სახეობის ხარჯზე მეორე არ მოკვდება და არ იქნება დაყოფა ბავშვთა თუ დიდების ნაკრებებად. ჩვენ ვიცხოვრებთ ისე, როგორც საშუალება გვექნება. ხომ გაგიგონიათ, საბანი სადამდე გაგწვდება, ფეხი იქამდე გაშალეო. ჩვენც ასე მოვიქცევით, ამიტომ წინასწარ ვერ დაგპირდებით, ამას გავაკეთებ და იმას-მეთქი. მით უფრო, ასეთი რამ საერთოდ არ მჩვევია. თანაც, მდგომარეობა ძალიან მძიმეა. მე არც წუწუნი მიყვარს, პირიქით, განწყობილება ოპტიმისტურია. იმედია, ყველა — ფედერაციები, ბიზნესმენები, მთლიანად საქართველო გვერდში ამომიდგება. თუ სპორტი გვინდა, ეს აუცილებელია, თუ არა, მაშინ დღესვე მოვაწეროთ ხელი მის სიკვდილს. არის სპორტით დაინტერესებული ხალხი. ამაში გუშინ დავრწმუნდი ქუთაისში, საფეხბურთო მატჩზე, სადაც მთელი სტადიონი სავსე იყო. მათ იქ მოსახვედრად რაღაც მოიკლეს, რაც ცოტას არ ნიშნავს.

**— სპორტისადმი უყურადღებობას ხშირად მთავრობასაც უკიჟინებდნენ. თქვენი წინამორბედი აქტიურად ცდილობდა, ლატარიების მოგება სპორტში დაეტოვებინა, რასაც ვერ მიაღწია. თქვენც ხომ არ აპირებთ ამ საკითხზე მუშაობას ან რას იზამთ, თუ ფინანსთა მინისტრთან შეხვედრამ უშედეგოდ ჩაიარა?**

— ფინანსთა მინისტრი ფიზკულტურის გაკვეთილს ხომ მაინც ესწრებოდა, როგორ შეიძლება, სპორტი არ უყვარდეს. მთავრობაშიც, პარლამენტშიც ბევრია სპორტის გულშემატკივარი, მაგრამ დღეს ქვეყანაში მდგომარეობაა ურთულესი.

ლატარიებს რაც შეეხება, ეს მომავლის საქმეა, მანამდე კი აუცილებლად აღვადგენ ურთიერთობას ჩემს კოლეგებთან პოსტსაბჭოურ სივრცეში. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენმა მოჭიდავეებმა ან მოკრივეებმა წელიწადში თუნდაც ორჯერ ივარჯიშონ რუსეთის ნაკრებთან. რამხელა სტიმული იქნება ეს მათთვის. მათ ნამდვილად შეუძლიათ ჩვენი გუნდების მიღება რამდენიმე ხნით. საჭიროა, ვთხოვოთ, შევაწუხოთ ისინი. მიგვიღებენ თუ არა, მათი საქმეა, მაგრამ პირველი ნაბიჯი ჩვენ უნდა გადავდგათ. პირადი ნაცნობობაც გასათვალისწინებელია. ჩვენს სპორტსმენებს უამრავი [illegible] აქვთ მეგობრებთან. [illegible] ნებს, რომ ლევან თედიაშვილს რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ მამიაშვილმა რაიმეზე უარი უთხრას. მთავარია, თედიაშვილს ვიღაცამ დაარეკინოს მასთან. საამისოდ ყველაზე ცოტა დრო მე მაქვს. ჩემი მთავარი საზრუნავია, როგორმე მომავალი წლის ბიუჯეტი გავაზრდევინო და მერე უნდა დავიწყო პროგრამულ დაფინანსებაზე ზრუნვა. ეს პროგრამა შეიძლება შეადგინოს ცალკეულმა სპორტსმენმა, გუნდმა, ფედერაციამ... რატომაც არა, თუ თავად სპორტსმენი წარმოგვიდგენს გეგმას, რომლის მიხედვითაც ის აღწევს წარმატებებს და მისთვის მომგებიანია კომერციული თვალსაზრისითაც. რა თქმა უნდა, იგი მისაღები უნდა იყოს ჩვენთვისაც.

სერიოზულად ვფიქრობ სპორტულ ბაზებზეც. ძალიან მინდა, აღორძინდეს, ვთქვათ, გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზა. კი, ბატონო, იყოს ისევ ლანჩხუთის „გურიას" ბალანსზე, მაგრამ ისე, როგორც ალახაძეში, რათა ჩვენი გუნდები უცხოეთში არ წავიდნენ მოსამზადებლად და ის ფული საქართველოში დარჩეს. დასაქმდება იქაური მოსახლეობა და ბავშვებიც სტიმულს მიიღებენ. მე ვნახე ქუთაისის „ტორპედოს" ბაზა, რომელიც ევროპულ სტანდარტებს შეეფერება. იქ თუ მოხერხდა, რატომ არ შეიძლება, სხვაგანაც გაკეთდეს იგივე? თამაშის წინ იმერეთის რწმუნებული გუნდს შეხვდა და გაამხნევა. ეს ბევრს ნიშნავს. თუ სპორტისადმი ასეთი დამოკიდებულება იქნება, პირობას გაძლევთ, ერთ წელიწადში სულ სხვა სურათი დაიხატება.

**— ქუთაისში თქვენი სტუმრობა როგორ შევაფასოთ — პირადი ვიზიტი თუ ადგილებზე მდგომარეობის გასაცნობად რეგიონებში გასვლის დასაწყისი?**

— როგორც კერძო ვიზიტი. როცა პრეზიდენტმა კანცელარიაში სპორტულ საზოგადოებასთან წარმადგინა, გარეთ გამოსულს პირველი იმერეთის რწმუნებული თემურ შაშიაშვილი დამხვდა. სწორედ მან მთხოვა ამ თამაშზე ჩასვლა და ამიტომაც წავედი. თუმცა რეგიონებს აუცილებლად მოვინახულებ. ერთსაც გეტყვით — პრეზიდენტს უკვე ვთხოვე, სამხარეო აპარატში დაამატოს ერთი შტატი, რომელსაც სპორტის კურატორობა დაევალება. რა თქმა უნდა, ის არ უნდა იყოს შემთხვევითი კაცი.

**— თავში ბრძანეთ, რომ ხართ ჯარისკაცი და წახვალთ იქ, სადაც გიბრძანებენ. როგორ გგონიათ, ათენის ოლიმპიადამდე ხომ არ გიბრძანებენ სხვაგან წასვლას?**

— ეს დამოკიდებულია ჩემს მუშაობაზე. იქნებ მიბრძანონ კიდეც და იქნებ მეც გამოვთქვა სხვაგან წასვლის სურვილი. ვნახოთ. შევეცდები, ყველა საშუალება გამოვიყენო, რომ ათენისკენ გუნდს მე დავულოცო გზა.

**ირაკლი თაბაძე**

ჭადრაკი

# სტამბოლის მერე დელიში

**დელიში** ფიდეს მსოფლიოს პირველობა დაიწყო... ოლიმპიადა ხეირიანად არ დამთავრებულა და რა დროს ჩემპიონატის დაწყება იყოო, გაისმა ამ დღეებში უკმაყოფილო ხმები და საფუძვლიანადაც — სტამბოლში დამქანცველი დღეების შემდეგ გასული ორიოდე კვირა სულის მოსათქმელად თუ ეყოფოდათ მოჭადრაკეებს, ბევრს დელიში იქნებ ამიტომაც გაუჭირდეს.

მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. გახსნის ცერემონიალს არა უშავდა, გუშინ კი პირველი ტური გათამაშდა. ფავორიტთაგანს არავის უთამაშია (კაცებზე ვამბობთ), ამიტომ მათი შანსების შეფასება და პროგნოზების გამოთქმა ჯერ კიდევ შეიძლება.

პირველი, რასაც ექსპერტები დაბეჯითებით იმეორებენ, ისაა, რომ ლას ვეგასისნაირი სენსაციათა კასკადი ნაკლებად მოსალოდნელია. იქ ბოლოში გასულთაგან ერთიც არ იყო ამგვარი „პატივის ღირსი" (მაიკლ ადამსის გარდა). ამჯერადო, ფიქრობს კომენტატორი ილია გოროდეცკი „კასპაროვის კლუბიდან", ელიტარულ მოჭადრაკეებს „ნოკაუტ სისტემით" თამაშის გამოცდილება დაუგროვდათ და თავიანთ ძალას უფრო გამოაჩენენო. შესაბამისად, სავარაუდო ფინალისტებზეც უფრო თამამად მსჯელობენ. უპირველესად, ასახელებენ ვიშვანათან ანანდს. მას თავისი საჭადრაკო ძალა ხომ თავზე საყრელადა აქვს და ორი მნიშვნელოვანი კოზირიც ხელს უწყობს: შინაური კედლები და დაუხარჯავი ენერგიის დიდი მარაგი. ინდოეთის დედაქალაქში მოთამაშე ელიტის ყველა წევრი იყო ოლიმპიადაზე. არ ყოფილა მხოლოდ ვიში. მას მშვიდად შეეძლო ოთახში მჯდარიყო და სასიკვდილო საჭადრაკო ვარიანტებზე ემუშავა. მოკლედ, ანანდი ფავორიტი ნომერი ერთია და მისი გამარჯვება მთლიანად ჭადრაკის სამყაროშიც მეტ ინტრიგას აღძრავს. რაც უნდა იყოს, მაინც კასპაროვი, კრამნიკი, ანანდი ის სამი მთავარია გვარია, ბრძენთა თამაშის დღევანდელ მოდას რომ განსაზღვრავს და გამაერთიანებელი მატჩი კრამნიკი-ანანდი ბევრად უფრო ჟღერადი იქნება, ვიდრე მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს ჩემპიონისა და ფიდე-ს ამჟამინდელი ყოჩის, ალექსანდრ ხალიფმანის დაპირისპირება.

ალექსანდრ მოროზევიჩის გამოტოვება არ ეგების. საჭადრაკო მომწიფების ხანიდან რუსის კარიერა მკვეთრი აღმა-დაღმა სვლის ერთობლიობას წარმოადგენს. თუ რომელიმე შეჯიბრი მორიზევიჩის აღზევების პერიოდს დაემთხვა, მისი გაძლება ყველას უჭირს. ახლა ეს პერიოდი უნდა იდგეს: სტამბოლის ოლიმპიადაზე რუსი ანგრევდა ყველაფერს. ჩემპიონატზეც იგივეა მოსალოდნელი.

სხვა ფავორიტებიდან ასახელებენ ბრიტანელ „კაც-ობობას", მაიკლ ადამსს, რომელიც იმითაა ცნობილი, რომ ჭადრაკში არ ვარჯიშობს, სამაგიეროდ, ღვინო (უფრო სწორად ლუდი) და ქალები უყვარს. ამგვარი მსუბუქი ცხოვრებითაც კი ადამსი მსოფლიოს ათეულის წევრია და რომ ვარჯიშობდეს, წარმოიდგინეთ!.. ადამსმა ლას ვეგასის წინა პირველობაზე მეოთხედფინალიდან კრამნიკი გააგდო და ნახევარფინალი ვლადიმერ აკოფიანთან წააგო. კომენტარი ზედმეტია და პრინციპში, ალბათ, პროგნოზიც...

დელიში არიან ალექსეი შიროვი და ვასილი ივანჩუკი თავიანთი ლამაზი საჭადრაკო სტილით. იქვე ვხედავთ კრამნიკის სეკუნდანტობით სახელგავარდნილ ევგენი ბარეევსა და ბორის გელფანდს, პოზიციური სტილით თამაშში გრანდებსაც რომ ნერვებს აწყვეტენ. პიოტრ სვიდლერიც სახსენებელია და მოულლელი ვესელინ ტოპალოვიც, ხშირად მეათე პარტიას პირველზე კარგად რომ თამაშობს. და „კაცი-მანქანა" პიტერ ლეკო ან მუდამ გამოუცნობი ნაიჯელ შორტი? ალექსეი დრეევიც იქ არის და ჩვენი ზურაბ აზმაიფარაშვილიც. ამ ორს, აგრეთვე ალექსანდრ ბელიავსკისა და მიხეილ გურევიჩს ექსპერტები „ბებერ მგლებს" ეძახიან, ჩემპიონობას არა და, ხმაურიან თამაშს კი უწინასწარმეტყველებენ, ერთი-ორი ფავორიტის გამწარება ყველას შეუძლია.

61 ქალიდან დელიში 10 ქართველია, 5 ჩინელი და 5 რუსი, მაგრამ ბოლო ორ წელიწადში მომხდარი მოვლენებიდან და სტამბოლის ოლიმპიადის გამოძახილიდან გამომდინარე, ჩემპიონებს ჩინელებში უფრო ეძებენ. ჩემპიონობა თავისუფლად შეიძლება შეინარჩუნოს სიე ჟუნმა, ანდა მოიპოვოს მსოფლიო თასის პატრონმა სიუ იუნგჰუამ. ჟუ ჩენიც ერთობ ძლიერი დიდოსტატია. ქართველთაგან მაია ჩიბურდანიძის, ნანა იოსელიანისა და ქეთევან არახამია-გრანტის გამორჩევა შეიძლება, მათთან კი ნინო ხურციძისაც. ნონა გაფრინდაშვილმა საჭადრაკო ასაკს გადააბიჯა, დანარჩენები ჯერაც გამოუცდელები არიან.

პირველი ტური მაინცდამაინც იღბლიანად ვერ აგვეწყო. წააგეს ხურციძემ, ლელა ჯავახიშვილმა (ქეთევან კახიანი-გერშინსკასთან) და ნინო გურიელმა, ნახევარ ქულას ალისა მარიჩს გამორჩა სოფო ტყეშელაშვილი, მოიგო არახამია-გრანტმა, ხოლო ორ ქართულ დერბიში ინგა ხურცილავამ გაფრინდაშვილს მოუგო.

**დავით გულუა**

# ...ასურველი მარცხი



ბილი ჯინ კინგი და ლინდსი დევენპორტი

ს ვეგასი. აშშ. დარბაზი, ხალიჩა
ფედერაციის თასის ფინალი

**აშშ 5:0 ესპანეთი**

...ასკევი. ერთეულები: **მონიკა სელე...** — კონჩიტა მარტინესი 6:2, 6:3; **ლი...ნდსი დევენპორტი** — არანჩა სანჩეს ...კარიო 6:2, 1:6, 6:3
...ბათი. ერთეულები: **ლინდსი დევენ...პორტი** — კონჩიტა მარტინესი 6:1, 6:2; **...ენიფერ კაპრიატი** — არანჩა სა...ნჩეს ვიკარიო 6:1, 1:0 — ტრავმა; წყვი...ლები: **ჯენიფერ კაპრიატი და ლი...ზა რეიმონდი** — ვირხინია რუანო პა...სკუალი და მაგუი სერნა 4:6, 6:4, 6:2

...სოფლიოს სამი ყოფილი პირველი ...ერთიც მეორე) ჩოგნის მონაწი...ის მიუხედავად, დევისის თასის ...ური ანალოგია — ფედერაციის ...ფინალი ერთობ მოსაწყენი და ...ით გამორჩეული სანახაობა გა...ლას ვეგასის ცნობილ სასტუ...-სამორინე „მანდალეი ბეიში“ შე...ბილ 5 ათას მაყურებელს თავისი...ბის წარმატება, ალბათ, ძალიანაც ...სურდა, მაგრამ სპორტის აზარტის ...აკმაყოფილებლად მახლობელი ...ექ ჯექისა“ თუ „რულეტის“ მაგი...თან მოუხდებოდათ გადანაცლება. ...იმედგაცრუების მთავარი მიზეზი ...უმრების, ესპანელი მოთამაშეების ...ურხემლობა გახლდათ. გუნდმა, რო...მელიც 90-იანებში არანჩა სანჩეს-ვი...კარიოსა და კონჩიტა მარტინესის და...ხმარებით ხუთჯერ ჩემპიონი გახდა, ...ფინალურ 5 შეხვედრაში ორად ორი ...ეტი მოიგო და მასპინძლებს ხეირი...ანი წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია. ...ერთადერთი მატჩი, რომლის ასე თუ ...ისე გამორჩევა შეიძლება, პარასკევს ...შედგა ლინდსი დევენპორტსა და სა...ნჩეს ვიკარიოს შორის. ვეტერანმა ეს...პანელმა მეორე სეტში მოულოდნელად ...ძალი გამოიღო, ერთ მომენტში ზე...დიზედ 5 გეიმი მოიგო და ანგარიში ...გაათანაბრა.

...დაბნეულ ამერიკელს პირველად (და ...უკანასკნელად) დასჭირდა კაპიტნის, ...ლეგენდარული ბილი ჯინ კინგის და...ხმარება: „ვუთხარი, ალარაფერი გა...მოდის და სწორედ ის დროა, რამდე...ნიმე საჭირო რჩევა მომცე-მეთქი. ბი...ლი მომიბრუნდა და მოკლედ მიპასუ...ხა, ხაზების სიახლოვეს ბურთების და...რტყმას შეეშვი, კორტის ცენტრში გა...ლეგე და ამდენ შეცდომას ალარ დაუ...შვებო. გენიალურ გეგმას არ ჰგავს, ...მაგრამ მე ნამდვილად მიშველა“.

...გადამწყვეტ ხელში დევენპორტის ...უპირატესობა ისევ ცხადი გახდა, ამე...რიკელები კი პირველი დღის შემდეგ ...აც დაწინაურდნენ. შაბათს ესპანელებს ...სასწაულის მოხდენა და სამივე მა...ტჩის მოგება სჭირდებოდათ, რისი თა...ვადაც ნაკლებად ეიმედებოდათ.

...სტუმრებს საბოლოოდ იმავე დევე...ნპორტმა მოუთავა ხელი. ქუსლის ...ტრავმის მიუხედავად, თავის მხრივ ...დაყვნატკენ კონჩიტა მარტინესს მან ...ულ იოლად მოუგო და დარჩენილ ...ორ შეხვედრას აზრი დაუკარგა — ...ამერიკელები უკვე ჩემპიონები იყვნენ.

„...ეს გამარჯვება, თანაც დები უი...ლიამსების დაუხმარებლად, ძალიან მნიშვნელოვანია — ალნიშნა ლინდსიმ, რომელსაც შავების ოჯახთან პირადი ანგარიშები აქვს გასასწორებელი — ეს იმას ნიშნავს, რომ სერენასა და ვინუსის გარეშეც შესანიშნავი გუნდი გვყავს. არადა, თავიდან ცოტათი ვლელავდით, ვაითუ ყველაფერს თავი ვერ გავართვათ-მეთქი.“

1963 წელს დაფუძნებული ტურნირი იანკებმა უკვე მეჩვიდმეტედ მოიგეს. თუმცა ფედერაციის თასის პოპულარობას ვერაფერი შველის: ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია გაისადაც შეცვლის გათამაშების ფორმატს და გუნდების რაოდენობის გაზრდით შეეცდება მაყურებელთა და ვარსკვლავთა მიზიდვას.

სტოკჰოლმის ღია პირველობა.
შვედეთი. დარბაზი. ხალიჩა.
საპრიზო 800 ათასი $

მეოთხედფინალი: **მაგნუს ნორმანი** (1, შვედეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:7 (2:7), 7:5, 7:6 (7:4); **ევგენი კაფელნიკოვი** (2, რუსეთი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:3, 6:4; **სებასტიან გროჟანი** (6, საფრანგეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:1, 5:7, 7:5; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:7 (6:8), 7:6 (9:7), 7:5

ნახევარფინალი: **იოჰანსონი** — ნორმანი 7:6 (7:4), 6:2 **კაფელნიკოვი** — გროჟანი — არ გამოცხადდა.

ფინალი: **იოჰანსონი** — კაფელნიკოვი 6:2, 6:4, 6:4.

იმ დროს, როდესაც ტომას იოჰანსონმა გაბრწყინებული სახით ალმართა მთავარი ჯილდო და თანამემამულეებს მშობლიური ტურნირის მოგებით გამოწვეული სიხარული გაუზიარა, იქვე, სტოკჰოლმში, ალბათ ერთმა შვედმა გაბრაზებით გამორთო ტელევიზორი, პულტი მოისროლა და გვარიანად შეიკურთხა.

იონას ბიორკმანს გულღრძოობასა და შურიანობაში ბრალს ვერავინ დასდებს. იოჰანსონის ბედნიერ წუთებში საკუთარ თავზე დაბოღმილ შვედს იოლად გაუგებთ, თუ მათი მეოთხედფინალური შეხვედრის ამბავს შეიტყობთ — ბიორკმანი სეხნიას მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე 6:1-ის უგებდა, მაგრამ ზედიზედ ხუთი მატჩ-პოინტი ვერ გამოიყენა და სამ საათზე მეტად გაწელილი მატჩი წააგო.

ბეწვზე გადარჩენილი იოჰანსონი კი ჩემპიონობას ნამდვილად იმსახურებდა. მარტო ის რად ღირს, რომ სტოკჰოლმში მან პირადად დაამარცხა პირველი, მეორე და მესამე განთესილები, შესაბამისად მაგნუს ნორმანი, ევგენი კაფელნიკოვი და ტომას ენკვისტი, თანაც სეტიც კი არც ერთს დაუთმო.

გადამწყვეტი მატჩი იოჰანსონსა და კაფელნიკოვს შორის ნამდვილად უცნაური გამოდგა. სტოკჰოლმში მსოფლიოს ჩემპიონატის წინ წასავარჯიშებლად ჩასული რუსი შვედეთში ასე დიდხანს დარჩენას აშკარად არ გეგმავდა, მაგრამ რაკილა ფრანგ სებასტიან გროჟანს პარასკევს ბებია გარდაეცვალა და ფინალის საგზური უბრძოლველად გადაულოცა, საჩუქარზე და იოლ ქულებზე უარს ხომ არ იტყოდა.

„მასტერსის თასზე“ მოფიქრალ სოჭელს შესანიშნავად მოთამაშე იოჰანსონთან გაჯიბრება და მძიმე კვირის წინ ენერგიის „ტყუილუბრალოდ“ ხარჯვა აშკარად არ სურდა და პირველი სეტის წაგების შემდეგ მატჩზე ხელი ჩაიქნია. დროული ორმაგი შეცდომებით და მსაჯის მიმართ „ალშფოთებებით“ ჟენიამ ოსტატურად მიიყვანა ფინალი სასურველ და სწრაფ მარცხამდე, თუმცა წაგების პირას მყოფი ისე ხშირად ილიმებოდა, საკუთარი თავიც გასცა.

„ტომასი კარგი ჩოგბურთელია, მაგრამ არასტაბილურობა უშლის ხელს საუკეთესოთა შორის დამკვიდრებაში — ალნიშნა კაფელნიკოვმა — წაგების მიუხედავად, საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ და ლისაბონში წარმატებით ასპარეზობის იმედიც მაქვს.“

ბრაიტონი. ინგლისი.
„სამსუნგის ღია პირველობა“.
დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 400 ათასი $

მეოთხედფინალი: **ტიმ ჰენმანი** (1, ინგლისი) — კრის ვუდრაფი (აშშ) — ტრავმა; **დომინიკ ჰრბატი** (2, სლოვაკეთი) — დავიდე სანგვინეტი (7, იტალია) 6:2, 6:4; **ვლადიმირ ვოლჩკოვი** (5, ბელარუსი) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:1), 4:6, 6:3; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხრეთ კორეა) — რენცო ფურლანი (იტალია) 6:1, 6:3.

ნახევარფინალი: **ჰენმანი** — ლი 6:2, 6:4; **ჰრბატი** — ვოლჩკოვი 6:1, 6:0.

ფინალი: **ჰენმანი** — ჰრბატი 6:2, 6:2

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS სტოკჰოლმიდან

ტომას იოჰანსონი



# მაიერი — 30



**ამერიკაში** არის კონსტანტინოპოლი, პეტერბურგი, მემფისი და მისთანები და კურორტ ასპენის მიმდებარე მთისთვისაც აიაქსი უწოდებიათ მყვირალა სახელთა ტრადიციის განსამტკიცებლად. იმ მთის ფერდობზე პარასკევ-შაბათს ქალთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი შედგა, ჯერ სუპერ გიგანტის შეჯიბრი გაიმართა, მერე — სლალომისა და ცხადი გახდა, რომ ახალ სეზონს ყველაზე სოლიდურ ფორმაში გერმანელი მარტინა ერტლი შეხვედრია. პარასკევს იგი მეოთხე იყო, შაბათს — მეორე და არც ერთ ადრეულ ეტაპზეც მოწინავე პოზიციებს არ ჩასცდენია, რითაც საერთო ჩათვლაში დამაჯერებლად მოკალათდა პირველ ადგილზე.

სუპერ გიგანტი მიქაელა დორფმაისტერმა მოიგო. ავსტრიელი ამ საქმის დიდი სპეციალისტია და მეცხრე სათასო გამარჯვება მისთვის ალალია. ორნიც ითვლებოდნენ ფავორიტებად, კანადელი მელანი ტარჟონი და სლოვენი მოიკა შუჰადოლცი, მაგრამ ფინიშზე გადასვლა არც ერთს არ ეწერა, ორივე გზაში წაიქცა.

მეორე დღე, ისევე როგორც ერთი კვირით ადრე, იენიკა კოსტელიჩისა იყო. 18 წლის ლაჟლაჟა ხორვატმა მთლად ადრეულივით ვერა, მაგრამ სლალომში მეტოქეები ამჯერადაც გაანადგურა: უახლოეს მდევარს 0,84 წამი მოუგო. მუხლმომტვრეული მოთხილამურის ასე ტრიუმფით ალდგომა და დაბრუნება სამთოთხილამურობის ისტორიაში თითქმის უპრეცენდენტო ამბავია. თუმცა რა, სლავი გოგოს ტალანტი გასულ სეზონშიც კარგად ჩანდა, ის დაცემა რომ არა... კოსტელიჩმა მაშინ ლიდერის რანგში დატოვა მსოფლიოს თასი.

გვარიანად ჩრდილოეთით და გვარიან სიცივეში (-25°C) კაცები ქიშპობდნენ. ისინი კანადაში, ალბერტას პროვინციის ლეიკ ლუისის სამთოსათხილამურო სარბიელზე მოგროვილიყვნენ და სწრაფდაშვებასა და სუპერ გიგანტში ჭიდილს აპირებდნენ. პირველ დღეს (შაბათს) ჩაიჭრა ჰერმან მაიერი — სწრაფდაშვების ფინიშთან მხოლოდ მე-15 იყო, მაგრამ კვირას თავისებურად რომ აიწყვიტა, სუპერგიგანტი მოიგო. მეორე იყო ნორვეგიელი ლასე კიუსი, სწრაფდაშვებაში მესამე ადგილზე გასული და აქედანვე ცხადია — თუ ფეხის მოტეხვის ვარიანტები არ ამუშავდა, მაიერს თასისთვის დიდი ბატალიების გადატანა ელის, წვეროსანი ვიკინგი ამტკიცებს, რომ 99-ის თასი შემთხვევით არ დაუთრევია.

ჟურნალისტებმა, ცხადია, ავსტრიელიც და ნორვეგიელიც დაჰკითხეს. „ძნელი ტრასა იყო — თქვა მაიერმა — მაგრამ მე მიყვარს ძნელი ტრასები, გამარჯვებებიც მიყვარს“. ტრასის სიძნელეზე კიუსმაც იგივე თქვა და მერე სამთომოთხილამურობაში ავსტრიელთა დიქტატურასაც შეეხო. დამლალა იმათმა ბატონობამო, ალნიშნა კიუსმა, ხოლო მაიერი ერთობ აქო, ძნელად დასამარცხებელი კაცი უწოდა. ან სხვა რა უნდა ეთქვა: „ჰერმინატორმა“ კვირას ხომ თავისი 30-ე ეტაპი მოიგო.

**დავით გულუა**

**ქალები. სუპერგიგანტი**

24 ნოემბერი

1. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) 100; 2. რეჯინ კავანიუ (საფრანგეთი) 80; 3. კორინე რეი ბელეტი (შვეიცარია) 60.

**სლალომი**

25 ნოემბერი

1. იენიკა კოსტელიჩი (ხორვატია) 100; 2. მარტინა ერტლი (გერმანია) 80; 3. კრისტელ საიონი (საფრანგეთი) 60.

**საერთო ჩათვლა**

1. ერტლი 266; 2. დორფმაისტერი 186; 3. კავანიუ 144.

**კაცები. სწრაფდაშვება**

25 ნოემბერი

1. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 100 ქულა; 2. სილვანო ბელტრამეტი (შვეიცარია) 80; 3. ლასე კიუსი (ნორვეგია) 60.

**სუპერგიგანტი**

26 ნოემბერი

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 100; 2. კიუსი 80; 3. ანდრეას შიფერერი (ავსტრია) 60.

**საერთო ჩათვლა**

1. მიხაელ ფონ გრუნინგენი (შვეიცარია) 168; 2. მაიერი 160; 3. ჰაინც შილხეგერი (ავსტრია) 152.



# ხელბურთელებმა ისევ თენგიზ გაზდელიანი აირჩიეს

**კვირას** გაიმართა საქართველოს ხელბურთის ასოციაციის ყრილობა. განსახილველ საკითხთაგან უმთავრესი ორი იყო — ახალი პრეზიდენტის არჩევნები და საქართველოს ეროვნული ნაკრების მონაწილეობა 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

არჩევნებში ძველ პრეზიდენტ თენგიზ გაზდელიანს კონკურენტი არც ჰყოლია და ახალი ვადით ერთხმადაც აირჩიეს. ამაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა და ამიტომ მეტი ინტერესი მეორე საკითხმა გამოიწვია.

ევროპის ჩემპიონატი 2001 წლის 3 ივნისიდან იწყება და მიმოსვლით ტარდება, მაგრამ ხელბურთის ასოციაციას უფულობის გამო არ შეუძლია საშინაო მატჩების ორგანიზება. ამიტომ გაჩნდა საშიშროება, რომ ჩვენს ნაკრებს ყველა თამაშმა სტუმრად მოუწიოს, რაც საბოლოო წარმატების მიღწევის შანსს ამცირებს. სწორედ ამაზე იმსჯელეს ყრილობაზე. სპორტის დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი და ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ გაზდელიანი შეთანხმდნენ, ერთობლივად იმუშაონ პრობლემის მოსაგვარებლად. შეიქმნა ოთხკაციანი მუშა ჯგუფი (გიორგი კარტოზია, მერაბ მეტრეველი, ალეკო კიკაბიძე, ზაზა დოლიძე), რომელსაც დაევალა სავარაუდო სპონსორთა მოძიება. ამ ჯგუფთან უშუალოდ მეძმარიაშვილი და გაზდელიანი იმუშავებენ.



24 ნოემბერი
დალასი — კოლუმბუსი 3:0
ბოსტონი — კაროლინა 1:3
ფილადელფია — პიტსბურგი 0:1
მინესოტა — ჩიკაგო 2:0
ბუფალო — რეინჯერსი 3:2
ვაშინგტონი — აილენდერსი 1:0
ტამპა — ფლორიდა 2:1
დეტროიტი — ვანკუვერი 3:2
ნეშვილი — სენტ ლუისი 0:4
კალგარი — ანაჰაიმი 2:2

25 ნოემბერი
სან ხოსე — ნიუ ჯერსი 2:3
კოლორადო — კალგარი 3:2
სენტ ლუისი — ფინიქსი 5:1
კოლუმბუსი — დალასი 2:4
ედმონტონი — ანაჰაიმი 3:2
ფლორიდა — ტამპა 2:1
აილენდერსი — დეტროიტი 3:4
მონრეალი — ბუფალო 3:5
ტორონტო — ოტავა 2:4
პიტსბურგი — ლოს ანჯელესი 2:2

26 ნოემბერი
ფილადელფია — ფინიქსი 1:2
რეინჯერსი — ოტავა 3:2
მინესოტა — ვანკუვერი 4:2
ბოსტონი — ლოს ანჯელესი 4:4
კაროლინა — ნეშვილი 4:7




# კლიჩკო, რომელიც კლიჩკოა

ერთი მხრივ, კლიჩკო კლიჩკო არ არის ანუ ვლადიმირ კლიჩკო სხვაა, ვიტალი სხვა. მეორე მხრივ, კლიჩკო კლიჩკოა ანუ ვლადიმირი იქნება თუ ვიტალი, რინგზე იბრძვის და იმარჯვებს. ერთი სიტყვით, ვლადიმირ კლიჩკო რომ WBA-ს მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონია, მისი ძმა ვიტალი ჰანოვერში ევროპის ჩემპიონი გახდა — გერმანელი ტიმო ჰოფმანი ქულებით დაამარცხა და ფოტოზე ხედავთ, როგორც ზეიმობს.



# ჩვენება

ბედნიერი ხალხია სანპაულოელები, მათ შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა და რუსმა ანა კურნიკოვამ აჩვენეს...

... რომ სათამაშოდ ბრაზილიაში ჩასვლა არ ეზარებათ;

... როგორ უნდა ჩოგბურთის თამაში;

... რომ აუცილებელი არ არის შეხვედრა ოფიციალური იყოს;

... რომ გულშემატკივართ ავტოგრაფი არ უნდა დააყვედრო;

ფოტოზე ბოლო პუნქტის დადასტურებას ხედავთ. ავტოგრაფს 5:7, 6:1, 6:4 გამარჯვებული ჰინგისი არიგებს.

# ვარაუდი

ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ძალიან მდიდარი ქალბატონი იანა ანგელოპულოსი და იმავე საქმის საერთაშორისო კოორდინატორი, ბატონი ჟაკ როგი პრესკონფერენციაზე ბრძანებენ, რომ ოლიმპიადა მართლაც ათენში გაიმართება. ოღონდ ბერძნებს მეტი მონდომება მართებთ. ჩვენი ქართული ვარაუდით ეს იმას ნიშნავს, რომ მასპინძლებმა ამ საქმისთვის გამოყოფილი ფულით მეტისმეტად გამდიდრება არ უნდა მოინდომონ.




REUTERS ათენიდან

# რა გირჩევნიათ?

იყოთ ნიგერიელი, ქალ ფეხბურთელთა ნაკრებს საქომაგოდ სამხრეთ ამერიკაში გაჰყვეთ, ფინალში თქვენმა გუნდმა მასპინძლებს ორი უპასუხო გოლი გაუტანოს, ჩემპიონი გახდეს და დატკბეთ, როგორ აღმართავს კაპიტანი ფლორენს ივეტა ჯილდოს (ერთადერთი ადგილობრივ გულშემატკივართან ჩხუბი შეგაწუხებდათ, თუმცა პოლიცია გაგაშველებდათ, რაც ფოტოთიც მტკიცდება. სხვათა შორის, მატჩი ამ ჩხუბის გამო ვერცკი დამთავრდა), თუ იყოთ, ვინც ხართ, ვერსად წახვიდეთ, თქვენი გუნდი ვერავის უგებდეს, გციოდეთ, შუქი არ გქონდეთ...







REUTERS კალგარიდან

# დამაბნეველი ფოტო

და თქვენ გგონიათ, რომ ეს ბიჭი მაიმუნობს? როგორ გეკადრებათ! ის, ამერიკული ფეხბურთის მონრეალის გუნდის მცველი მაიკ პრინგლი, ვარჯიშზეა და ასე ვთქვათ, იჭიმება. ოღონდ, თქვენი ჭირიმე, იჭიმება ისე არ გაიგოთ, თითქოს ვინმეს ეუბნებოდეს: ე, ბიჭო, შენ რამე არ შეგეშალოს, ძმაო!

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

# არსენალს ქართული მადა ემცხეთა

დასაწყისი პირველ გვერდზე

— ვიცი, რომ №13-ით (ხიზანიშვილს ძნელად გამოსათქმელი გვარი აქვსო) ლონდონის „არსენალი“ იყო დაინტერესებული. დღეს სამწუხაროდ, მატჩის დასაწყისშივე დაშავდა და ძნელი იყო მისი შეფასება, მაგრამ მახსოვს, ანკონაში როგორ ითამაშა იტალიასთან და შემიძლია ვთქვა, ძალიან კარგი ფეხბურთელია.

**— თქვენ ფიფას აგენტი ბრძანდებით?**

— დიახ?

**— რომელი ქვეყნიდან, იტალიელ აგენტთა სიაში თქვენი გვარი ვერ ვიპოვეთ?**

— უფრო ზუსტად რომ ვთქვა, მე ფიფას ინგლისელი აგენტის, ბერი სილქმანის სახელით ვმუშაობ — აქაც მას წარმოვადგენ.

**— როგორც თქვით, ჩვენს ქვეყანაში სტუმრობას კიდევ აპირებთ.**

— ვიმედოვნებ, მაიკლი (მიხეილ ძოძუაშვილი) ისევ დამპატიჟებს და სიამოვნებით ჩამოვალ.


რევაზ ძოძუაშვილი და ზურაბ ხიზანიშვილი

ერთი სიტყვით გაირკვა — პევერალი ფიფას აგენტი კი არა, მისი წარმომადგენელი ყოფილა. რაკი ეს უზუსტობა დავაზუსტეთ, მოდით, მის პატრონ ბერი სილქმანზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა:

სილქმანი ინგლისელია, 70-იან, 80-იან წლებში „ჰერეფორდში“, „კრისტალ პალასში“, პლიმუთში“, „ლუტონში“, „მანჩესტერ სიტიში“, „ბრენტფორდში“, „ქუინზ პარკში“, „ლეიტონ ორიენტში“, „საუთენდსა“ და „ქრიუში“ უთამაშია. ცოტა ხნის წინ აგენტობას მწვრთნელობას და ნონლიგაში მოასპარეზე „ვინგეიტის“ და „ფინჩლის“ მოთამაშეობასაც უთავსებდა. მის ამჟამინდელ კლიენტთაგან ყველაზე ცნობილი „მიდლსბროს“ ავსტრალიელი მეკარე მარკ შვარცერია. „ქრიუს“ ნიგერიელი მეკარე აბელომა ბანკოულის და „დარლინგთონის“ უელსელი თავდამსხმელის ლი ნოგანის გვარ-სახელი კი ბევრს ალბათ არაფერს გეუბნებათ.





მაურიციო პევერალის სავიზიტო ბარათი: ფიფას აგენტ ბერი სილქმანის სახელით

და ეს მაშინ, როცა ჩვენ უკვე კარგად ვიცით, ჯანლუკა ვიალის, სვენ გორან ერიკსონს და ზურაბ ხიზანიშვილს ერთი აგენტი ჰყავთ — ათოლ სტილი.

— ჩემმა აგენტმა ჯერ კიდევ 17 ნოემბერს დამირეკა და მითხრა, „არსენალთან“ მოლაპარაკება ჩაიშალაო.

**— ესე იგი, 18 ნოემბერს, ლონდონური კლუბის მთავარ სკაუტს სტივ როულს თბილისში ტყუილად ელოდნენ?**

— სტილმა მითხრა, როულის მანდ ჩამოსვლას აზრი აღარ აქვს. მისი ვიზიტის მიზანი „ლოკომოტივთან“ თანხაზე მოლაპარაკება იყო, მაგრამ ქართული მხარე იმდენს ითხოვს შენს სანაცვლოდ, მოლაპარაკებას აზრი ეკარგებაო.

**— ვინ ითხოვდა ამ თანხას?**

— მეც ეგ მაინტერესებს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გავარკვიე.

**— „ლოკომოტივს“ „არსენალთან“ მიხეილ ძოძუაშვილი წარადგენდა — ის ქართული კლუბის ინტერესებს იცავდა და სავარაუდოა, რომ ლონდონელებს უბრალოდ თბილისელთა მოთხოვნებს უყენებდა.**

— ვერაფერს ვიტყვი.

**— ლატვიური „სკონტოს“ მენეჯერს რა ხელი ჰქონდა ამ ქართულ-ინგლისურ ტრანსფერთან? ან შენი აგენტი სად იყო ამ დროს?**

— ათოლ სტილმა მიშიკოს გზა მისცა, კლუბებს შორის მოლაპარაკების გასამართად. მაგრამ, ჩემს პირად კონტრაქტზე რომ მიდგებოდა საქმე, მერე სტილი უნდა ჩარეულიყო.

**— „ლოკომოტივში“, ფედერაციაში ვერავინ გვითხრა, რამდენწლიანი კონტრაქტი გაკავშირებს რკინიგზელებთან.**

— არცერთდღიანი! მე „ლოკომოტივში“ 3 თვით ვიყავი ამ გაზაფხულზე, ისიც იმ პირობით, რომ მერე წასვლაზე პრობლემას აღარ შემიქმნიდნენ. ალბათ ასეც იქნებოდა — არსენალის“ ვარიანტი რომ არ გამოჩენილიყო, არავინ დამაკავებდა და ვერც დამაკავებდნენ.

**— გამოდის, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელთა პასუხი, ზუსტად არ ვიცით, რამდენწლიანი კონტრაქტი აქვსო, უცოდინრობა კი არა, სიმართლის დამალვის სურვილი იყო?**

— მაჩვენონ რა კონტრაქტი მაქვს. ხელშეკრულების გასაფორმებლად ვინმე ხომ უნდა მოსულიყო. პირობები ხომ უნდა შემოეთავაზებინათ, რა ვადით, რა თანხაზე. ჩემთან არავის ულაპარაკია კონტრაქტზე და რომც შემოეთავაზებინათ, ხელს არ მოვაწერდი, რადგან უცხოეთში წასვლა მქონდა გადაწყვეტილი.

**— იცოდით, რომ შაბათის ქუთაისური მატჩის იტალიელი სტუმარი ფიფას აგენტი არ ყოფილა? ამბობდნენ, ის ხიზანიშვილის და სილაგაძის სანახავადაა ჩამოსულიო.**

— მისი ვინაობა არ მაღელვებს. მადლობელი ვარ ზრუნვისთვის, მაგრამ მე ჩემი აგენტი მყავს — გვითხრა ზურაბ ხიზანიშვილმა.

ყველაფერი გასაგებია. „არსენალს“ ქართული მადა ემცხეთა და ხიზანიშვილის ტრანსფერი ჩაიშალა. ასეთ დროს ფეხბურთელის ინტერესები ფედერაციამ უნდა დაიცვას. ფედერაცია კი კითხვაზე, რამდენწლიანი კონტრაქტი აქვს ხიზანიშვილს „ლოკომოტივთან“, ასე პასუხობს: ამის გამხელის უფლება არ გვაქვს, ეს კლუბის და ფეხბურთელის პირადი საქმეაო.

აჰა, ბატონო, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებს ამნეზია სჭირთ, ფეხბურთელი კი ამბობს, კონტრაქტი არ მაქვსო. იქნებ, ახლა მაინც გაგვიმხილოთ, რა ხდება, ან უკონტრაქტოდ როგორ ათამაშებენ რკინიგზელები ხიზანიშვილს ეროვნულ ჩემპიონატში.

**ვახტანგ ზზიძაძე**

## საქართველოს წილისყრა თასის მეოთხედფინალი

**გუშინ** სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში საქართველოს თასის მეოთხედფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. ათწუთიან პროცესს სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტის თავკაც გია ფირცხალავასთან ერთად კომიტეტის წევრები, ნოდარ კაკულია და მალხაზ ლაცაბიძე უძღვებოდნენ. რვა გუნდიდან წარმომადგენელი მხოლოდ ფოთის „კოლხეთს“ არ ჰყავდა, ამიტომაც კოლხთა წილი ბურთულა ლოტოტრონში დარჩა, დანარჩენებმა კი სატურნირო ცხრილის გათვალისწინებით მიმდევრობით ამოიღეს ბურთულები. კენჭისყრის პრინციპი მარტივი იყო. კენტ რიცხვიანებს პირველი მატჩები შინ უნდა გაემართათ. პირველი ნომერი მეორესთან წყვილდებოდა, მესამე-მეოთხესთან და ასე შემდეგ. ბოლოს ყველაზე კმაყოფილი „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტი ტარიელ ღვაბერიძე დარჩა, ბუნებრივიცაა, რკინიგზელებს მეტოქედ პირველლიგელი „სამგურალი“ ერგოთ.

გუშინდელი კენჭისყრის უმთავრესი ინტრიგა კი იმაში გამოიხატა, რომ უმაღლესი ლიგის პირველი ხუთეულიდან ოთხმა ორი წყვილი შეადგინა. თანაც ისეთი, წინასწარ რომ ვერაფერს განსაზღვრავს კაცი. კენჭისყრის შედეგები ასეთია:

**სამგურალი — ლოკომოტივი**
**დილა — მერანი**
**კოლხეთი — ტორპედო**
**დინამო — ვიტ ჯორჯია**

მეოთხედფინალური ეტაპის პირველი მატჩები 6 დეკემბერს გაიმართება, საპასუხო კი ოთხი დღის შემდეგ, 10 დეკემბერს ჩატარდება.

**ბაატა კვანტალიანი**

ქუთაისი
25 ნოემბერი
15 საათი
ტორპედო
12 000 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 0:0 ლოკომოტივი**

**ტორპედო:** ზოიძე, ახვლედიანი, შალამბერიძე, ზ. არჩვაძე, ხვადაგიანი, გუჩუა, ა. კვეტენაძე (იმედაძე 74), ჩხეტიანი (გაბიდაური 81), ასათიანი, ჯანაშია, იონანიძე
სათადარიგონი: ტოგონიძე, თავბერიძე, მახვილაძე, შენგელაძე, მ. ბობოხიძე
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, ხიზანიშვილი (გოგჩარიშვილი 64), თოდუა, გილაური, კვარაცხელია, ქიქველიშვილი, გოგიჩაიშვილი (პარამონოვი 72), რუსია (გაგუა 86)
სათადარიგონი: ძალანაძე, ხურონძე, დავითაშვილი, გ. შენგელია
**გაფრთხილება:** იონანიძე (10), ხიზანიშვილი (49), გაგუა (89)
**მსაჯები:** კ. მჭედლიძე (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

საქართველოს უმაღლესი ლიგა, 12-ე ჩემპიონატი, მეორე წრე

# 15 ტური

# პირველი ჯიშკარიანული

ხაშური
25 ნოემბერი
15 საათი
გრიგოლ ჯომართიძე
250 (ტევადობა 8 000)

**იბერია 0:2 მერანი**

0:1 მინაშვილი (5), 0:2 ბოლქვაძე (52)
**იბერია:** ჩომახიძე, ჟვანია, გ. ნოზაძე, მიქელთაძე, ნ. გიორგაძე, ლ. ხმალაძე, ყურაშვილი, გიგიაძე, ბიწაძე, ზ. მეტრეველი (ონიანი 61), მუმლაძე
სათადარიგონი: ვარდანიძე, ჩიმაკაძე, ქოლაძე
**მერანი:** დევაძე, ბოლქვაძე (გ. ილურიძე 75), გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, კობესაშვილი, გ. კვეტენაძე, დ. გოდერძიშვილი (სილაგავა 85), როსტიაშვილი (კაკუბავა 68), ჭინჭარაული, მინაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია, თოლორდავა, მუხინი, ოდიშარია
**გაფრთხილება:** კვეტენაძე (10), გუჯაბიძე (42), ბოლქვაძე (60)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; გ. კოკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**დავით თავართქილაძე ხაშურიდან**

**მეექვსე** ტურის აქეთ „მერანს“ ვერ მოეგო და სამტრედიელთა ძლევას მართლაც რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა — ავჭალელებმა ხომ ნავსი, როგორც იქნა, გატეხეს და ექვსეულში გაღწევის უკეთესი პერსპექტივაც შეექმნათ. ერთი სიტყვით, ხაშურში იმ დღეს მოსახდენი მოხდა, თუმც „იბერიასგან“ მეტს ველოდით, რადგან სოსო ფრუიძის გუნდს ჯერაც ვერ გაუმარჯვია მეთორმეტე ეროვნულში, თანაც საშინაო მატჩში „მერანამდე“ საკმაოდ მედგრად გაუძალიანდა ფოთის „კოლხეთს“.

მერანელთა ახალდანიშნულმა დამრიგებელმა დათო ჯიშკარიანმა ახლებური განლაგებით ათამაშა გუნდი გრიგოლ ჯომართიძის სახოლობის სარბიელზე — დაცვაში გუჯაბიძესა და ცქიფურიშვილს კობესაშვილი შეაშველა, სოსო დევიძე ნახევარდცვის მარჯვენა ფლანგზე გაამწესა, საყრდენებად — ამ პოზიციაზე უკვე ნაცადი კვეტენაძე და ჭინჭარაული, ხოლო მათ წინ დავით ბოლქვაძე ათამაშა. ეს სიახლე გარკვეულწილად ცდა იყო გუნდში კრიზისის დაძლევისა და უნდა ითქვას, რომ სასიკეთოდ წაადგა „მერანს“.

...საგოლე ჯარიმა ბოლქვაძემ მოინადირა ზედ სამტრედიელთა საჯარიმოს ხაზთან, დათო ჯიშკარიანმა კი მყისვე გასცა განკარგულება: „მინა, მინა!“ ბურთთან მწვრთნელის დამჯერე მამუკა მინაშვილი მივიდა, ფაქტობრივად, გამორბენის გარეშე რბილად გადაავლო ის ცოცხალ კედელს და ალექსანდრე ჩომახიძეს შორეულ კუთხეში „ჩაუსვა“. სტუმრები გატანილი გოლის შემდეგაც დომინირებდნენ, მეტად ხისტად და აგრესიულად ირჯებოდნენ, მაგრამ დალაგებული თამაში არ გამოსდიოდათ. გოლის შემდეგ მეორე ტაიმამდე სანტერესო არც არაფერი შეუქმნიათ, ერთი ეგ იყო, რომ კვეტენაძემ საკმაოდ შორი მანძილიდან მოინდომა ჩომახიძის გაწბილება, მაგრამ მის ღონიერ დარტყმულს სიზუსტე დააკლდა. ერთხელ „იბერიამაც“ გამოიჩინა ფხა — ზურაბ მეტრეველმა მარჯვენა ფლანგიდან მოულოდნელად, მეკარისთვის მეტად უხერხული ტრაექტორიით გაგზავნა ბურთი „მერანის“ კარისკენ, რომლის ბადეც მხოლოდ ზემოდან შეარხია.

შესვენების შემდეგ მატჩის საერთო სურათი არ შეცვლილა. „იბერია“ უმწეოდ გამოიყურებოდა, „მერანს“ ძალა ერჩოდა. მეორე გოლი სტუმრებმა კუთხურიდან გაიტანეს — კვეტენაძის ჩაწოდებულ ბურთს ბოლქვაძემ თავური შეაგება და ახლო მანძილიდან შანსი არ დაუტოვა სამტრედიელთა მეკარეს.

ალსანიშნავია, რომ კვეტენაძე და ბოლქვაძე დანარჩენ მერანელებზე უკეთ გამოიყურებოდნენ, რაც, პირველ ყოვლისა, ალბათ იმან განაპირობა, რომ ისინი ადრე არცთუ ხშირად ხვდებოდნენ გუნდის ძირითად შემადგენლობაში და ძალები შემონახული ჰქონდათ.

კვლავ ერთობ მოწადინებული გახლდათ „მერანის“ ბომბარდირი დავით გოდერძიშვილი, რომელმაც ვერა და ვერ გაზარდა თავისი 8-გოლიანი მონაგარი მეთორმეტე ეროვნულში. ხაშურში შეეძლო, ეს გაეკეთებინა, როცა კვეტენაძემ კარგი პასი გაუჭრა, მაგრამ ფაქტობრივად ჩომახიძესთან პირისპირ გასულმა მერანელთა მეგოლემ მეკარეს ვერ აჯობა.

...„იბერიამ“ კი მეთოთხმეტედ წააგო და მაინცდამაინც არც დაიძრახება გუნდში და მის გარშემო შექმნილი სიტუაციის გამო. აი, პრესტიჟის გოლის გატანა კი ნაღდად მართებდათ სამტრედიელებს — შეხვედრის ბოლო წუთებში ლაშა ხმალაძემ ბურთი მეტოქე მცველების ზურგსუკან „მერანის“ საჯარიმოში ჩააგდო, რის შემდეგადაც გიგაძე აკაკი დეკაძესთან პირისპირ რჩებოდა, მაგრამ სამტრედიელთა პლეიმეიკერმა უბრალოდ ბურთის გაჩერება ვერ შეძლო.

მისალოცად აქვს საქმე დათო ჯიშკარიანს — მან, როგორც მთავარმა მწვრთნელმა, პირველად მოაგებინა „მერანს“. მართალია, მის გუნდს აუტსაიდერთან ლაღი, კომბინაციური და გააზრებული თამაში ნამდვილად არ უჩვენებია, გოლებიც სტანდარტული სიტუაციებიდან გავიდა, მაგრამ სამი ქულა ხომ ნაღდი შედეგია.

## იტალია

**სერია B. XIII ტური**
**რავენა 0:0 სამპდორია**

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. XIV ტური**
**ზანქტ პაული 2:2 მაინცი**

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
♦ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
♦ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
♦ კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

ეროვნული ბიბლიოთეკა



შაბათს მცხეთაში: თსუ — „კოლხეთი“: კოლხი ვალერი ტორჩინავა (№3) სტუდენტი რევაზ გოცირიძის (ბურთით) გზაზე

# სამზეო და საფრეო

მცხეთა
25 ნოემბერი
15 საათი
არმაზი
250 (ტევადობა 3 000)

**თსუ 0:0 კოლხეთი**

**თსუ:** გუგუნავა, ხარებავა, ებრალიძე, არეშიძე, ხანიძე, რ. გოცირიძე, წუწუნავა, ახალაძე, მგელაძე, ადამია, ვადაჭკორია (მორჩილაძე 60)
**სათადარიგონი:** მამარდაშვილი; ზვ. ლაბაძე, ბ. ნოზაძე, ა. ბოკერია
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, კაკლიაშვილი, ხუჭუა, ე. გვასალია, ფანჩულიძე, ქვირკველია (ლაღიძე 65), ახალკაცი, გოგიაშვილი (კრასოვკი 78), გ. ჩიტაია (ქუნთელია 46)
**სათადარიგონი:** ჩემია; პაპავა, ქანტურიძე, პ. ბაჩილავა
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი), ზ. დოლიძე, ზ. ჯვარიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიშვილი

**პაატა პჯანტალიანი მცხეთიდან**

**ჩინებული**, მზიანი დარი დაუხვდათ შაბათს გუნდებს „არმაზზე“. „კოლხები“, ბუნებრივია, ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ გარკვეულ ინტრიგას მწვრთნელშეცვლილი თსუ ბადებდა. საკითხავიც ის იყო, იტყოდა თუ არა თავის სიტყვას მერაბ კოჭლაშვილი სადებიუტო მატჩში.

მატჩის დასაწყისი თსუ-ს კარგს არაფერს უქადდა. „კოლხეთმა“ დებიუტშივე მოიპოვა სათამაშო უპირატესობა, რაშიც დიდი წვლილი გამოცდილმა თამაზ კიკლიაშვილმა დაიდო და მეექვსე წუთისთვის ფანჩულიძის (ორი) და კიკლიაშვილის შორეული დარტყმებით სამჯერ დაემუქრა მეტოქის კარს. ძირითად შემადგენლობაში მოხვედრილი თსუ-ს სათადარიგო მეკარე კონსტანტინე გუგუნავა ცოტას კი ნერვიულობდა, მაგრამ ამ ეპიზოდების დასრულებაში დიდი წვლილი შეიტანა. მეათე წუთზე კი სტუდენტებს ახალი მწვრთნელის გახარება შეეძლოთ — ახალაძის ზუსტი პასის შემდეგ წუწუნავამ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდომაზე გამოიჭირა მეტოქე მცველები და მამუკა გვასალიას პირისპირ აღმოჩნდა, თუმცა ბოლო წამს ბურთი ველარ დაიმორჩილა და სტუდენტები კუთხურსლა გამორჩნენ. ამ მომენტისთვის კოლხები ცხრანი იყვნენ. ახალკაცს უხერხულ ადგილზე ბურთი მოხვდა და სარბენ ბილიკზე გორაობდა, გოცირიძესთან ბრძოლაგადატანილ გაგა ჩიტაიას კი გატეხილ თავს უხვევდა გუნდის ექიმი.

სტუმრები ისევ და ისევ გამოცდილმა კიკლიაშვილმა დაალაგა. მისი აუღელვებელი, ნაყოფიერი გარჯა ზღვისპირელებს სწრაფი შეტევების საშუალებას აძლევდა და ათწუთიან მონაკვეთში თსუ ორჯერ ხარიხამ, ერთხელ კი გუგუნავამ იხსნა. განსაკუთრებით გამოსარჩევი ელდარ გვასალიას 25 მეტრიდან გასროლილი იყო. წონასწორობადაკარგული მეკარე ვერაფრით შეეწეოდა თავისიანებს, ბურთი რამდენიმე სანტიმეტრით დაბლა რომ ყოფილიყო. ტაიმის ბოლოს ფანჩულიძესაც შეეძლო გატანა, ძლიერი დარტყმით გამორჩეული კოლხი ნახევარმცველი ხუჭუას შორეულ პასს დაუხვდა და შეუჩერებლივ გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში — გუგუნავამ სასწაულებრივ იხსნა სტუდენტები.

მეორე ტაიმიც კოლხების უპირატესობით დაიწყო და კიკლიაშვილის პასით ხელსაყრელ პოზიციაში დარჩენილ იმავე ფანჩულიძეს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, 10 მეტრიდან ანგარიშსაც გახსნიდა, 56-ე წუთზე კი გოცირიძემ გოლი გაიტანა, თუმცა აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან.

ამ ეპიზოდიდან მასპინძლებს სადავო ის დარჩათ, რომ თანამსაჯმა ზურაბ დოლიძემ ალმის აღმართვა დააგვიანა. შეცდომამ მასპინძლები ერთხელაც ალაშფოთა — გოცირიძე ორ მეურვეს გაუძვრა ეფექტურად და ანიაშვილმა რატომღაც თამაში შეაჩერა, თსუ-ელი დააჯარიმა. არადა, გოცირიძეს გზა რომ გაეგრძელებინა, თავსატეხს გაუჩენდა სტუმართა მეკარეს.

მერაბ კოჭლაშვილის შეგირდებმა მე-60 წუთისთვის მთლიანად შეცვალეს სიტუაცია მოედანზე. ამაო შეტევით გაღიზიანებული „კოლხეთი“ მოეშვა და ორჯერ გოცირიძემ ასპროცენტიანი საგოლე მომენტი გაფლანგა. ჯერ შეცვლაზე შესული მორჩილაძის აქტიურობას მოყოლილი მომენტი ცარიელი კარიდან ხუთ მეტრში მყოფმა ვერ დაასრულა, შემდეგ კი ახალაძის ჩინებული პასი გააცუდა.

მატჩის ბოლოს კოლხებმა ძალა მოიკრიბეს და გუგუნავას შეცდომით რომ ესარგებლათ, სამ ქულასაც გზად გაიყოლებდნენ, მაგრამ ფანჩულიძის დარტყმული ბურთი არეშიძემ კარის ხაზიდან კუთხურზე მოიგერია.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „კოლხეთის“ მთავარ მწვრთნელ სოსო ფილიას არ დაუმალავს რომ წინდაწინ სამ ქულას გეგმავდა. ფილიამ გარჯა შეუქო სტუდენტებს და მერაბ კოჭლაშვილს სადებიუტო ქულა მიულოცა.

„ჩემი გუნდის შუა ხაზი დახვეწას და ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს. მალე „კოლხეთი“ საგრძნობლად გახალისდება. ჩვენ გვაქვს ამის საშუალება და გამოვიყენებთ კიდეც“ — განაცხადა კოლხთა თავკაცმა.

მერაბ კოჭლაშვილმა კი მოკლედ მოჭრა, გოცირიძეს მეტი ყურადღება მართებდა, ჩვენთვის თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს და თავს არ დავზოგავთო.

# იდუმალი ტრანსფერი, გორდას გამხარებელი

რუსთავი
25 ნოემბერი
15 საათი
ფოლადი
2 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 3:0 დილა**

1:0 მელაძე (53), 2:0 მიშველიძე (66), 3:0 იეჩიანი (90)
**გორდა:** ნიკურაძე, გაბელაია, ა. ბურნაძე, ბექაური, ლაშა სილაგაძე, ზ. ლაბაძე (იეჩიანი 46), ა. ბუკია (კიტეიშვილი 46), მელაძე, კ. ალადაშვილი, მიშველიძე (ბერიძე 89), ჯელაძე
**სათადარიგონი:** გონგაძე; მჭედლიძე, მ. სახვაძე, ს. ბაჩილავა
**დილა:** მდივანი, აკოფიანი, გრიგალაშვილი (ა. ხმალაძე 67), ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, ციცქიშვილი (საყვარელიძე 75), ფეხუაშვილი, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი, რევაზიშვილი
**სათადარიგონი:** თ. ილურიძე; ხოხობაშვილი, ტუღუში, მ. ბურნაძე
**გაფრთხილებები:** ჯელაძე (37), მელაძე (56), ფეხუაშვილი (60)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ვ. ელოევი (ცხინვალი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

**გიორგი ვაშაკიძე რუსთავიდან**

**„გორდას“** პატრონი გამოუჩნდა, პატრონმა ფული მოიტანა, ფულმა გუნდში არმაზ ჯელაძე მოიყვანა, მან კი რუსთაველებს თერთმეტმატჩიანი მოუგებელი სერია შეაწყვეტინა და მოგებას მოწყურებული „გორდაც“ გაახარა. არა, არმაზ ჯელაძეს, რუსთველთა ახალწვეულს, გოლი არ გაუტანია, მაგრამ ნამატჩევს ყველა ერთსულოვნად აღნიშნავდა, მატჩი ჯელაძემ მოიგოო.

არადა, მეთორმეტე ეროვნულის რეგლამენტით არმაზ ჯელაძეს თამაშის უფლება არ უნდა ჰქონოდა. რატომ? პირველივე ტურში, ხაშურში, სამტრედიის „იბერიასთან“ ფორვარდმა თბილისის „ლოკომოტივში“ საწყისი 64 წუთი ითამაშა. რეგლამენტის თანახმად კი თუ ფეხბურთელმა ერთი გუნდის შემადგენლობაში თუნდაც ერთი შეხვედრა ჩაატარა, დახურული სატრანსფერო სეზონის გახსნამდე სხვა გუნდში ვერ ითამაშებს.

რა, გამოდის, დარღვევა იყო? ყოველივე „გორდას“ ხელმძღვანელობამაც უწყოდა, ცხადია, საქმეში ფედერაცია ჩაერია. მერე კი ცნობილი გახდა, რომ არმაზ ჯელაძეს „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი თურმე დაუსრულდა (არადა, რევაზ ძოძუაშვილმა იგი რკინიგზელთა რიგებში ჩემპიონატის დაწყებამდე მიიწვია), ფეხბურთელმაც ბედის საძებრად უცხოეთს მიაშურა, ფეხი ვერც იქ მოიკიდა და ზუსტად ოთხი წლის შემდეგ მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა. უცხოეთიდან დაბრუნებულისთვის ფედერაციას კი კარი ყოველთვის ღია აქვს. ერთი სიტყვით, „იდუმალი“ ტრანსფერი ერთობ ბუნდოვანია.

ალბათ, ახლა დროა, თავად მატჩზეც გითხრათ. ორივე გუნდი ერთმანეთს რამდენიმე დღის წინაც გადაეყარა, ის მატჩი თასის მერვედფინალის საპასუხო გახლდათ. მაშინ როგორც „დილას“, ისე „გორდას“ თავკაცები თითქმის ერთხმად ამბობდნენ, მთავარი მატჩი წინ გველისო. იასონ ალადაშვილიც და ვაჟა ხაჩირაშვილიც, თქმა არ უნდა, ჩემპიონატის შეხვედრას გულისხმობდნენ, თორემ ორივემ კარგად იცის, თასისთვის მებრძოლი არც „გორდაა“ და არც „დილა“.

გორელებმა ორი წამყვანი ფეხბურთელი მოისაკლისეს, ვალერი კოტორაშვილი და დავით მაისურაძე დისკვალიფიცირებულნი იყვნენ. სტუმრებს არც გუნდის ძირითადი მეკარე რამაზ სოლოლაშვილი ჰყავდათ: „შუმახერა“ ტრავმირებულია და მკურნალობს. სამაგიეროდ, სტუმარს სრულ მზადყოფნაში დაუხვდა „გორდა“, ჯელაძე ხომ შეიმატა, ლიბერო სანდრო ბურნაძეც მომჯობინდა.

პირველ ტაიმზე სათქმელიც არაფერია, ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. აი, მეორე კი თუნდაც იმიტომაა საყურადღებო, რომ სამი გოლი გავიდა.

დაახლოებით ორი ათასამდე ქომაგმა პირველად 53-ე წუთზე გაიხარა, როდესაც მარცხენა ფლანგიდან არმაზ ჯელაძის დაბალ ჩაწოდებულ ბურთს სტუმართა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა. გადმოვარდნილს მელაძემ ძლიერი დარტყმა შეაგება და მეკარე მდივანი სტატისტად დატოვა — 1:0.

გაშვებულ გოლს „დილა“ თითქოსდა უნდა გამოეფხიზლებინა, მაგრამ ასე არ მოხდა. მხოლოდ ათი წუთის მერე შეეძლოთ სტუმრებს გაქვითვა, ციცქიშვილის ჯარიმიდან საჯარიმოში ჩაგდებულ ბურთს ხვიჩა გაგნიძე თავით ურტყმდა, ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ გაგნიძეს ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ მცველს დარტყმა გაუცუდდა. გავიდა 3 წუთი და „გორდამ“ მეორედ იხეირა, გოლი კი საკმაოდ კურიოზული გამოდგა. კახა ალადაშვილმა საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩაჰკიდა, მდივანმა თავისიანს შესძახა, ბურთი ჩემიაო, მცველი დაიბნა და თავის მხრივ მეკარეც დააბნია, რომელმაც ბურთზე კონტროლი დაკარგა და მიშველიძესაც რა ღმერთი გაუწყრებოდა, სამიოდ მეტრიდან, შვიდმეტრიან დაუცველ კარში ვერ გაეტანა — 2:0.

აი, ამის მერე კი „დილა“ ნაღდად გამოერკვა, ხაჩირაშვილის შეგირდებმა წაგების საფრთხე იგრძნეს და ამოქმედნენ, „გორდას“ დაცვა და მეკარე ნიკურაძე გამუდმებით ფხიზლად იყვნენ. იასონ ალადაშვილმა, კონტრშეტევებზე ითამაშეთო, მიუთითა გუნდს, მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულნი — კიტეიშვილი და იეჩიანიც მშვენივრად მოერგნენ თამაშს, ჯელაძეც გონივრულად ანაწილებდა პასებს...

მეორე გაშვებული ბურთის მერე „დილა“ მასპინძელთა კარს გააფთრებით უტევდა, დაცვა თითქმის მოშიშვლებული ჰქონდა, მაგრამ კონტრშეტევაზე მოთამაშე „გორდას“ ფეხბურთელები 14-ჯერ(!) მოხვდნენ თამაშგარე მდგომარეობაში. მესამე გოლი კი იმ დროს გავიდა, როცა ორივე მხარე ბედს უკვე შეგუებულიყო, „დილა“ — მარცხს, „გორდა“ კი 11 მატჩის მერე პირველ მოგებას. ვის მოუგეს რუსთაველებმა ბოლოს? შინ ფოთის „კოლხეთს“ მესამე ტურში — 1:0.

***ვაჟა ხაჩირაშვილი, „დილას“ მწვრთნელი:***

— ვულოცავ „გორდას“ მოგებას, მეორე ტაიმში გვაჯობეს. რა თქმა უნდა, გვქონდა შეცდომები, განსაკუთრებით მეკარემ გამიცრუა იმედები, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ მეორე გოლმა გაგვტეხა. ძირითადი მეკარე, რამაზ სოლოლაშვილი ტრავმირებული გვყავს და ამიტომ ვერ თამაშობს. დღეს ძლიერმა გაიმარჯვა.

***იასონ ალადაშვილი, „გორდას“ მწვრთნელი:***

— შეცვლებმა გამიმართლა, ორივე განაპირა ნახევარმცველი სუსტად გამოიყურებოდა, ამიტომ მათ ნაცვლად გამოცდილები შევუშვი. ჯელაძის სახით დიდი ძალა შევიმატეთ, ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა ბურნაძემ და მელაძემაც. „დილაზე“ იმას ვიტყვი, რომ ბრძოლისუნარიანი, კარგი გუნდია. ძალიან მინდა, როგორც ჩვენ, ისე „დილაც“, დავრჩეთ უმაღლეს ლიგაში. უახლოეს ხანში ალექსანდრე გელაძეს დავიმატებთ. ალბათ, ვარლამ კილასონიაც შემოგვიერთდება, უმცროს კილასონიაზე, გიაზე კი ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ალბათ, მოვილაპარაკებთ.


**ქალთა ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრი**

გთავაზობთ სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ მომზადებას სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის, აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის, შიშების მოხსნას, ურთიერთობების პრობლემების მოგვარებას. მიღება წინასწარ ჩაწერით — 29-26-84.
კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი ნატა გელოვანი

(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)

# გულით ეროვნულზე, გონებით ქუთაისში

თბილისი
25 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
2 000 (ტევადობა 70 900)

**დინამო 4:0 ვიტ ჯორჯია**

1:0 გადელია (47), 2:0 ზირაქიშვილი (60), 3:0 გადელია (63), 4:0 მიქაძე (88)
დინამო: გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ა. სახვაძე (კანდელაკი 80), შაშიაშვილი, ზამთარაძე, დათვაძე (მაზიაშვილი 68), სიჭინავა, გადელია, ზირაქიშვილი (გ.-ვ. მიქაძე 74), ჯინჭარაძე
სათადარიგონი: ბათიაშვილი, გ. გოგოლაძე, ბურდული, რუხაძე
ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია (თაგაძე 75), ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი (ციციანი 68), სულთანიშვილი (ვ. გოჩაშვილი 77), დეკანოსიძე, ლ. მელქაძე, გიორგი ქორიძე
სათადარიგონი: სტურუა, იაშვილი, დ. დოლიძე, გვაზავა
გაფრთხილება: ციციანი (76), სახვაძე (76)
მსაჯები: ა. შილაკაძე, მ. ელიკაშვილი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

**მამუკა კვანტალიანი**

**რა** ხდება ქუთაისში? გუშინდელი მატჩის მე-60 წუთიდან მოყოლებული „დინამოს" სათადარიგოთა სკამიდან ხშირად გაისმოდა ასეთი შეკითხვები. ამ დროისთვის რევაზ არველაძის გუნდს ვიცე-ჩემპიონი ბეჭებზე ჰყავდა გაკრული და რაზან თავისი საქმე გაჩარხული ჰქონდა, ბუნებრივია, „დინამოს" ფიქრები კონკურენტთა პაექრობას დასტრიალებდა.

მე-60 წუთის შემდეგ, მატჩის ბოლომდე ორჯერაც გაიხარეს ათგზის ჩემპიონებმა, მანამდე გატანილი გოლებიანად სულ ოთხი გამოვიდა და კიდევ ერთი თამაში მოიგო „დინამომ" დიდი ანგარიშით. „ვიტ ჯორჯია" კი მეთორმეტე ჩემპიონატში პირველად დამარცხდა ასე სამარცხვინოდ.

არადა, პირველი ტაიმის შემხედვარე ვერავინ იწინასწარმეტყველებდა მასპინძელთა საბოლოო უპირატესობას. სტუმრები თუ ვერ სჯობნიდნენ, არც არაფერში ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს. პირველი ნახევრის შუაწელიდან მასზე უკეთაც კი გამოიყურებოდნენ.

თამაში სამიოდ წუთის დაწყებული იყო, როცა გადელიამ მახვილგონივრული პასით დათვაძე მერლანთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ დინამოელმა ბურთი პირითი ხაზისკენ გაიგდო და კარის გასწვრივ ჩაწოდებასღა გამორჩა. იქ კი ზირაქიშვილმა ვერ მიასწრო.

ამის შემდეგ ბრძოლა მოედნის ცენტრში უპირატესობის მოსაპოვებლად გაჩაღდა და „ვიტ ჯორჯიამაც" თამაშის მოწინააღმდეგის ნახევარზე გადატანა შეძლო. გოლიც გაიტანეს სტუმრებმა. 35-ე წუთზე დეკანოსიძის დარტყმული გრიშიკაშვილმა უხერხულად მოიგერია, ბურთს ქორიძემ დაამატა და...


გაგუნა ქოთოლაძის ფოტო

მედუბლე თემურ გადელია მირზა მერლანს (№1) და გიორგი ჭანკოტაძეს შორის

მსაჯმა შილაკაძემ სამართლიანად დააფიქსირა თამაშგარე. ორ წუთში ქორიძემ ერთი შანსიც გაუშვა ხელიდან — მარცხნიდან საჯარიმოში შეჭრილმა შორეულ დაბალ კუთხეში დაარტყა და მარჯვენა ძელს ჩაუქროლა ბურთმა.

მეორე ტაიმი სულ ახალდაწყებული იყო, როცა დათვაძემ მარჯვნიდან დაბალი ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში. ბურთი თავდამსხმელებსა და მცველებს შორის გაძვრა და გადელიამაც დრო იხელთა, ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა.

გოლმა ერთბაშად დაშალა სტუმართა საიმედო დაცვა და მებრძოლი ნახევარდაცვა. თავდასხმა უმოქმედო გახდა, ხოლო მეკარემ შეცდომებს უმატა. მეორე და მესამე გოლი დინამოელებმა სტანდარტული მდგომარეობებიდან გაიტანეს. ჯერ სახვაძის ჩაწოდებულ კუთხურზე თავით ივარგა ზირაქიშვილმა, რომელმაც მერლანს დაასწრო და ბურთი კარში შეაგდო. მერე სიჭინავას ჯარიმიდან ჩაწოდებულზე ვაშაკიძემ იყოჩაღა, მეტოქეებს საჰაერო დუელი მოუგო და ბურთი გადელიას დაუგდო, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია.

ბოლო გოლიც, რომელიც „დინამომ" გაიტანა, ვეტერინართა ნახევარდაცვისა და დაცვის შეცდომას მოჰყვა. სიჭინავამ მარცხნიდან საჯარიმოში თავისუფალი მიქაძე მოძებნა და...

„მეორე ტაიმში აშკარა იყო „დინამოს" უპირატესობა" — აღიარა „ვიტ ჯორჯიას" თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ. „ბიჭები სიყვარულით აკეთებენ საქმეს, ამაშია „დინამოს" საიდუმლო" — დაასრულა რევაზ არველაძემ.

კითხვა, ვინ შეაჩერებს „დინამოს", ისევ უპასუხოდ დარჩა.


გაგუნა ქოთოლაძის ფოტო

შაბათს ეროვნულზე: „დინამო" — „ვიტ ჯორჯია": მეორე გოლი ზაზა ზირაქიშვილმა (№20) ამ თავურით გაიტანა

# მახარაძე ვეტერინარი გახდა

**ელგუჯა** გუგუშვილი, სპარტაკ არჩვაძე, ჯემალ მახარაშვილი, სერგო კოტრიკაძე და ვლადიმერ ხაჩიძე — თავის დროზე ყველა მათგანი „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი იყო, მერე კი თითოეული თავის გზას ეწია, ვეტერინარებთან კონტრაქტი გაწყვიტა.

გუშინდლამდე გუნდის თავკაცი ხაჩიძე იყო, მაგრამ „დინამოსთან" დიდი ანგარიშით დამარცხებამ მწვრთნელისა და კლუბის გზები გაჰყარა.

„ოთხი უპასუხო ბურთით წაგება მძიმე დარტყმა იყო ჩემთვისაც და გუნდისთვისაც" — ვლადიმერ ხაჩიძემ საკუთარი ნებით წასვლა გადაწყვიტა და ხელმძღვანელობაც დაეთანხმა.

შეგახსენებთ, რომ ხაჩიძე „ვიტ ჯორჯიაში" სერგო კოტრიკაძის თანაშემწე იყო და მთავარ მწვრთნელად მეთორმეტე ჩემპიონატის დაწყებამდე, კოტრიკაძის გუნდიდან წასვლის შემდეგ დაინიშნა. მანამდე ხაჩიძე ხაშურის „ივერიას" და ზუგდიდურ „ოდიშსაც" წვრთნიდა.

გუშინვე „ვიტ ჯორჯიას" ახალი მთავარი მწვრთნელი გაუჩნდა. თემურ მახარაძემ ვეტერინარებს პირველი ვარჯიშიც ჩაუტარა.

თავის დროზე თბილისურ „მერანსა" და „ლოკომოტივში" ნამუშევარი მახარაძე (ყოფილი ტრანსპორტელი და რკინიგზელი) ახლა ვეტერინარებთან მოსინჯავს ძალებს, რაც იოლი სულაც არ იქნება. „ვიტ ჯორჯია" თასისთვის და საპრიზო ადგილისთვის მებრძოლი გუნდია.

თუმურ მახარაძე ვიტელთა რიგით მეექვსე მწვრთნელია. ყველაზე დიდხანს კი ამ პოსტზე სერგო კოტრიკაძემ დაჰყო, რომლის ხელმძღვანელობითაც „ვიტ ჯორჯიამ" მეთერთმეტე გათამაშებისას ვერცხლის მედლები მოიგო.

მახარაძის თავკაცობით „მერანმა" ინტერტოტოს საგზური მოიპოვა, ხოლო „ლოკომოტივი" ბრინჯაოს მფლობელი შეიქნა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მას უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებთან აღარ უმუშავია.

**დათო დანელია**



თემურ მახარაძე

# ოქროს ქულა ექვსეულის გზაზე

ბოლნისი
25 ნოემბერი
15 საათი
თეიმურ სტეფანია
1 500 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:1 ბათუმი**

1:0 წივწივაძე (50), 1:1 ქორიძე (72)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ძასპინძელაშვილი, ირემაშვილი, მინდიაშვილი, ბარნოვი (მ. სამხარაძე 86), სოლოლაშვილი, ისიანი, მოსეშვილი, წივწივაძე, კ. მეტრეველი (მ. გოგოლაძე 60)
სათადარიგონი: დალაქიშვილი, ჯაფარიძე, ჩაგელიშვილი, გამცემლიძე
ბათუმი: ბედიაშვილი, ო. გველესიანი, მინდაძე, სიხარულიძე, მეავანაძე, გელა ქორიძე, ლლონტი, თედორაძე (აფხაზავა 58), ყულეჯიშვილი (რომანაძე 90), დარჩიძე, ა. მუჯირი
სათადარიგონი: ჯაში, ქაცარავა, ფურცხვანიძე, ცინცაძე, სიამაშვილი
მსაჯები: მ. მაღალურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ქიათურა); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

**კობა ინასარიძე ბოლნისიდან**

**მნიშვნელოვანი** ქულა მოინადირა ბოლნისში „ბათუმმა", ექვსეულში მოსახვედრად ეგებ გადამწყვეტიც. სტუმრებმა ცხრილში მეზობელსა და კონკურენტს მიახლოების საშუალება არ მისცეს და შაბათის მასპინძლებთან ოთხქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს, თუმცა კი ამით „მერანმა" ისარგებლა, რომელიც ზღვისპირელებს კვალში დაუდგნენ.

ასლან ბალაძემ, მიუხედავად იმისა, რომ მას არც თუ ისე დიდი სამწვრთნელო გამოცდილება აქვს, თავის ხელი გუნდს უკვე დაატყო და პერსპექტივაც გამოჩნდა. ექვსეულში მოხვედრაზე ფიქრი უკვე რეალურია და სამომავლოდ უფრო სერიოზული მიზნებისთვის შეუძლია, იბრძოლოს. ვინც ბოლნისური მატჩი ნახა, არა მგონია, ეს ნათქვამი გადაჭარბებულად ჩათვალოს. თავად ასლან ბალაძის თქმითაც, სამეორეწრეოდ „ბათუმი" უფრო მოღონიერდება. ზღვისპირელებმა რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის დამატებას აპირებენ.

ბოლნისში „ბათუმმა" ჭკვიანურად ითამაშა. სტუმრებს, რა თქმა უნდა, აქცენტი დაცვაზე ჰქონდათ გადატანილი და ერთობ მწვავე კონტრშეტევებით აწუხებდნენ მეტოქეს. მოედნის ცენტრიც შეგნებულად დაუთმეს მასპინძლებს.

„სიონი" კი გამოუღმებით უტევდა, აქტიურობდა წივწივაძე, რომელმაც ბარე ათჯერაც დაურტყა ბედიაშვილს, მაგრამ კარს მხოლოდ ორჯერ დაუმიზნა — ერთხელ გოლი გაიტანა, როცა ბათუმელ მცველს საჯარიმოში ფეხი დაუსხლტა და ბედიაშვილის ცხვირწინ დარჩენილს ბურთი მიუგორდა. მაშინ მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო. იქამდე კი, შესვენებამდე, ბათუმელი ამირან მუჯირის საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ხარიხამ უკუაგდო.

„სიონი" რომ დაწინაურდა, მერე „ბათუმი" ერთი-ორჯერ გააქტიურდა, მწვრთნელმა ყულეჯიშვილს მეორე თავდამსხმელი, აფხაზავა წაახმარა და ნელ-ნელა გოლის დროც მოვიდა, 72-ე წუთზე გელა ქორიძემ გაისროლა — ანგარიშიც გაათანაბრა. ბურთი ძელს მოხვდა და ისე აღმოჩნდა ვოლკოვის ზურგს უკან.

მერე კი მასპინძლები ბევრს ეცადნენ, ხან ფლანგებიდან უტევდნენ სტუმრებს, ხან ცენტრიდან, ერთი-ორჯერ ბოლნისელები საჯარიმოშიც წაიქცნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ბედიაშვილიც ყოჩაღობდა, თითქმის უშეცდომოდ ითამაშა, მცველებიც კარგად აზღვევდნენ ერთმანეთს და ცოტას „სიონის" თავდამსხმელებიც სცოდავდნენ, ბურთს ნამეტანს აყოვნებდნენ.

„ბათუმს" კი ბოლნისელთა შეტევებს შორის რამდენჯერმე ჰქონდა საგოლე მომენტი, მაგრამ გამოუცდელობამ მაინც თავისი გააკეთა — სტუმრები რომ არ აჩქარებულიყვნენ, ეგებ სამი ქულისთვისაც გამოეკრათ ხელი და მაინც როგორც ზემოთ ვთქვით, „ბათუმმა" უმნიშვნელოვანესი ქულა აიღო.

## ინგლისი

XV ტური

### დერბი ქაუნთი 0:3 მანჩესტერი

0:1 შერინგემი (61), 0:2 ბათი (69), 0:3 იორკი (76)
დერბი ქაუნთი: პოომი, რიგოტი, კარბონარი (ერანიო 67), ვესტი, ს. ჯონსონი, მარტინი (სტარიჯი 67), ონილი (მორისი 45), პაუელი, ძინძლაძე, კრისტი, დელაპი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
მანჩესტერი: ბარტეზი (ვან დერ გოუ 80), გ. ნევილი, ირვინი, ბრაუნი, სილვესტრი, ბათი, კინი, ჩედვიკი (ფორჩუნი 74), სქოულზი (სოლსკიაერი 73), შერინგემი, იორკი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: მარტინი, ჯონსონი, ბათი
32 910 მაყურებელი

### ევერტონი 2:1 ჩელსი

0:1 დალა ბონა (45), 1:1 კადამარტერი (47), 2:1 კემპბელი (74)
ევერტონი: ჟერარი, უოტსონი, ვეირი, ბოლი, ნეისმიტი, ჯემილი, პემბრიჯი, ს. ჰიუზი, ტალი (ანსუორთი 87), კ. კემპბელი, კადამარტერი (მაკლეოდი 90)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ჩელსი: დე გუი, ლებეფი, დესაი, ბოგარდი (პოიეტი 81), მელხიოტი, იოკანოვიჩი (მორისი 46), უაიზი, დალა ბონა, გუდიონსენი, ჰასელბაინკი, ძოლა (ჰარლი 75)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ლებეფი, დესაი, პოიეტი
გაძევება: ჰასელბაინკი (71)
33 515 მაყურებელი

### ლიდსი 1:0 არსენალი

1:0 დაკური (56)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ჰარტი, ვუდგეიტი, რადებე, ბოიერი, ბაკე, დაკური, უილკოქსი, ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
არსენალი: მანინგერი, ლუჟნი, ადამსი, კიოუნი, სილვინიო, ვიეირა, პარლოუ, ლორენი (კანუ 75), პირესი, ანრი, ვილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: დაკური, ლორენი, კიოუნი, ლუჟნი, ანრი, პარლოუ, სილვინიო, ადამსი
38 084 მაყურებელი

### ნიუკასლი 2:1 ლივერპული

1:0 სოლანო (4), 2:0 დაიერი (70), 2:1 ჰესკი (78)
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, დომი, ხასედასი (აკუნია 79), სპიდი, გრიფინი, ა. ჰიუზი, სოლანო, ლი, შირერი, დაიერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ლივერპული: ვესტერფელდი, ენჩოსი, ბაბელი, ჰიიპია, მერფი (შმიცერი 57), ჰამანი, ჯერარდი (მაკალისტერი 74), ბარმბი, კარაგერი, ჰესკი, ფაულერი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: სპიდი, გრიფინი, ბარტონი, ბაბელი, ენჩოსი
51 949 მაყურებელი

### ჩარლტონი 0:1 სანდერლენდი

0:1 რაე (58)
ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, პაუელი (კონჩესკი 77), რუფუსი, ფიში, სტიუარტი, კინსელა, იენსენი, სალაკო (ლისბი 65), იოჰანსონი, სვენსონი (პრინგლი 66)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, გრეი, ტომე, უილიამსი, კრადოკი, რაე, კილბეინი, ჰათჩისონი, ნ. ქუინი (დიჩიო 82), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: უილიამსი
20 043 მაყურებელი

### ქოვენთრი 1:1 ასტონ ვილა

0:1 დაბლინი (8), 1:1 ჰაჯი (83)
ქოვენთრი: კირკლენდი, ედვორთი, უილიამსი, ბრინი, კონჯიჩი, ტომპსონი, ჰაჯი, ჩიპო (ოსტიჩი 46), ტელფერი, რუსელი (ალოიზი 46), ზუნიგა (პალმერი 72)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ბერი, ალფაი, ლ. ჰენდრი, სტოუნი, ტეილორი (დილანი 60), ბოატენგი, დაბლინი, მერსონი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ტომპსონი, ბერი, ბოატენგი
21 464 მაყურებელი



REUTERS

ლიდსი — არსენალი 1:0. ერიკ ბაკე და რობერ პირესი (№7)

# შვიდთვიანთა ამბავი

### მანჩესტერ სიტი 2:3 იფსვიჩი

0:1 სტიუარტი (9), 0:2 ჰრეიდარსონი (32), 0:3 სტიუარტი (53), 1:3 ვანჩოპე (71), 2:3 ჰაუი (81)
მანჩესტერ სიტი: ვივერი, ჰაალანდი, ჰაუი, პრიორი, დანი (ტიატო 46), ბიშოპი, შარვე, რაიტ-ფილიპსი, გოტერი (ვანჩოპე 57), დიკოვი (უიტლი 57), კენედი
მწვრთნელი: ჯო როილი
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, კლაპამი, სკაილზი, ვენუსი, ჰრეიდარსონი, მეჯილტონი, ჰოლანდი, შოუკროფტი (ჯონსონი 67), სტიუარტი, ჯ. რაიტი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: სკაილზი, უილნისი
33 741 მაყურებელი

### მიდლსბრო 2:2 ბრედფორდი

0:1 უინდასი (3), 0:2 კარბონე (10), 1:2 ეჰიოგუ (48), 2:2 ინსი (89)
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ფესტა, ეჰიოგუ, ინსი, სტამპი, მასტო, მარინელი, კუპერი, ველანი (ჟობი 72), ბოკშიჩი (დინი 46)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
ბრედფორდი: კლარკი, ნოლანი, პეტრესკუ (მიერსი 54), აზერტონი, ობრაიენი, ლოურენსი, მაკკოლი, მაკკინლი, უინდასი, უორდი (კოლიმორი 65), კარბონე (ბიგრი 80)
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
გაფრთხილება: ფესტა, უორდი, მაკკინლი, ლოურენსი
გაძევება: მარინელი (68)
28 526 მაყურებელი

### საუთჰემპტონი 2:3 ვესტ ჰემი

1:0 ოკლი (20), 1:1 კანო (41), 1:2 პირსი (43), 2:2 ბიტი (53), 2:3 სინკლერი (69)
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი (დრეიპერი 35), რიჩარდსი, ელ ხალეჯი, კაჩლული, ტესემი (როსლერი 76), პახარსი, ოკლი, ბიტი, ბრიჯი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, უინტერბერნი, ს. პირსი, შტიმაცი, ლომასი, კარიკი, ლამპარდი (მონკუ 80), ტ. სინკლერი, კანო, დიავარა, დი კანიო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ელ ხალეჯი, უინტერბერნი, შტიმაცი
15 232 მაყურებელი

### ტოტენჰემი 3:0 ლესტერი

1:0, 2:0, 3:0 ფერდინანდი (34, 39, 84)
ტოტენჰემი: სალივანი, კარი (ფროინდი 80), ს. კემპბელი, პერი (ტეტჩერი 31), ტელველი, ანდერტონი, შერვუდი, კინგი, კლემენსი, ლ. ფერდინანდი, რებროვი (კ. არმსტრონგი 81)
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
ლესტერი: როისი, ფ. სინკლერი, დავიდსონი, როუეტი, მ. ელიოტი, ტაგარტი, ლენონი, სევიჯი (იდი 68), იზეტი, აკინბი (იმპი 67), ბენჯამინი (კროსველი 77)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: კლემენსი, ტაგარტი, სევიჯი, ლენონი
გაძევება: ტაგარტი (63)
35 636 მაყურებელი

აპრილის მერე, ანუ შვიდი თვე არ ჰქონდა შინ წაგებული „ჩარლტონ ატლეტიკს", მაგრამ შაბათს ლონდონის სამხრეთს „სანდერლენდი" ეწვია, მისმა ალექს რაემ, ყოფილმა ლოთმა, ცაციით 25 მეტრიდან გლიჯა და მასპინძლების წარმატებული სერიაც შეაჩერა;

შვიდი თვე არ განეცადა გოლის გატანით გამოწვეული სიხარული პოლ ინსს, მაგრამ შაბათის მატჩის ბოლო წუთზე „ბრედფორდს" გაუტანა და თავისი „მიდლსბროსთვის" ქულა იხსნა. ძნელი სათქმელია, იხსნის თუ არა ეს ქულა „მიდლსბროს" მწვრთნელ ბრაიან რობსონს, ვისაც კლუბის თავკაცებმა უკანასკნელი გაფრთხილება მისცეს. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელი ინგლისური პრესა უკვე ალაპარაკდა რობსონის ადგილზე ტერი ვენეიბლზის შესაძლო მისვლის შესახებ;

შვიდი თვეა სტუმრად ვერ მოუგია „ჩელსის". გასულ შაბათს 19 წლის იტალიელი სამ დალა ბონას 25 მეტრიანი ზუსტი დარტყმის წყალობით ლონდონელებმა „ევერტონს" მოუგეს... ოღონდ არა მატჩი, არამედ პირველი ტაიმი, მეორე ნახევარში კი კლაუდიო რანიერის გუნდს ერთბაშად სამი ცუდი ამბავი შეემთხვა: კადამარტერმა გაათანაბრა, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი გააძევეს, კევინ კემპბელმა კი ცაციით გამარჯვება თავის „ევერტონს" მოუტანა. შედეგად, „ჩელსი" კვლავ მე-14 ადგილზე და იმის იმედად დარჩა, რომ უახლოეს ხანს თუ არა, ცხრა თვის თავზე მაინც შობს სასტუმრო სამ ქულას.

ეს „შვიდთვიანებზე", თუმცა ბარემ შვიდთამაშიანზეც ვთქვათ: „ასტონ ვილას" საუკეთესო მეგოლე დიონ დაბლინს მიზანი გამოუსწორდა და შვიდმატჩიანი მარხვის მერე შეაგდო — მიდლენდის დერბის დაწყებიდან რვა წუთში „ქოვენთრის" ყოფილმა კაპიტანმა ძველი მეგობრები დაამწუხრა, თუმცა ჩემპიონატში მეშვიდე გამარჯვება ბირმინგემელებს ქოვენთრელთა ახლანდელმა კაპიტანმა, მაროკოელმა მუსტაფა ჰაჯიმ არ დაანება.

შვიდ-შვიდი მოგების ამარა დარჩნენ „ლესტერი" და „ლივერპული". არადა, ამათგან ერთსაც რომ გაემარჯვა, პირველი დივიზიონიდან წლეულს ალზევებული „იფსვიჩი" მესამე ადგილზე ვერ წამოსკუპდებოდა: პიტერ ტეილორის „ლესტერი" ვეტერანმა ლეს ფერდინანდმა შეიწირა „უაით ჰართ ლეინზე", უოუენო „ლივერპული" კი ნიუკასლში დამარცხდა.

სანამ უფროსი ფერდინანდი ჰეთ თრიქის შესრულებით იყო დაკავებული, მისი 22 წლის ბიძაშვილი რიო „ლიდსთან" კონტრაქტის საბოლოო დეტალებს აზუსტებდა, კვირას კი მსოფლიოს უძვირესი მცველის სტატუსით ესტუმრა აწ უკვე მშობლიურ „ელანდ როუდს". კეთილი იყოს შენი ფეხიო და მასპინძლებმა „არსენალი" დაამარცხეს.

თავბრუდამხვევი სისწრაფეების შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გავიდა — „ლიდსის" ერთადერთმა ფრანგმა ოლივიე დაკურმა საჯარიმო შეასრულა, ბურთი ცოცხალმა კედელმა აისხლიტა და მანინგერის კარში შევარდა. ძირითადად ფრანგებით დაკომპლექტებულმა ლონდონელებმა თუნდაც ქულის გადასარჩენად ბევრი იბრძოლეს, ვილტორდმა ძელსაც მოარტყა ბურთი (საპირისპირო კართან იგივე იან ჰარტს დაემართა), მაგრამ „არსენალს" მაინც არაფერი ეშველა — ბოლო შვიდ თამაშში (ყველა შეჯიბრში) მეხუთედ წააგო. „აწი „მანჩესტერ იუნაიტედს" რომ დავეწიოთ, ყველა საგარეო მატჩიც კი უნდა მოვიგოთ, რაც, ცხადია, მეტისმეტად ძნელია. ისე, უკვე ნოემბერში რომ ლიდერი უახლოეს მდევარს რვა ქულით უსწრებს, ყველა დანარჩენის სირცხვილია" — ამბობს არსენ ვენგერი.

ალექს ფერგიუსონის გუნდი თითქმის ჩემპიონია — ასე ფიქრობს საბუქმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილიც", რომელიც კვირა საღამოდან „მანჩესტერის" ჩემპიონობაზე ფსონს 12:1-ზე იღებს (ან 12 ლარზე 1 ლარი მოგება). შაბათს ქვეყნის ჩემპიონმა დერბის „პრაიდ პარკზე" გაილაღა და იქაურთა ოთხმატჩიანი წაუგებელი სერიაც შეაჩერა.

სტუმრებს არ ჰყავდათ დევიდ ბექემი. იგი ღირსეულად შეცვალა ცხრა დღის წინ ოცი წლის მოყრილმა ლუკ ჩედვიკმა, ვინც სადებიუტო მატჩში თავი არ შეირცხვინა და წინახაზელები ბექემური პასებით მოამარაგა. ანგარიში კი, სეზონში თავისი მე-15 გოლით, მატჩის საუკეთესოდ მიჩნეულმა ტედი შერინგემმა გახსნა. თუმცა გოლს ვინ ჩივის, 34 წლის ვეტერანი ისე თამაშობდა, ბარე ორჯერ მასზე ახალგაზრდებსაც გაუჭირდებოდათ. ამიტომაც იყო, რომ გაზეთმა „სანმა" ტედის 10-დან 10 ქულა არგუნა, რაც, თუ არ გვეშლება, ქრისტეს შობიდან აქეთ აღარ მომხდარა (ქინქლაძეს შვიდიანი ერგო).

მერე ნიკი ბათმაც დაამწუხრა ესტონელი მეკარე, ბოლოს კი თანაგუნდელებმა მცირე იუბილე ბოლო ხანს ჩვეული ფორმიდან ამოვარდნილ დუაიტ იორკსაც მოუწყეს — შერინგემისა და ბათის კომბინაცია ტრინიდადელმა პრემიერლიგაში თავისი მე-... გატანილი გოლით დააგვირგვინა.

დარჩენილი ორი მატჩი ერთნაირი ანგარიშით 2:3 დამთავრდა. „მანჩესტერ სიტი" მეტად გვიან დაფაცურდა და სამბურთიანი დანაკლისი კინაღამ აღმოფხვრა, თუმცა კინაღამ რომ არ ითვლება, ეს ჩვენზე კარგად „სიტის" თავკაცს ჯო როილს მოეხსენება. არადა, ოთხიოდ გამარჯვების მერე ეს კაცი გუნდის ევროთასზე გაყვანას სრულიად რეალურად მიიჩნევდა. ზედმეტი ამბიციები სრულიადაც არ აწუხებს ჰარი რედნაპს, რომლის „ვესტ ჰემმა" შაბათს მიღებული 18 მილიონი გირვანქა (რიო ფერდინანდის საფასური) საუთჰემპტონში მოპოვებული სამი ქულით დაასველა.

**გიგა კობახიძე**

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 15 | 11 | 3 | 1 | 39:10 | 29 | 36 | 7 | 6 | 1 | 0 | 24:4 | 20 | 19 | 8 | 5 | 2 | 1 | 15:6 | 9 | 17 |
| 2 | არსენალი | 15 | 8 | 4 | 3 | 23:13 | 10 | 28 | 7 | 6 | 1 | 0 | 16:4 | 12 | 19 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:9 | -2 | 9 |
| 3 | იფსვიჩი | 15 | 8 | 3 | 4 | 23:16 | 7 | 27 | 7 | 3 | 3 | 1 | 9:6 | 3 | 12 | 8 | 5 | 0 | 3 | 14:10 | 4 | 15 |
| 4 | ლესტერი | 15 | 7 | 5 | 3 | 14:11 | 3 | 26 | 7 | 3 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 12 | 8 | 4 | 2 | 2 | 7:4 | 3 | 14 |
| 5 | ლივერპული | 15 | 7 | 3 | 5 | 29:23 | 6 | 24 | 7 | 6 | 1 | 0 | 16:6 | 10 | 19 | 8 | 1 | 2 | 5 | 13:17 | -4 | 5 |
| 6 | ასტონ ვილა | 14 | 6 | 5 | 3 | 17:12 | 5 | 23 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:3 | 8 | 14 | 8 | 2 | 3 | 3 | 6:9 | -3 | 9 |
| 7 | ნიუკასლი | 15 | 7 | 2 | 6 | 17:15 | 2 | 23 | 8 | 4 | 1 | 3 | 10:8 | 2 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 7:7 | 0 | 10 |
| 8 | ტოტენჰემი | 15 | 7 | 2 | 6 | 22:21 | 1 | 23 | 8 | 7 | 1 | 0 | 17:6 | 11 | 22 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:15 | -10 | 1 |
| 9 | სანდერლენდი | 15 | 6 | 5 | 4 | 15:16 | -1 | 23 | 7 | 4 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 15 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | -5 | 8 |
| 10 | ლიდსი | 14 | 6 | 4 | 4 | 21:19 | 2 | 22 | 8 | 5 | 0 | 3 | 16:12 | 4 | 15 | 6 | 1 | 4 | 1 | 5:7 | -2 | 7 |
| 11 | ვესტ ჰემი | 15 | 5 | 6 | 4 | 21:17 | 4 | 21 | 7 | 2 | 3 | 2 | 10:8 | 2 | 9 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 2 | 12 |
| 12 | ჩარლტონი | 15 | 6 | 3 | 6 | 21:21 | 0 | 21 | 8 | 5 | 2 | 1 | 13:4 | 9 | 17 | 7 | 1 | 1 | 5 | 8:17 | -9 | 4 |
| 13 | ევერტონი | 15 | 6 | 3 | 6 | 19:21 | -2 | 21 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 0 | 11 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 10 |
| 14 | ჩელსი | 15 | 4 | 5 | 6 | 26:22 | 4 | 17 | 7 | 4 | 2 | 1 | 19:8 | 11 | 14 | 8 | 0 | 3 | 5 | 7:14 | -7 | 3 |
| 15 | საუთჰემპტონი | 15 | 4 | 5 | 6 | 21:27 | -6 | 17 | 8 | 3 | 1 | 4 | 14:15 | -1 | 10 | 7 | 1 | 4 | 2 | 7:12 | -5 | 7 |
| 16 | სიტი | 15 | 4 | 2 | 9 | 17:28 | -11 | 14 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:11 | -1 | 7 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:17 | -10 | 7 |
| 17 | ქოვენთრი | 15 | 3 | 3 | 9 | 14:30 | -16 | 12 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:13 | -8 | 5 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:17 | -8 | 7 |
| 18 | მიდლსბრო | 15 | 2 | 5 | 8 | 19:26 | -7 | 11 | 8 | 0 | 3 | 5 | 7:15 | -8 | 3 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:11 | 1 | 8 |
| 19 | დერბი ქაუნთი | 15 | 1 | 7 | 7 | 18:31 | -13 | 10 | 8 | 1 | 5 | 2 | 10:15 | -5 | 8 | 7 | 0 | 2 | 5 | 8:16 | -8 | 2 |
| 20 | ბრედფორდი | 15 | 1 | 5 | 9 | 7:24 | -17 | 8 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:6 | -2 | 6 | 8 | 0 | 2 | 6 | 3:18 | -15 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 10 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 10 |
| შერინგემი (მანჩესტერი) | 10 |
| ანრი (არსენალი) | 9 |
| სტიუარტი (იფსვიჩი) | 9 |
| ჰესკი (ლივერპული) | 9 |

**XVI ტური**

2 დეკემბერი
არსენალი — საუთჰემპტონი
ასტონ ვილა — ნიუკასლი
ბრედფორდი — ქოვენთრი
იფსვიჩი — დერბი ქაუნთი
ლესტერი — ლიდსი
ლივერპული — ჩარლტონი
მანჩესტერი — ტოტენჰემი
ვესტ ჰემი — მიდლსბრო
3 დეკემბერი
ჩელსი — სიტი
4 დეკემბერი
სანდერლენდი — ევერტონი

## პირველი დივიზიონი

XX ტური

### ქუინზ პარკი 2:2 ვულვზი

0:1 ნდა (19), 1:1 პიკოკი (38პ), 1:2 პოლეტი (43), 2:2 პიკოკი (86)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, რობინსონი, პოლეტი, ემბლენი, ბაზელი, ოსბორნი, ნდა (პრუდლოკი 80), დინინგი, ბატლერი
მწვრთნელი: კოლინ ლი
11 156 მაყურებელი

### ბარნსლი 1:0 პორტსმუთი

1:0 დიერი (58)

### ბირმინგემი 2:1 ჰადერსფილდი

1:0 ლაზარიდისი (26), 2:0 ჰორსფილდი (45), 2:1 არმსტრონგი (61)

### ბლექბერნი 1:2 ჯილინგემი

1:0 მ. ჰიუზი (12), 1:1 ჰესენტალერი (43), 1:2 კერტისი (45ს.კ.)

### ქრიუ 1:0 შეფილდ უენსდი

1:0 რივერსი (81)

### კრ. პალასი 2:2 სტოკპორტი

0:1 უილბრემი (5), 1:1 ფორსელი (50), 1:2 ფრედინი (67), 2:2 ფორსელი (78)

### ფულემი 2:1 გრიმსბი

1:0 ბოა მორტე (60), 2:0 საჰა (81), 2:1 დონოვანი (87)

### ნორვიჩი 1:2 უიმბლდონი

0:1 ჰართსონი (35), 1:1 რობერტსი (39), 1:2 ფრანცისი (46)

### ნოტინგემი 3:1 ტრანმერი

0:1 ჰილი (3), 1:1 ბარტ-უილიამსი (37პ), 2:1 ფოი (42), 3:1 შიმეკა (63)

### შეფილდ იუნ. 1:0 ბოლტონი

1:0 სანდფორდი (81)

### ვესტ ბრომვიჩი 3:1 პრესტონი

1:0 ჰიუზი (40), 1:1 ანდერსონი (52), 2:1, 3:1 ჰიუზი (63, 89)

### უოტფორდი — ბარნლი

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 19 | 15 | 3 | 1 | 46:13 | 48 |
| უოტფორდი | 18 | 12 | 3 | 3 | 37:19 | 39 |
| ბირმინგემი | 19 | 11 | 4 | 4 | 30:17 | 37 |
| ვესტ ბრომვიჩი | 20 | 11 | 4 | 5 | 27:21 | 37 |
| ბოლტონი | 20 | 10 | 6 | 4 | 31:20 | 36 |
| ბარნლი | 19 | 10 | 5 | 4 | 23:20 | 35 |
| ბლექბერნი | 19 | 10 | 4 | 5 | 30:21 | 34 |
| პრესტონი | 19 | 10 | 4 | 5 | 25:20 | 34 |
| ნოტინგემი | 18 | 10 | 3 | 5 | 29:21 | 33 |
| შეფილდ იუნ. | 19 | 9 | 4 | 6 | 22:20 | 31 |
| უიმბლდონი | 18 | 7 | 6 | 5 | 26:19 | 27 |
| ბარნსლი | 20 | 7 | 4 | 9 | 26:30 | 25 |
| პორტსმუთი | 20 | 5 | 8 | 7 | 22:26 | 23 |
| ჯილინგემი | 20 | 5 | 7 | 8 | 24:31 | 22 |
| ქრიუ | 20 | 6 | 3 | 11 | 15:24 | 21 |
| ვულვზი | 20 | 4 | 8 | 8 | 20:23 | 20 |
| ნორვიჩი | 19 | 5 | 5 | 9 | 18:25 | 20 |
| კრ. პალასი | 19 | 5 | 4 | 10 | 25:30 | 19 |
| ტრანმერი | 20 | 5 | 4 | 11 | 23:32 | 19 |
| უენსდი | 20 | 5 | 3 | 12 | 21:36 | 18 |
| გრიმსბი | 18 | 5 | 2 | 11 | 14:26 | 17 |
| ქუინზ პარკი | 19 | 2 | 10 | 7 | 21:30 | 16 |
| სტოკპორტი | 20 | 3 | 7 | 10 | 24:37 | 16 |
| ჰადერსფილდი | 19 | 1 | 5 | 13 | 12:30 | 8 |

## მეორე დივიზიონი

მე-19 ტური: ბრისტოლი — უიგანი 1:1; კემბრიჯი — სუონსი 3:3; კოლჩესტერი — უიკომბი 0:0; ოლდემი — მილუოლი 0:1; ოქსფორდი — ნოტსი 2:3; პორტვეილი — ლუთონი 3:0; როტერჰემი — პიტერბრო 3:0; სუინდონი — სტოკი 0:3; უოლსოლი — ნორთჰემპტონი 3:0; რექსჰემი — როვერსი 1:0; ბორნმუთი — რედინგი და ბერი — ბრენტფორდი გადაიდო

## მესამე დივიზიონი

მე-19 ტური: ბლექპული — დარლინგტონი 2:1; ბრაიტონი — შრიუსბერი 4:0; კარდიფი — ჰარტლპული 3:2; ჰალიფაქსი — ჩესტერფილდი 2:2; ჰალი — კარლაილი 2:1; კიდერმინსტერი — იორკი 3:1; ლეიტონი — მაკლსფილდი 2:1; ლინკოლნი — ექსეტერი 3:1; სკანთორპი — მენსფილდი 6:0; საუთენდი — ჩელტენჰემი 0:1; ტორკი — ბარნეტი 2:1; როჩდეილი — პლიმუთი გადაიდო

## იტალია

# ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა

VIII ტური

### რომა 1:0 ფიორენტინა

1:0 ბატისტუტა (82)
რომა: ლუპატელი, ძებინა, ალდაირი, ძაგო, კაფუ, ტომაზი, კ. ძანეტი (გიუგო 74), კანდელა, ტოტი (მარკოს ასუნსაო 87), ბატისტუტა, დელვეკიო (მონტელა 67)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი (კიეზა 84), რეპკა, პიერინი, ვანოლი, დი ლივიო, კოისი, კ. ამორუზო (ბრეშანი 54), მარკო როსი (როსიტო 80), რუი კოშტა, ნუნუ გომეში
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
გაფრთხილება: ძანეტი, მარკოს ასუნსაო, ტორიჩელი, ვანოლი, პიერინი, ნუნუ გომეში, ძებინა
65 000 მაყურებელი

### ატალანტა 1:0 ლეჩე

1:0 განცი (45)
განცმა ვერ გაიტანა პენალტი (85, მეკარე)
ატალანტა: პელიცოლი, სივილია, პაგანინი, კარერა, ბელინი, კ. ძენონი, დ. ძენონი, დონატი, ზაური, როსინი (ნაპი 81), განცი (ლორენცი 90)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი, ვიალი, სავინო (კოლონელო 85), ბალერი, ჯორჯეტი, პიანჯერელი (ბედინი 78), კონტიკიო (ოსორიო 69), ტონეტო, კ. ლუკარელი, ვუგრინეცი
მწვრთნელი: ალბერტო კავასინი
18 000 მაყურებელი

### მილანი 1:0 ნაპოლი

1:0 ამბროზინი (43)
მილანი: აბიატი, ჟულიო სეზარი, როკე ჟუნიორი, მალდინი, ჰელვეგი, ამბროზინი, ჯუნტი, კოკო (სერჟინიო 78), ხოსე მარი, ბირჰოფი (გატუზო 78), შევჩენკო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ნაპოლი: მანჩინი, ბალდინი, ფრეზი, ტროისე, პინედა (ჯიო ტედესკო 59), ხუსაინი, მატუზალემი (სესა 75), კიროგა, მაგონი (იანკულოვსკი 84), ნ. ამორუზო, ბელუჩი
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: მაგონი, ხუსაინი, ხოსე მარი
49 436 მაყურებელი

### ბარი 2:1 უდინეზე

1:0, 2:0 მასინგა (65, 76), 2:1 სოსა (90)
ბარი: ჟილე, დე როსა, მაცარელი, ნექროიზი (სიბილანო 58), ბელავისტა, პეროტა, დ. ანდერსონი, მარკოლინი (ს. აიალა 69), მადსენი (მასინგა 60), ოსმანოვსკი, კასანო
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, სოტილი, ძამბონი, ალბერტო (პიზარო 79), ფიორე, ჯანიკედა, იორგენსენი (იაკინტა 68), დიასი, მუცი (ბისგაარდი 85), სოსა
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ჯანიკედა
10 000 მაყურებელი

### იუვენტუსი 2:1 ვერონა

1:0 ტრეზეგე (37), 2:0 ზიდანი (74), 2:1 ადაილტონი (88)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ბირინდელი, მონტერო, იულიანო (ფერარა 74), კონტე, ტაკინარდი, დავიდსი (ონილი 82), პესოტო, ზიდანი, ფ. ინძაგი (ძამბროტა 64), ტრეზეგე
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ვერონა: ფერონი, ოდო, ლაურსენი, აპოლონი, ცვიტანოვიჩი, კამორანეზი (მელისი 62), იტალიანო, მაცოლა, კოლუჩი, მუტუ (ადაილტონი 70), ჯილარდინო (კოსატო 82)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: ტაკინარდი, კოლუჩი, ზიდანი, ჯილარდინო
30 000 მაყურებელი

### პარმა 2:0 ლაციო

1:0 სერჟიუ კონსეისაუ (10), 2:0 ლამუში (90)
პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორიზი, ფ. კანავარო, ფუზერი, ალმეიდა (სენსინი 74), ბოგოსიანი, ლამუში, ფალსინი (ბენარივო 79), სერჟიუ კონსეისაუ, ამოროზო (მიკუ 90)
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, ფავალი, ლომბარდო (ბარონიო 57), დ. ბაჯო (რავანელი 69), სიმეონე (სტანკოვიჩი 57), ნედვედი, კრესპო, სალასი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: ბაჯო, ფავალი, ალმეიდა
გაძევება: ფერნანდუ კოუტუ (86)
24 000 მაყურებელი

### პერუჯა 1:3 ბოლონია

0:1 ბია (2), 0:2 ლოკატელი (39), 0:3 ნერვო (46), 1:3 საუდატი (54)
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა, მატერაცი, მონაკო (გინაზუ 71), ზე მარია, ჯუზეპე ტედესკო, ლივერანი, ბაიოკო, პიერი (ბლაზი 88), ბუჩი (ვრიზასი 46), საუდატი
მწვრთნელი: სერსე კოსმი
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, კასტელინი, ტარანტინო, ნერვო (ბრიოსკი 82), ოლივე, ლიმა (მარესკა 15), ლოკატელი, ოლივეირა (ბინოტო 74), ხულიო კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ზე მარია, ოლივე, ბაიოკო, ლივერანი, მატერაცი
8 000 მაყურებელი

### ვიჩენცა 0:0 ინტერი

ვიჩენცა: სტერჩელე, კარდონე (მაურიციო როსი 85), მარკო აურელიო, დიკარა, სომეზე (კომოტო 75), ფირმანი, ბერნარდინი, კროვარი, დალ კანტო, ტონი, კალონი (ლუიზო 59)
მწვრთნელი: ედუარდო რეია
ინტერი: ფრეი, ჩირილო, ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი, იუგოვიჩი, ფარინოსი, გრეშკო, რეკობა (ზეედორფი 68), ჰაქან შუქური (სიმიჩი 82), ვიერი
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
გაფრთხილება: ბერნარდინი, იუგოვიჩი, კორდობა, დიკარა, ტონი, სომეზე, დალ კანტო, ლუიზო
გაძევება: გრეშკო (79)
14 000 მაყურებელი

### რეჯინა 0:3 ბრეშა

0:1 მარინო (54), 0:2 კალორი (70), 0:3 ესპოზიტო (81)
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, ვარგასი (კანეირა 34), სტოვინი, ბერნინი (პოსანცინი 46), ბრევი, რ. ვერონი (კოცა 46), ძანჩეტა, მორაბიტო, მარაზინა, ბოგდანი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ბრეშა: სრნიჩეკი, პეტრუცი, კალორი, ბონერა (ფ. გალი 61), დიანა, ე. ფილიპინი, ბიზოლი, ა. ფილიპინი, მასიმილიანო ესპოზიტო, მარინო, რ. ბაჯო
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ძანჩეტა, ა. ფილიპინი, დიანა
23 232 მაყურებელი

პიერლუიჯი კოლინა იძულებული შეიქნა, ფეხბურთელები მოედნიდან გაეყვანა. ეს თამაშის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე მოხდა, როდესაც სტუმარმა „ბრეშამ" მასპინძელი „რეჯინას" კარში მესამე გოლი გაიტანა, ხოლო გაავებულმა გულშემატკივრებმა მესამედ დაუშინეს მინდორს ყველაფერი, რაც ხელში მოხვდათ და მიზიდულობის კანონს ექვემდებარებოდა. მას მერე მატჩი აღარ განახლებულა — ტაბლოზე დაუსრულებელი 0:3 დარჩა ანთებული.

პირველი ინციდენტი მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა, როდესაც „ბრეშას" ჩეხ მეკარეს პაველ სრნიჩეკს ტრიბუნიდან ნასროლი მაშხალა მოხვდა. სრნიჩეკი მაინც და მაინც არ დაშავებულა და ამიტომ შეხვედრა განახლდა, თუმცა 70-ე წუთზე, როდესაც „რეჯინამ" მეორე გოლი გაუშვა, მაყურებელმა მოედანი საყოფაცხოვრებო ნივთების ახალი პარტიით აავსო და კოლინა იძულებული შეიქნა, ოთხწუთიანი შესვენება გამოეცხადებინა.

მესამე „რაუნდის" ამბავი კი თავშივე გითხარით, ოღონდ მაშინ ის გამოგვრჩა, რომ ამ ჯერზე პოლიციამ ველარ მოითმინა და საქმეში ჩაერია.

თუმცა ფეხბურთის მოყვარულებს, ვგონებთ, უფრო დასრულებული თამაშების ამბები უნდა აინტერესებდეთ, მით უფრო ისეთის, რომის ოლიმპიურ სტადიონზე რომ გაიმართა. „სტადიო ოლიმპიკოზე" ლიდერმა „რომამ" „ფიორენტინას" უმასპინძლა და იცით, ეს მატჩი რით იყო განსაკუთრებული? ცხადია, იცით — იმით, რომ არგენტინელი ფორვარდის გაბრიელ ბატისტუტას ახალი გუნდი „რომა" მის ძველ გუნდს „ფიორენტინას" მასპინძლობდა. ერთი შეხედვით, სიტყვები — ბატისტუტას ძველი გუნდი „ფიორენტინა" — ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ დიდმა თავდამსხმელმა ფლორენციაში მთელი ცხრა წელიწადი გაატარა, გუნდს სერია B-შიც კი ჩაყვა და მისი ერთგულების გამო ფაქტობრივად უარი თქვა იმ კაშკაშა ჯილდოებზე, უფრო ძლიერ კლუბში თამაში რომ მოუტანდა. ამისთვის რენესანსული ქანდაკებებით დახუნძლულმა ქალაქმა „ბატიგოლს" ძეგლიც კი დაუდგა.

და აი, კვირა საღამოს, მე-8 ტურის ბოლო შეხვედრაში, გაბრიელ ბატისტუტამ „ფიორენტინას" გოლი გაუტანა. ეს გოლი მატჩის ერთადერთი და შესაბამისად, „რომას" გამარჯვებისა გამომდგა — არგენტინელმა 83-ე წუთზე, 25 მეტრიდან მარჯვენა ფეხით შეაგდო ბურთი იქ, სადაც ვერავინ ვერასოდეს წარმოიდგენდა, ამიტომაც გახლდათ ლოგიკური მისი საქციელი: ბატისტუტას არ უზეიმია, ხოლო საფინალო სასტვენის შემდეგ მოედანი გადაკვეთა და ტაში დაუკრა იმ 3 ათას მაყურებელს, რომელიც წლების განმავლობაში აღტაცებული უკრავდა ტაშს „ფიორენტინას" მეტოქეთა კარში გატანილ მის 168 გოლს.

ამრიგად, „რომამ" რვა შეხვედრაში მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა და შესაბამისად, ცხრილის სათავეშია: სამი ქულით უსწრებს ბერგამოს „ატალანტას" და ხუთით მესამე და მეოთხე ადგილებზე მყოფ „უდინეზესა" და „ბოლონიას".

რაც შეეხება სერია A-ს გოლიათებს, მათ შორის [illegible] „იუვენტუსი" [illegible] თეზეა, ლიდერს 6 ქულით ჩამორჩება. მან მე-8 ტურში 2:1 სძლია „ვერონას". ვერონელთა კარში გოლები საფრანგეთის ნაკრების წევრებმა დავიდ ტრეზეგემ და ზინედინ ზიდანმა გაიტანეს.

ტრეზეგე კარლო ანჩელოტიმ ფორმიდან ამოვარდნილი ალესანდრო დელ პიეროს ნაცვლად ათამაშა და მანაც 37-ე წუთზე ალესანდრო ბირინდელის პასით თავური შეაგდო. თუ გახსოვთ, „ვერონა" სწორედ ის გუნდი გახლავთ, რომელმაც გასულ სეზონში შინ დამარცხა ტურინელები და ამით მათ საჩემპიონო ამბიციებს სერიოზული დარტყმა მიაყენა. ამჯერად „იუვენტუსმა" მეტოქეს ყოველმხრივ აჯობა, ბურთი ანგარიშის გახსნის შემდეგაც აკონტროლა და 74-ე წუთზე ზიდანის ჩახვეული ჯარიმით ტაბლოზე 2:0 აანთო.

„ვერონამ" ერთადერთი პასუხი შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გასცა — ადაილტონმა შეაგდო — თუმცა ამის გამო ტურინელებს ხიფათი არ შეხვედრიათ.

მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ განაცხადა: „გუნდში ოთხი თავდამსხმელი მყავს და ყველა მაღალი კლასისაა, ამიტომაც გადავწყვიტე, ყოველ ტურში შევცვალო რომელიმე".

ჩემპიონმა „ლაციომ" კი სეზონში მეოთხე მარცხი იწვნია. პარმაში მისი ძლევის საქმეს დასაბამი ყოფილმა ლაციოელმა სერჟიო კონსეისაუმ დაუდო, ხოლო ფრანგმა საბრი ლამუშიმ წერტილი დაუსვა.

**ბაბუნა ბედია**

REUTERS ფოტო




პარმა — ლაციო 2:0. დინო ბაჯო ალენ ბოგოსიანისა და ყოფილი კლუბის წინააღმდეგ

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რომა | 8 | 7 | 0 | 1 | 20:7 | 13 | 21 | 4 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 12:5 | 7 | 9 |
| 2 | ატალანტა | 8 | 5 | 3 | 0 | 15:6 | 9 | 18 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 10 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 3 | 8 |
| 3 | უდინეზე | 8 | 5 | 1 | 2 | 16:8 | 8 | 16 | 4 | 4 | 0 | 0 | 12:2 | 10 | 12 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 4 | ბოლონია | 8 | 5 | 1 | 2 | 15:9 | 6 | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 8:6 | 2 | 6 |
| 5 | იუვენტუსი | 8 | 4 | 3 | 1 | 12:7 | 5 | 15 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 |
| 6 | პარმა | 8 | 4 | 2 | 2 | 11:7 | 4 | 14 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 7 | მილანი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:11 | 2 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 3 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 |
| 8 | ლაციო | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 2 | 12 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 10 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | -4 | 2 |
| 9 | ინტერი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:10 | 0 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 4 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | -4 | 2 |
| 10 | ლეჩე | 8 | 3 | 2 | 3 | 6:9 | -3 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 4 | 5 | 2 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 7 |
| 11 | ფიორენტინა | 8 | 2 | 4 | 2 | 14:14 | 0 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 10:9 | 1 | 7 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 |
| 12 | პერუჯა | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | -4 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | -4 | 3 |
| 13 | ვიჩენცა | 8 | 2 | 2 | 4 | 9:13 | -4 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | -4 | 3 |
| 14 | ვერონა | 8 | 1 | 4 | 3 | 10:15 | -5 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | -4 | 2 |
| 15 | ბარი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:14 | -8 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 |
| 16 | ბრეშა | 7 | 0 | 3 | 4 | 6:13 | -7 | 3 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 0 |
| 17 | ნაპოლი | 8 | 0 | 3 | 5 | 6:15 | -9 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 2 |
| 18 | რეჯინა | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | -9 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | -7 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (რომა) | 9 |
| შევჩენკო (მილანი) | 7 |
| სოსა (უდინეზე) | 6 |
| ლეანდრო (ფიორენტინა) | 5 |
| ტოტი (რომა) | 5 |

### IX ტური

2 დეკემბერი
პარმა — ატალანტა
ლაციო — რეჯინა
3 დეკემბერი
ბოლონია — ვიჩენცა
ინტერი — იუვენტუსი
ლეჩე — ფიორენტინა
ნაპოლი — ბარი
პერუჯა — რომა
უდინეზე — მილანი
ვერონა — ბრეშა

## სერია B

XIII ტური

### ტრევიზო 1:1 კოზენცა

1:0 მორანტე (59), 1:1 სამპანა (74)

### სიენა 3:1 მონცა

1:0 პაგანო (15), 2:0 მორელო (77), 2:1 ჯანჩი (83), 3:1 ტირიბოკი (90)

### პიაჩენცა 1:1 ანკონა

1:0 ვოლპი (37), 1:1 პარენტე (59)

### ტერნანა 3:1 ვენეცია

1:0, 2:0 გრაბი (10, 66), 2:1 მანიერო (77პ), 3:1 სკენარდი (90)

### ჯენოა 2:1 ტორინო

1:0 ფატორი (16ს.კ.), 1:1 ვენტურინი (25), 2:1 გრიეკო (90)

### კროტონე 3:1 ემპოლი

0:1 დი ნატალე (8), 1:1 პეკორარი (13), 2:1 ჯამპა (52), 3:1 დეფლორიო (83)

### კიევო 0:2 პესკარა

0:1, 0:2 პალმიერი (27პ, 83)

### კალიარი 3:0 ჩიტადელა

1:0 ვილა (5), 2:0 გრასადონია (40), 3:0 ბუზო (45)

### სალერნიტანა — პისტოიეზე

*გადაიდო*

### რავენა — სამპდორია

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოზენცა | 13 | 8 | 3 | 2 | 19:11 | 27 |
| კალიარი | 13 | 6 | 5 | 2 | 24:14 | 23 |
| ვენეცია | 13 | 5 | 7 | 1 | 20:15 | 22 |
| ტერნანა | 13 | 6 | 4 | 3 | 19:15 | 22 |
| კიევო | 13 | 6 | 4 | 3 | 15:11 | 22 |
| ანკონა | 13 | 6 | 3 | 4 | 17:14 | 21 |
| სამპდორია | 12 | 5 | 5 | 2 | 17:12 | 20 |
| კროტონე | 13 | 6 | 2 | 5 | 17:17 | 20 |
| ემპოლი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:15 | 20 |
| პიაჩენცა | 13 | 5 | 4 | 4 | 16:12 | 19 |
| სიენა | 13 | 5 | 4 | 4 | 21:18 | 19 |
| პისტოიეზე | 12 | 4 | 3 | 5 | 14:15 | 15 |
| ჩიტადელა | 13 | 3 | 6 | 4 | 17:20 | 15 |
| სალერნიტანა | 12 | 4 | 2 | 6 | 14:14 | 14 |
| ტორინო | 12 | 3 | 4 | 5 | 13:18 | 13 |
| ტრევიზო | 13 | 3 | 4 | 6 | 13:19 | 13 |
| ჯენოა | 12 | 2 | 5 | 5 | 10:13 | 11 |
| მონცა | 13 | 3 | 1 | 9 | 13:23 | 10 |
| პესკარა | 13 | 1 | 6 | 6 | 11:16 | 9 |
| რავენა | 12 | 0 | 6 | 6 | 12:25 | 6 |

## სერია C1/A

მე-12 ტური: არეცო — კომო 2:1; ბრეშელო — ჩეზენა 3:2; ლეკო — ალბინოლეფე 0:0; ლუმეცანე — ლივორნო 1:1; მოდენა — კარარეზე 1:1; პიზა — ალძანო 2:0; სპეცია — რეჯანა 0:2; ვარეზე — ალესანდრია 1:0. სპალ — ლუკეზე წუხელ გვიან გაიმართა

## სერია C1/B

მე-12 ტური: ატლეტიკო — პალერმო 0:1; აველინო — კატანია 2:0; ბენევენტო — ასკოლი 1:1; დი სანგრო — ვიტერბეზე 1:1; ფერმანა — პეზარო 2:0; ჯულიანოვა — ფ. ანდრია 1:1; აკილა — ნოჩერინა 2:0; ლოდიჯანი — მესინა 1:1; ტორესი — სავოია 2:1

## გერმანია

XIV ტური

### ფრაიბურგი 1:1 ბაიერნი

0:1 იანკერი (18), 1:1 ბუტი (26)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა, კობიაშვილი, კელი, ვილი, ა. ცაიერი, ვ. ბუტი (შერმელი 74), ბაია, რამდანე (ვაისჰაუპტი 90), სელიმი (კულიბალი 74)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ბაიერნი: კანი, სფორცა, ლინკე, კუფური, ფინკი (იერემისი 74), სალიჰამიჯიჩი, ტარნატი (ლიზარაზუ 80), ეფენბერგი, პაულო სერჟიო (ციკლერი 74), იანკერი, ელბერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: კონდე, ბუტი, ბაია, ცაიერი, ეფენბერგი, იანკერი, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, კანი
25 000 მაყურებელი

### კოტბუსი 0:2 კიოლნი

0:1 ტიმი (13), 0:2 ლოტნერი (69)
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, ჰუჯოროვიჩი, ბეეკი, მატიუში (კობილანსკი 74), ვატა, ლატუნდი, მირიუტა, მიჩევსკი (ლაბაკი 64), ჰელბიგი, ფრანკლინი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
კიოლნი: პრიოლი, ჩიკონი, კულმანი, სიჩონე, შპრინგერი, ჟივიორი, კელერი, ლოტნერი, შერცი, კურტი (ა. არველაძე 67), ტიმი (დონკოვი 88)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: კურტი
13 816 მაყურებელი

### ლევერკუზენი 4:2 ლაუტერნი

1:0 ნოივილი (30), 1:1 ხრისტოვი (35), 2:1 კირსტენი (37), 2:2 დომინგუში (66), 3:2 ბალაკი (68პ), 4:2 ნოივილი (86)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ტ. ჰოფმანი, ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, ჰეიდუკი (რეები 82), რამელო, ბალაკი, ნოინდორფი (ვრანიეში 73), ნოივილი, კირსტენი (რინკი 62), ზე რობერტო
მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, რამზი, ჰ. კოხი, შტრასერი (ლოკვენცი 80), გრამოცისი, პეტერსონი, ხრისტოვი, ბუკი (რაიხი 16), ჯორკაეფი, დომინგუში (მარშალი 75), კლოსე
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: ნოინდორფი, ნოვოტნი, კლოსე, პეტერსონი, ხრისტოვი
22 500 მაყურებელი

### ვერდერი 1:0 შტუტგარტი

1:0 აილტონი (77)
ვერდერი: როსტი, ტიკუზუ, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ვიდნერი (კრსტაიჩი 46), აილტსი, ვიკი (ბანოვიჩი 75), ა. ჰერცოგი (მაქსიმოვი 80), ბოდე, პიზარო, აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მაისნერი (გლები 46), სოლდო, ბორდონი, ზაიცი, ენდრესი, კუფი, ბლანკი (ჰოსნი 80), ტიამი (პინტუ 80), ლისტეში, განია
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ჰერცოგი
გაძევება: ლისტეში (90)
26 189 მაყურებელი

### მიუნხენი 0:2 უნტერჰახინგი

0:1 ზდრილიჩი (18), 0:2 ობერლაიტნერი (85)
მიუნხენი: იენჩი, კურცი, ზელიჩი, რისეტი, მიუკლანდი (ბორიმიროვი 46), ტაისი, ჩერნი, ბაიროფკა (ბაიერლე 55), ჰესლერი, მაქსი (ვინკლერი 67), აგოსტინო
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
უნტერჰახინგი: ტრემელი, ჰაბერი, ჰ. ჰერცოგი, ზაიფერტი, შვარცი, ნოვაკი, შტრაუბე, მატიას ციმერმანი, ბრაიტენრაიტერი (ობერლაიტნერი 82), ზდრილიჩი (ჰირში 67), შპიზაკი (რაკლი 73)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კოსტნერი
გაფრთხილება: ბორიმიროვი, ჩერნი, ზელიჩი, აგოსტინო
29 600 მაყურებელი

### ჰანზა 1:0 ჰამბურგი

1:0 არვიდსონი (86)
ჰანზა: პიკენჰაგენი, იაკობსონი, შრიოდერი, იასერი (ლანგე 75), ემარა, ვიბრანი, ლანცი, რიდლევიჩი, ბრანდი (ბაუმგარტი 77), აგალი, არვიდსონი (ოსვალდი 90)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი, ტოფტინგი, სანდმანი (კრუსე 71), პრეგერი, ბარბარესი, მაჰდავიკია (კინცი 62), ჰაინცი (ილმაზი 46), ბესტერი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: ბრანდი, ლანგე, ტოფტინგი, ბარბარესი
14 500 მაყურებელი



ფრაიბურგი — ბაიერნი 1:1. მიუნხენელი ჯოვანი ელბერი ფრაიბურგელ ოუმარ კონდეს გაექცა

REUTERS ფრაიბურგიდან

# ბაიერნი: ფრაიბურგის იოლი

### დორტმუნდი 2:1 ვოლფსბურგი

1:0 რეინა (27), 2:0 ევანილსონი (29), 2:1 აკპობორი (32)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, ი. კოლერი, ოლისე, ევანილსონი, სტევიჩი (ნერლინგერი 87), დედე, რიკენი, ადო (კრონტირისი 80), რეინა, იკპება (ბობიჩი 59)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბილისკოვი, ტომსენი, კრიგერი, ჰენგენი (მუნტიანუ 71), ვოსი (ტ. მარიჩი 62), აკონორი, ვაისერი, კუჰბაუერი, იუსკოვიაკი (რიშე 76), აკპობორი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: კოლერი, კუჰბაუერი, აკონორი
60 500 მაყურებელი

### აინტრახტი 0:4 ჰერტა

0:1 ვან ბურიკი (18), 0:2 კონსტანტინიდისი (21), 0:3, 0:4 პრეეცი (83, 88)
აინტრახტი: ჰაინენი, ხუბჩევი, ბინდევალდი (სობოტჩიკი 46), კრახტი, ვიმერი, შური, პროისი, ბრანკო, ჰელდტი, ფიორტოფტი, რაიხენბერგერი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰერტა: კირალი, რემერი, ვან ბურიკი, შმიდტი, კონსტანტინიდისი, დარდაი (ბ. კოლერი 86), ტრეჩოკი, დაისლერი (მარქსი 88), ჰარტმანი, სვერისონი, პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: შური, დარდაი, პრეეცი
გაძევება: პროისი (64)
32 000 მაყურებელი

### შალკე 2:1 ბოხუმი

1:0 მულდერი (37), 1:1 მარიჩი (48), 2:1 სანდი (63)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ვან ჰუგდალემი, ნემეცი, ბიომე (ბიუსკენსი 84), ასამოა (მიკოლაიჩაკი 80), მიოლერი, სანდი (მ ელდი 90), მულდერი
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
ბოხუმი: ვან დუინოვენი, რისტაუ, მამიჩი, მილინოვიჩი (ფარენჰორსტი 43), შინდცილორცი, მანდრეკო (მაიხელბეკი 34), ფრაერი, ბასტურკი, ბაკლი, დრინჩიჩი (ბალუშინსკი 71), მ. მარიჩი
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
გაფრთხილება: ვან ჰუგდალემი, ბიომე, მულდერი, მანდრეკო
41 719 მაყურებელი

შაბათს „ფრაიბურგი“ ერთი ქართველით მიუნხენის „ბაიერნს“ დაუხვდა და ფრედ 1:1 ითამაშა. ამ მატჩმა საბოლოოდ უპასუხა ბოლო დროს გერმანიაში ერთობ აქტუალურ კითხვას — არის თუ არა „ბაიერნი“ კრიზისში.

„ეს კრიზისია. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ გუნდს გამარჯვება უჭირს. უპირველეს ყოვლისა, თამაშის ხარისხით ვარ უკმაყოფილო. შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგაში ფრანგულ „ლიონს“ კი მოვუგეთ, მაგრამ გუნდმა ვერც მაშინ ითამაშა საკადრისად. სასწრაფოდ რაღაც უნდა შეიცვალოს, რათა კრიზისი დავძლიოთ და უმტკივნეულოდ გადავიტანოთ“ — თქვა ნამატჩევს კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა.

ბოლო სამ ტურში ბავარიელებმა მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვეს. ოტმარ ჰიცფელდის შეგირდებს ჩემპიონატში 4 ნოემბრის მერე აღარ მოუგიათ. რამდენიმე წელია, მიუნხენელები ასეთ მდგომარეობაში არ ყოფილან.

„ფრაიბურგთან“ „ბაიერნმა“ აქტიურად დაიწყო, პირველივე წუთზე გოლცის კართან ხიფათი შექმნა, მერე კი...

მე-11 წუთზე კუფურმა ცაიერის დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან მაკრატელათი გამოიტანა და „ბაიერნი“ ასე იხსნა. „ფრაიბურგმა“ ცუდი დებიუტის შემდეგ ნელ-ნელა გამოასწორა თამაში და მეტოქეს ტოლი არ დაუდო, თუმცა მე-18 წუთზე ანგარიშში მაინც ჩამორჩა: ეფენბერგი-ელბერი-იანკერის კომბინაცია ამ უკანასკნელის სუსტი და ზუსტი შორეული დარტყმით დასრულდა — გოლცმა მხოლოდ თვალი გააყოლა, როგორ შეგორდა ბურთი მარჯვენა კუთხეში. დამთავრდა ჩვენი საქმეო, იფიქრა, ალბათ, ტრიბუნაზე მოკალათებულმა 25 ათასმა ქომაგმა, მაგრამ მალე ორიოდე კვირის წინ „დორტმუნდიდან“ გადმოყვანილმა რუსმა ვლადიმირ ბუტმა გულშემატკივრებს იმედი ჩაუსახა — ჯარიმიდან მოჭრილი დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა და წონასწორობაც აღდგა. ისე, იმ ჯარიმის შესასრულებლად კობიაშვილი ემზადებოდა, მაგრამ ბუტმა, მე დამარტყმევინეო, სთხოვა.

ამის შემდეგ „ბაიერნი“ უტევდა, მაგრამ ეს ცუდად გამოსდიოდა, „ფრაიბურგს“ საკუთარი კარისკენ მიმავალი გზები საიმედოდ გადაეკეტა. მეორე ნახევარში შეტევისას სტუმრები ხშირად აშიშვლებდნენ დაცვას, მაგრამ...

ვერ გეტყვით, რატომ აითვალწუნა მასპინძელთა თავკაცმა ფოლკერ ფინკემ ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი. ფინკემ ისინი წინა მატჩის მსგავსად სათადარიგოებში დასვა და მინდორზე არც მოგვიანებით შეიყვანა. არადა, მეორე ნახევარში აშკარად ჩანდა, გუნდს იაშვილი სჭირდებოდა. ფინკემ ძირითადში სელიმი — რამდანეს დუეტი განამწესა, მეორე ნახევარში კიდევ ერთი თავდამსხმელი, კულიბალიც ათამაშა. სამივე მათგანს კაპიკის საქმე არ გაუკეთებია. იაშვილი მატჩს მოიგებდაო, ამას ვერ ვიტყვით, მაგრამ თამაშის შემხედვარე ცხადი იყო, ქართველი ფორვარდის მინდორზე გაყვანით თუ არაფერი გაკეთდებოდა, არც არაფერი დაშავდებოდა. მალიმალ გახედავდა ხოლმე მინდვრის კიდეზე მოვარჯიშე იაშვილი ფინკეს, ეგებ მიხმოსო, მაგრამ მწვრთნელს ეს აზრადაც არ მოსვლია.

„სეზონში ორი იოლი მატჩი გვაქვს. ეს „ბაიერნთან“ შეხვედრებია. იმიტომ რომ ამ გუნდთან დასაკარგი არაფერი გვაქვს: რომ წავაგოთ, არავინ დაგვძრახავს, ამიტომაც თავისუფლად ვთამაშობთ-ხოლმე. დღევანდელი ჩვენი კარგი თამაში ამის ბრალიცაა. ისე, პირველ ოც წუთში „ბაიერნი“ ბრწყინვალე იყო. მერე თამაში ჩვენც გამოვასწორეთ და ვფიქრობ, მატჩი ლოგიკურად დასრულდა“ — განაცხადა შედეგით კმაყოფილმა ფინკემ.

ჰიცფელდმა კი ორი ქულის დაკარგვა მსაჯს დააბრალა, ის ჯარიმა არ უნდა დაენიშნა, წესები არ დარღვეულაო.

„ბაიერნისგან“ განსხვავებით, მოიგო პირველი ხუთეულის დანარჩენმა ოთხმა წარმომადგენელმა.

ლიდერმა „ლევერკუზენმა“ შინ „კაიზერსლაუტერნს“ უმასპინძლა. თამაში საინტერესო და დაძაბული გამოდგა, მომენტებიც უხვად შეიქმნა და მგონი, არც მათი რეალიზაცია ყოფილა ურიგო. მატჩში ექვსი გოლი გავიდა, აქედან ოთხი მასპინძლებმა გაიტანეს და 4:2-იც მოიგეს. შეხვედრის გმირი ოლივერ ნოივილი გახდა, რომელმაც ჯერ გახსნა ანგარიში, მერე კი წერტილიც დასვა. „ლაუტერნმა“ გაიბრძოლა, ორჯერ ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა. მატჩის შემდეგ მასპინძელთა თავკაც ბერტი ფოგთსს ქომაგებმა ოვაცია მოუწყვეს — „ლევერკუზენში“ მისვლის შემდეგ ეს ფოგთსის პირველი საშინაო მატჩი იყო.

თითქოს იოლი გასეირნება ელოდა „შალკეს“, „ბოხუმს“ რომ მასპინძლობდა. მოულოდნელად სტუმრებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს. „შალკეს“ მხსნელად დანიელი ებე სანდი მოევლინა, რომელმაც საჯარიმოს მისადგომებიდან მარცხენა ფეხით გადამწყვეტი გოლი გაიტანა. მანამდე მულდერს და მარიჩს თითო ბურთი გაეცვალათ. რადგან ეს თამაში პარასკევს იყო, „ლევერკუზენმა“ კი კვირას მოიგო, ბუნდესლიგას ორი დღე „შალკე“ ედგა სათავეში, ოღონდ „ჰერტამ“ შალკელთა ერთპიროვნული ლიდერობა შაბათს ორპიროვნულად აქცია და დამსახურებულადაც — ბერლინელებმა ფრანკფურტში „აინტრახტს“ პატარა გაკვეთილი ჩაუტარეს. არადა, სტუმრებს ბაინლიხი, ვოში, დაეი, ალვეში, რაისი, ვაიტი და სანე ანუ ნახევარ გუნდზე მეტი არ ჰყავდათ. ამიტომაც იურგენ რიობერმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა, ასეთ გამარჯვებაზე ვერც ვიოცნებებდი, შეხვედრის წინ ფრეზეც ყაბულს ვიყავიო.

„აინტრახტი“ მოშლილი იყო. 90 წუთში კირალის სულ ორჯერ თუ შეუქმნა საფრთხე, მაშინაც უშედეგოდ, „ჰერტამ“ კი ოთხჯერ დალაშქრა მასპინძელთა კარი, ორჯერ პირველ ტაიმში და ორჯერაც შესვენების შემდეგ, ოღონდ ვიდრე პრეეცის ჯერი დადგებოდა, კრუგმა „აინტრახტს“ პროისი გაუძევა და ნაკლული დატოვა.

„დორტმუნდი“ — „ვოლფსბურგის“ შეხვედრაში მთავარი მოვლენები პირველ ნახევარში დატრიალდა. მასპინძლებმა კარგად დაიწყეს, მეტოქეს შეუტიეს და ორბურთიანი უპირატესობაც მოიპოვეს. ჯერ რეინამ ჩამოიშორა კრიგერი და ეფექტურად გაიტანა, მერე კი ევანილსონმა დააფასა სტევიჩის გარჯა და სხვაობა გაზარდა. ეგ არის და თავი ქუდში გვაქვსო, გაიფიქრეს დორტმუნდელებმა და უმალ დაისაჯნენ — აკპობორისგან ერთი საპასუხო გოლი მიიღეს. ამის მერე უპირატესობას „ვოლფსბურგი“ ფლობდა, მაგრამ გატანის შანსები „დორტმუნდს“ უფრო ჰქონდა. საბოლოოდ არაფერი შეცვლილა — 2:1.

...21 ოქტომბერს არჩილ არველაძის „კიოლნი“ „ვოლფსბურგს“ ესტუმრა და 0:6 შერცხვა. შედეგად კიოლნელები მე-16 ადგილზე აღმოჩნდნენ. გუნდიდან ევალდ ლინენის გაშვებაზეც ალაპარაკდნენ. მას მერე ბუნდესლიგაში ხუთი ტური გაიმართა, აქედან „კიოლნმა“ ოთხი მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და მეექვსე საფეხურზეც წამოსკუპდა. გუნდის პროგრესი აშკარაა, თუმცა სამწუხაროდ, ამაში არველაძეს არცთუ დიდი წვლილი მიუძღვის. ქართველს კარგა ხანს ტრავმა აწუხებდა, ახლა გამოჯანმრთელდა და ბოლო ორი მატჩია, შეცვლებზე თამაშობს. ახლაც, სტუმრად „კოტბუსთან“ 2:0 მოგებულ მატჩში, არჩილი 67-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე, როცა სტუმრები 1:0-ს იგებდნენ, სამ წუთში კი საბოლოო შედეგიც დააფიქსირეს. ამ მატჩზე კიდევ იმას გეტყვით, რომ კოტბუსელთაგან მეკარე პიპლიცას გარდა „კიკერისგან“ 4,5-ზე კარგი შეფასება არავის მიუღია. „კიოლნი“ იმდენად დიდ უპირატესობას ფლობდა, რომ...

„უკმაყოფილო ვარ. ამდენ მომენტს რომ შექმნი, 2:0-ს არ უნდა დასჯერდე“ — თქვა ლინენმა ნამატჩევს.

**ვანო ოქრობირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლევერკუზენი | 14 | 8 | 4 | 2 | 22:14 | 8 | 28 | 7 | 5 | 1 | 1 | 11:4 | 7 | 16 | 7 | 3 | 3 | 1 | 11:10 | 1 | 12 |
| 2 | შალკე | 14 | 8 | 3 | 3 | 31:14 | 17 | 27 | 7 | 5 | 2 | 0 | 15:5 | 10 | 17 | 7 | 3 | 1 | 3 | 16:9 | 7 | 10 |
| 3 | ჰერტა | 14 | 9 | 0 | 5 | 32:21 | 11 | 27 | 7 | 6 | 0 | 1 | 21:8 | 13 | 18 | 7 | 3 | 0 | 4 | 11:13 | -2 | 9 |
| 4 | ბაიერნი | 14 | 7 | 2 | 5 | 30:18 | 12 | 23 | 7 | 5 | 0 | 2 | 20:9 | 11 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 10:9 | 1 | 8 |
| 5 | დორტმუნდი | 14 | 7 | 2 | 5 | 22:24 | -2 | 23 | 7 | 4 | 0 | 3 | 9:10 | -1 | 12 | 7 | 3 | 2 | 2 | 14:13 | 1 | 11 |
| 6 | კიოლნი | 14 | 6 | 3 | 5 | 26:25 | 1 | 21 | 7 | 5 | 1 | 1 | 20:10 | 10 | 16 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:15 | -9 | 5 |
| 7 | ლაუტერნი | 14 | 6 | 2 | 6 | 19:20 | -1 | 20 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:13 | -4 | 7 |
| 8 | აინტრახტი | 14 | 6 | 2 | 6 | 19:21 | -2 | 20 | 7 | 5 | 1 | 1 | 15:6 | 9 | 16 | 7 | 1 | 1 | 5 | 4:15 | -11 | 4 |
| 9 | ვოლფსბურგი | 14 | 4 | 6 | 4 | 29:21 | 8 | 18 | 7 | 3 | 4 | 0 | 20:9 | 11 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 9:12 | -3 | 5 |
| 10 | ჰამბურგი | 14 | 5 | 3 | 6 | 30:27 | 3 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 16:9 | 7 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 14:18 | -4 | 5 |
| 11 | ჰანზა | 14 | 5 | 3 | 6 | 12:22 | -10 | 18 | 7 | 2 | 3 | 2 | 5:9 | -4 | 9 | 7 | 3 | 0 | 4 | 7:13 | -6 | 9 |
| 12 | ვერდერი | 14 | 4 | 5 | 5 | 18:20 | -2 | 17 | 7 | 3 | 3 | 1 | 12:8 | 4 | 12 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | -6 | 5 |
| 13 | უნტერჰახინგი | 14 | 4 | 5 | 5 | 17:22 | -5 | 17 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:8 | 2 | 12 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:15 | -8 | 5 |
| 14 | ფრაიბურგი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:18 | -2 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:5 | 7 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 4:13 | -9 | 5 |
| 15 | მიუნხენი | 14 | 3 | 6 | 5 | 17:23 | -6 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:12 | -4 | 8 | 7 | 1 | 4 | 2 | 9:11 | -2 | 7 |
| 16 | შტუტგარტი | 14 | 3 | 5 | 6 | 20:25 | -5 | 14 | 7 | 3 | 4 | 0 | 15:10 | 5 | 13 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:15 | -10 | 1 |
| 17 | კოტბუსი | 14 | 4 | 2 | 8 | 15:26 | -11 | 14 | 7 | 4 | 0 | 3 | 9:9 | 0 | 12 | 7 | 0 | 2 | 5 | 6:17 | -11 | 2 |
| 18 | ბოხუმი | 14 | 3 | 3 | 8 | 11:25 | -14 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:12 | -4 | 8 | 7 | 1 | 1 | 5 | 3:13 | -10 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 12 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 9 |
| აგოსტინო (მიუნხენ 1860) | 9 |

### XV ტური

1 დეკემბერი
უნტერჰახინგი — ვერდერი
2 დეკემბერი
კიოლნი — მიუნხენ 1860
შტუტგარტი — დორტმუნდი
ვოლფსბურგი — შალკე
ბოხუმი — აინტრახტი
ჰერტა — ფრაიბურგი
ბაიერნი — ლევერკუზენი
3 დეკემბერი
ლაუტერნი — ჰამბურგი
კოტბუსი — ჰანზა

## მეორე ბუნდესლიგა

XIV ტური

### ალემანია 0:4 ჰანოვერი

0:1 დინზეი (12), 0:2, 0:3 შტეფული (19, 30), 0:4 შიმაკი (72)

### როიტლინგენი 8:2 ზაარბრიუკენი

1:0 ლაპაჩინსკი (31), 2:0 მალხოვი (33), 3:0 ფრომერი (45), 4:0 იანიჩი (50), 4:1 ხოჯი (57), 5:1 ფრომერი (64), 6:1 ლექსა (70), 7:1 მალხოვი (74), 8:1 დიაპა (79), 8:2 ხოჯი (89)

### დუისბურგი 0:0 ფიურტი

### არმინია 1:2 მიონხენგლადბახი

1:0 ვიშნიარეკი (43), 1:1 დემო (77), 1:2 ვან ჰუდტი (81)

### ალენი 1:0 ულმი

1:0 ბელა (5)

### ნიურნბერგი 2:1 ობერჰაუზენი

1:0 შტოილასი (43პ), 2:0 გომისი (79), 2:1 ტობორგი (82)

### კიკერსი 4:0 ქემნიცი

1:0 სილვინიო (43), 2:0 კამერლე (61), 3:0 ბლესინი (64), 4:0 კამერლე (71)

### ვალდჰოფი 2:0 ოსნაბრუკი

1:0 მაიერი (80), 2:0 კიზუ (86)

### ზანქტ პაული — მაინცი

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 14 | 11 | 3 | 0 | 29:10 | 36 |
| ჰანოვერი | 14 | 8 | 4 | 2 | 28:12 | 28 |
| ზანქტ პაული | 13 | 7 | 3 | 3 | 32:21 | 24 |
| როიტლინგენი | 14 | 7 | 3 | 4 | 34:27 | 24 |
| ფიურტი | 14 | 5 | 5 | 4 | 22:16 | 20 |
| ობერჰაუზენი | 14 | 6 | 2 | 6 | 21:19 | 20 |
| ვალდჰოფი | 14 | 5 | 5 | 4 | 20:21 | 20 |
| გლადბახი | 14 | 4 | 7 | 3 | 22:18 | 19 |
| ალემანია | 14 | 5 | 4 | 5 | 19:21 | 19 |
| ზაარბრიუკენი | 14 | 5 | 4 | 5 | 23:30 | 19 |
| ალენი | 14 | 4 | 6 | 4 | 21:25 | 18 |
| დუისბურგი | 14 | 4 | 5 | 5 | 18:17 | 17 |
| არმინია | 14 | 4 | 4 | 6 | 19:20 | 16 |
| ულმი | 14 | 4 | 2 | 8 | 17:21 | 14 |
| მაინცი | 13 | 3 | 4 | 6 | 13:19 | 13 |
| კიკერსი | 14 | 2 | 6 | 6 | 11:19 | 12 |
| ოსნაბრუკი | 14 | 2 | 4 | 8 | 12:25 | 10 |
| ქემნიცი | 14 | 2 | 3 | 9 | 12:32 | 9 |

## ესპანეთი

### XII ტური

**ვალიადოლიდი 2:1 სოსიედადი**

1:0 ხესუსი (4), 2:0 გარსია კალვო (40), 2:1 დე პაულა (90)
ვალიადოლიდი: ბიზარი, ტორეს გომესი, გარსია კალვო, პაინცე, მარკოსი, ფერნანდო სალესი, ხესუსი (კამინერო 69), ეუსებიო (ჩემა 90), ანტონიო ლოპესი, ჩირიჩი (რიკეტი 49), კავიედესი
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
სოსიედადი: ალბერტო, ფუენტესი, კორინო, პიკაპება, ლოპეს რეკარტე, ვეგა, არანბურუ, იდიაკესი (ხაურეგი 64), დე პედრო (არანსაბალი 70), ხოხლოვი (დე პაულა 46), იანკაუსკასი
მწვრთნელი: პერიკო ალონსო
12 000 მაყურებელი

**ბარსელონა 2:0 ოსასუნა**

1:0 კლუივერტი (67), 2:0 სერხი (90)
ბარსელონა: დუტრუელი, რაიციგერი (რივალდო 46), აბელარდო, ფ. დე ბური, სერხი, ხავი, ხერარდი (კოკუ 74), სიმაო, ლუის ენრიკე, ოვერმარსი (ალფონსო 88), კლუივერტი
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ოსასუნა: ნუნო, იანგუსი, კრუჩაგა, ივან პერესი, მატეო, ოკიო, არპონი (ანხელ ლუისი 75), ალექსი, ლეკუმბერი (ივან როსადო 79), მოა (პალასიოსი 54), საბინო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ლეკუმბერი, მატეო, აბელარდო, არპონი, ხერარდი
40 000 მაყურებელი

**მალიორკა 2:1 ვილიარეალი**

0:1 მარიონი (10), 1:1 მარკოსი (57), 2:1 ნოვო (63)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ოლაიზოლა, ფერნანდო ნინიო, ნადალი, კარერასი, ფინიდი (არმანდო 68), ენგონგა (ნოვო 57), მარკოსი, სტანკოვიჩი (ეტოო 51), იბაგასა, ლუკე
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, გალვანი, კიკე ალვარესი, უნაი, არუაბარენა, ლოპესი (კრაიოვიანუ 67), კანია, გარსია, გაიტანი (კალეხა 52), მარიონი (ბერუე 43), ვიქტორი
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
გაფრთხილება: კანია, გაიტანი, კრაიოვიანუ, ვიქტორი, კარერასი, ნოვო, ოლაიზოლა
გაძევება: კიკე ალვარესი (42), გალვანი (89)
15 000 მაყურებელი

**ბილბაო 4:2 რაიო ვალეკანო**

1:0 ურსაისი (5), 1:1 კევედო (10), 2:1 დე კინტანა (14ს.კ.), 3:1 გერერო (35), 3:2 კევედო (64), 4:2 გერერო (87)
ბილბაო: ლაფუენტე, ლაკრუსი, ალკორტა, ლარასაბალი, ლარაინსარი, ურუტია, ფელიპე, ხავი გონსალესი (იესტე 76), ხ. ეჩებერია, გერერო, ურსაისი (ტიკო 90)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ალკასარი, დე კინტანა, ბალესტეროსი, მინგო (მაურო 46), პოშნერი, კევედო, მიჩელი, ივან იგლესიასი (გლაუჩიო 67), ბოლო, პაბლო სანსი (ბოლიჩი 46)
მწვრთნელი: ხუან დე რამოსი
გაფრთხილება: მინგო, ივან იგლესიასი, დე კინტანა, მაურო, ურსაისი
30 000 მაყურებელი

**ნუმანსია 0:1 ლას პალმასი**

0:1 ხორხე (48)
ნუმანსია: ნუნიესი, მანელი, ხაუმე, გუსტავო, პირი, ინიაკი, ნაგორე (პაჩეტა 52), მარინი, როსუ (ბარბუ 52), რუბენ ნავარო, ოხედა (დელგადო 73)
მწვრთნელი: ფრანსისკო ერერა ლორენსო
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ედუ ალონსო, ალვარო, შურერი, პაკუი, ანხელი, ხორხე, ხაიმე, მოლინა, ხოსიკო (პაკიტო 79), გიარე (ელოი 79), ორლანდო (რამონი 72)
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
გაფრთხილება: ალვარო, ედუ ალონსო, ინიაკი, ბარბუ, ხაუმე, მანელი
8 000 მაყურებელი

**დეპორტივო 1:0 სელტა**

1:0 ჯალმინია (76)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, დონატო, ნაიბეტი, კაპდევილა (რომერო 72), ემერსონი, მაურო სილვა, ვიქტორ სანჩესი, ვალერონი (ჯალმინია 57), ტურუ ფლორესი (მაკაი 70), დიეგო ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
სელტა: პინტო, ნოგეროლი, კოირა (ხესული 82), კასერესი, იაგო, ტომასი, დორივა, კარპინი, მოსტოვოი (ვაგნერი 84), გუსტავო ლოპესი, კატანია (პაბლო 68)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: კასერესი, დორივა, გუსტავო ლოპესი, კოირა, კარპინი, ტურუ ფლორესი, დონატო, მაურო სილვა
34 000 მაყურებელი

**რასინგი 1:2 ესპანიოლი**

0:1 არტეაგა (31პ), 0:2 ტამუდო (53), 1:2 რუშფელდტი (78)
რასინგი: სებალიოსი, პინედა, მელბერგი, არსენო, სიეტესი, ესტევესი (რუშფელდტი 62), ხაიმე (მორანი 55), ესპინია, ამავისკა, ბესჩასტნიხი (ვივარ დორადო 70), პრესიადო
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
ესპანიოლი: მორა, კრისტობალი, სოლდევილა, პოჩეტინიო, ტოლედო, ნავასი, მორალესი, სერხიო, არტეაგა, სერანო (მარტინ პოსე 58), ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: პრესიადო, არსენო, პოჩეტინიო, კრისტობალი, სერხიო
14 000 მაყურებელი

**მალაგა 3:1 ალავესი**

1:0 დარიო სილვა (14), 2:0, 3:0 დელი ვალდესი (45, 83), 3:1 იბონ ბეგონია (89)
მალაგა: კონტრერასი, ლარაინსარი, ბრავო, ვალკარსე, რუფეტე, დე ლოს სანტოსი, მოვილია, აგოსტინო (როხასი 61), ზარატე (ისნატა 61), დელი ვალდესი, დარიო სილვა (სანდრო 80)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ალავესი: ერერა, კონტრა, კარმონა, ეგენი, ჟელი, ასტუდილიო, დესიო (ივან ალონსო 56), ტომიჩი, მაგნო (იბონ ბეგონია 56), კრუიფი (მარიო 70), ხავი მორენო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: დე ლოს სანტოსი, ლარაინსარი, დარიო სილვა, ეგენი
12 000 მაყურებელი

**ვალენსია 2:0 ოვიედო**

1:0 მენდიეტა (49პ), 2:0 კილი გონსალესი (63)
მენდიეტამ ვერ გაიტანა პენალტი (6, მეკარე)
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, აიალა, პელეგრინო, ჟუკიჩი, კილი გონსალესი (ვისენტე 73), ალბელდა, ბარახა, მენდიეტა, ანგულო (ილიე 78), კარეუ
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ოვიედო: ესტებანი, კეიტა, დანჯუ, მარტინოვიჩი, ივო (რაბარივონი 46), ამიევა (რუბენი 56), ტომიჩი, ბანგო, რუბენ რეისი (ივან ანია 66), ლოსადა, ოლი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: ივო, ალბელდა
45 000 მაყურებელი

**რეალი — სარაგოსა**

*გაიმართება 2001 წლის 24 იანვარს*

# შორი, უფრო შორი, უშორესი


REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია — ოვიედო 2:0. ოვიედოელი მილან მარტინოვიჩი (მარცხნივ) და მასპინძელთა ნორვეგიელი იონ კარეუ ბურთისთვის იბრძვიან

„ოვიედო“ ერთადერთ გუნდად რჩება პრიმერადივიზიონში, სტუმრად ერთი გოლიც რომ არ გაუტანია, „ვალენსია“ კი მშობლიურ „მესტალაზე“ ჯერ არ დამარცხებულა. ამ გუნდების შეხვედრაც დამკვიდრებული ჩვეულებისამებრ წარიმართა — ექტორ რაულ კუპერის შეგირდებმა იოლად დაჯაბნეს მეტოქე და თუ პირველ გოლამდე 51 წუთი მოუხდათ ლოდინი, ეს გაისკა მენდიეტას ბრალია, რომელმაც მეექვსე წუთზე პენალტი გააფუჭა. მოგვიანებით ვალენსიელთა კაპიტანმა მაინც დაამტკიცა, რომ თერთმეტი მეტრიდან ზუსტად დარტყმა არ დავიწყებია, ხოლო კილი გონსალესმა ბევრად შორი მანძილიდან — 30 მეტრიდან დალაშქრა ანდრეს ესტებანის კარი, თუმცა ეს არ ყოფილა ტურის უშორესი მანძილიდან გატანილი ბურთი.

„ოსასუნასთან“ მატჩში ლორენს სერა ფერერმა საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო — რივალდო და ფილიპ კოკუ სათადარიგოთა სკამზე დასვა. მათ არყოფნაში კარგად ირჯებოდნენ ლუის ენრიკე და მარკ ოვერმარსი, თუმცა კატალონიელთა შეტევებს სიმწვავე მაინც აკლდა. ამიტომაც იყო, რომ გულშემატკივრებმა სტვენა ატეხეს და მწვრთნელმა მეორე ტაიმში რივალდო იხმო. ამასობაში ქომაგები სულ უფრო და უფრო შფოთავდნენ, ისევე როგორც ფეხბურთელები — ნერვიულობდნენ: დაძაბულობა პატრიკ კლუივერტმა განმუხტა, როცა ზუსტად გამოიყენა ხერარდის პასი. ჰოლანდიელს რამდენიმე მომენტი კიდევ ჰქონდა, მაგრამ მეტად ველარ იხეირა. ბოლო წუთზე კი ბრწყინვალე გოლი შეაგდო სერხიმ — მან შენიშნა, რომ მეკარე ნუნუ სიმოეში წინ იყო გამოსული და 40 მეტრიდან ბურთი კარის ბადეში გააზვია, თუმცა არც ეს ყოფილა ტურის უშორესი მანძილიდან გატანილი ბურთი.

პრიმერადივიზიონში ორი გალისიური გუნდი თამაშობს — „დეპორტივო“ და „სელტა“. ამათი დაპირისპირება იქაურთათვის უდიდესი მოვლენაა. ერთი წლის წინ ამ გუნდების შეხვედრა ლა კორუნიაში მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა — 1:0 და ახლაც იგივე შედეგით მორჩა. თამაში, როგორც დერბის ეკადრება, დაძაბული გამოდგა, მაგრამ დაძაბულობამ შესრულების ხარისხი შეიწირა. ბრწყინვალე ტექნიკა, ფაქტობრივად, ერთადერთ ეპიზოდში გამოვლინდა და ისიც გოლით დასრულდა — შეცვლაზე შესულმა ჯალმინიამ ქუსლით დაარტყა და ბურთი მეტად უცნაური ტრაექტორიით შევარდა კარში.

გახსნილი ფეხბურთი ითამაშეს ბილბაოში „ატლეტიკმა“ და „რაიო ვალეკანომ“. უკვე მეხუთე წუთზე ისმაილ ურსაისმა გახსნა ანგარიში და ექვსი წუთის შემდეგ ხოსება ეჩებერიას კარის გასწვრივ ჩაწოდებული ბურთი სერხიო ბალესტეროსმა საკუთარ კარში ჩაჭრა. მერე დუბლი შეასრულეს იულენ გერერომ და ხოსე მარია კევედომ, მაგრამ საბოლოო შედეგის თვალსაზრისით გერეროს გოლები უფრო ფასეული გამოდგა. ამ გამარჯვებამ ბასკები ოდნავ აარიდა სახიფათო ზონას, ხოლო მადრიდელებს წაგებამ სამეულში მოხვედრის შესაძლებლობა წაართვა. [illegible] ალვნიშნოთ, რომ მიმდინარე სეზონში გერეროს აქამდე არ გაეტანა.

მესამე ადგილზე გადაბარგების შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან „ალავესმა“. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გასულ ხუთშაბათს უეფას თასზე „რუსენბორგთან“ მატჩის შემდეგ ვიტორიელები გადაღლილები იყვნენ, რამაც „მალაგას“ საქმე ერთიორად გაუადვილა. ორი გოლი გაიტანა პანამელმა ხულიო დელი ვალდესმა, რომელმაც ბომბარდირთა დავაში ერთბაშად შვიდ კაცს გადაუსწრო და მხოლოდ ხავი მორენოს ჩამორჩება.

წინა ტურში „მალიორკას“ ოთხმატჩიანი მოგებათა სერია შეაწყვეტინეს და მანაც ახლა „ვილიარეალზე“ იყარა ჯავრი. თუმცა ისიც სათქმელია, რომ კუნძულელებს ამაში მეტოქეც დაეხმარა, რომელიც მატჩის მიწურულს ცხრა კაცით დარჩა. „ვილიარეალი“ ადრევე დაწინაურდა ბრუნო მარიონის გოლით და უხეშობისთვის კიკე ალვარესის გაძევების მერეღა გატყდა. ხესუს გალვანი კი კამათისადმი გადამეტებულმა სიყვარულმა შეიწირა.

„რეალისა“ და „სარაგოსას“ მატჩი საპატიო მიზეზის გამო 24 იანვრისთვის გადაიდო — მადრიდელები ტოკიოში არიან. მიუხედავად ამისა, „რეალმა“ მაინც შეინარჩუნა მესამე ადგილი.

და ყველაზე შორი მანძილიდან გატანილი გოლი? „ნუმანსია“ — „ლას პალმასის“ შეხვედრაში სტუმართა სასარგებლოდ ჯარიმა დაინიშნა. პირდაპირ კარში დარტყმას თითქოს აზრი არ ჰქონდა — ბურთს 45 მეტრი უნდა ეფრინა...

18 წლის კანარელმა ხორხე ლარენამ კი მაინც დაარტყა.

დაარტყა და „ნუმანსიას“ მწვრთნელი ფრანსისკო ერერა შეიწირა კიდეც — ეს კაცი გუშინ სამსახურიდან დაითხოვეს.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 12 | 7 | 3 | 2 | 23:9 | 14 | 24 | 6 | 5 | 1 | 0 | 15:3 | 12 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 2 | 8 |
| 2 | დეპორტივო | 12 | 7 | 3 | 2 | 21:10 | 11 | 24 | 6 | 5 | 1 | 0 | 12:1 | 11 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 8 |
| 3 | რეალი | 11 | 6 | 2 | 3 | 23:14 | 9 | 20 | 5 | 4 | 0 | 1 | 14:5 | 9 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 8 |
| 4 | მალიორკა | 12 | 6 | 2 | 4 | 14:13 | 1 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 9:5 | 4 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 7 |
| 5 | რაიო | 12 | 5 | 4 | 3 | 25:18 | 7 | 19 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:5 | 8 | 13 | 6 | 1 | 3 | 2 | 12:13 | -1 | 6 |
| 6 | ბარსელონა | 12 | 6 | 1 | 5 | 20:15 | 5 | 19 | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 6 | 13 | 6 | 2 | 0 | 4 | 9:10 | -1 | 6 |
| 7 | ალავესი | 12 | 5 | 3 | 4 | 17:11 | 6 | 18 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:3 | 5 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 1 | 8 |
| 8 | ესპანიოლი | 12 | 5 | 3 | 4 | 12:10 | 2 | 18 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 8 |
| 9 | ოვიედო | 12 | 5 | 2 | 5 | 16:16 | 0 | 17 | 6 | 5 | 1 | 0 | 16:6 | 10 | 16 | 6 | 0 | 1 | 5 | 0:10 | -10 | 1 |
| 10 | სელტა | 12 | 5 | 2 | 5 | 14:14 | 0 | 17 | 6 | 4 | 2 | 0 | 10:4 | 6 | 14 | 6 | 1 | 0 | 5 | 4:10 | -6 | 3 |
| 11 | ლას პალმასი | 12 | 5 | 2 | 5 | 14:23 | -9 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:16 | -8 | 7 |
| 12 | მალაგა | 12 | 4 | 3 | 5 | 18:19 | -1 | 15 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:9 | 3 | 11 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 4 |
| 13 | ვალიადოლიდი | 12 | 3 | 6 | 3 | 13:14 | -1 | 15 | 6 | 3 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 12 | 6 | 0 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 3 |
| 14 | ბილბაო | 12 | 4 | 3 | 5 | 15:19 | -4 | 15 | 6 | 4 | 0 | 2 | 12:10 | 2 | 12 | 6 | 0 | 3 | 3 | 3:9 | -6 | 3 |
| 15 | ვილიარეალი | 12 | 4 | 3 | 5 | 12:17 | -5 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 8 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 7 |
| 16 | სარაგოსა | 11 | 3 | 4 | 4 | 12:12 | 0 | 13 | 6 | 2 | 3 | 1 | 9:6 | 3 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 4 |
| 17 | ნუმანსია | 12 | 3 | 2 | 7 | 13:21 | -8 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | -2 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 8:14 | -6 | 4 |
| 18 | სოსიედადი | 12 | 3 | 2 | 7 | 14:27 | -13 | 11 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:15 | -7 | 5 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:12 | -6 | 6 |
| 19 | რასინგი | 12 | 2 | 4 | 6 | 14:20 | -6 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 8 | 6 | 0 | 2 | 4 | 6:12 | -6 | 2 |
| 20 | ოსასუნა | 12 | 1 | 6 | 5 | 9:17 | -8 | 9 | 6 | 0 | 4 | 2 | 5:8 | -3 | 4 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:9 | -5 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 8 |
| დელი ვალდესი (მალაგა) | 7 |
| რივალდო (ბარსელონა) | 6 |
| მენდიეტა (ვალენსია) | 6 |
| ხუან სანჩესი (ვალენსია) | 6 |
| გუტი (რეალი) | 6 |
| რაული (რეალი) | 6 |
| ვიქტორი (ვილიარეალი) | 6 |
| დიეგო ტრისტანი (დეპორტივო) | 6 |

**XIII ტური**

2-3 დეკემბერი

ვალიადოლიდი — ვალენსია
ოვიედო — მალაგა
ალავესი — ბილბაო
რაიო ვალეკანო — რასინგი
ესპანიოლი — დეპორტივო
სელტა — ბარსელონა
ოსასუნა — რეალი
სარაგოსა — მალიორკა
ვილიარეალი — ნუმანსია
სოსიედადი — ლას პალმასი

## მეორე დივიზიონი

### XIV ტური

**ლეიდა 0:1 ბეტისი**

0:1 გალვესი (76)

**ესტრემადურა 2:1 უნივერსიდადი**

1:0 დ. კარანკა (12პ), 2:0 ხორხე პერესი (17), 2:1 სეკეროსი (47პ)

**ხეტაფე 1:2 ლევანტე**

0:1 ლიმა (5), 1:1 ფაიზულინი (14), 1:2 კაიკუ (71)

**ალბასეტე 2:1 ხაენი**

0:1 პეპელუ (21), 1:1 ხესუსი (32), 2:1 ხავი (90)

**ლეგანესი 3:0 კომპოსტელა**

1:0 ხამესი (32), 2:0 მერინო (47), 3:0 პუნიალი (63)

**სპორტინგი 0:1 ეელვა**

0:1 ჩისკო (3)

**სევილია 3:0 ფეროლი**

1:0 ექტორი (16), 2:0 ლორენ II (18), 3:0 მანუ (81ს.კ.)

**სალამანკა 1:1 ბადახოსი**

1:0 ტოედტლი (69), 1:1 ბრაკამონტე (85)

**მურსია 1:1 ატლეტიკო**

0:1 უგო ლეალი (27), 1:1 ლორეტო (63)

**ეიბარი 3:0 კორდობა**

1:0 ხავი როდრიგესი (46), 2:0 ლორენტე (83), 3:0 არენასა (85)

**ტენერიფე 3:1 ელჩე**

0:1 ნინო (50), 1:1 უგო მორალესი (69), 2:1 ბარატა (79), 3:1 ლუის გარსია (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტენერიფე | 14 | 9 | 3 | 2 | 24:7 | 30 |
| სევილია | 14 | 8 | 3 | 3 | 21:12 | 27 |
| კორდობა | 14 | 7 | 3 | 4 | 13:11 | 24 |
| ეელვა | 14 | 5 | 8 | 1 | 10:5 | 23 |
| ლევანტე | 14 | 5 | 7 | 2 | 21:15 | 22 |
| სალამანკა | 14 | 6 | 4 | 4 | 14:11 | 22 |
| ბეტისი | 14 | 6 | 4 | 4 | 12:10 | 22 |
| ალბასეტე | 14 | 6 | 4 | 4 | 14:13 | 22 |
| ხაენი | 14 | 6 | 3 | 5 | 12:13 | 21 |
| ლეგანესი | 14 | 4 | 8 | 2 | 18:13 | 20 |
| მურსია | 14 | 5 | 5 | 4 | 21:17 | 20 |
| სპორტინგი | 14 | 4 | 6 | 4 | 18:15 | 18 |
| ეიბარი | 14 | 4 | 6 | 4 | 10:9 | 18 |
| ბადახოსი | 14 | 3 | 8 | 3 | 11:13 | 17 |
| ესტრემადურა | 14 | 4 | 5 | 5 | 11:14 | 17 |
| ელჩე | 14 | 4 | 4 | 6 | 17:22 | 16 |
| ხეტაფე | 14 | 4 | 4 | 6 | 16:21 | 16 |
| ატლეტიკო | 14 | 3 | 6 | 5 | 13:15 | 15 |
| კომპოსტელა | 14 | 4 | 2 | 8 | 12:23 | 14 |
| ლეიდა | 14 | 2 | 4 | 8 | 14:21 | 10 |
| ფეროლი | 14 | 2 | 3 | 9 | 12:22 | 9 |
| უნივერსიდადი | 14 | 1 | 4 | 9 | 9:21 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შვეიცარია

### XX ტური

**ქსამაქსი 3:1 ციურიხი**

0:1 ჰელდმანი (24), 1:1 დიოპი (29), 2:1 კამარა (38), 3:1 დიოპი (90)

ციურიხი: პასკოლო, ფიშერი, დელ სინიორი, კვენტინი, პალასი, შელინგა, ჰელდმანი, ბიულმანი, ყაველაშვილი (ოენენი 77), ბარტლეტი, შასო (აკალე 53)

**ბაზელი 5:2 არაუ**

0:1 ვიდერკერი (7), 1:1 კოუმანტარაკისი (24), 2:1, 3:1 ჰუგელი (30, 47), 3:2 ვიდერკერი (54), 4:2 ჩუგა (65), 5:2 ტოლოტი (85)

არაუ: ბენიტო, ფიხტერი (სენი 46), ბადერი, ეგიმანი, პავლიჩევიჩი, ხომერიკი, ჰამჯიჩი, სკრიპჩაკი (იოდიჩე 88), ბალდასარი, ვიდერკერი, დიდი (სალვო 73)

**გრასჰოპერი 1:1 სენტ გალენი**

1:0 შაპუიზა (75), 1:1 დალ სანტო (77)

**სიონი 0:1 ლოზანა**

0:1 მაიერი (35)

**ივერდონი 1:1 ლუგანო**

1:0 გური (16), 1:1 მანინი (75)

**ლუცერნი 0:2 სერვეტი**

0:1 პეტროვი (35), 0:2 რეი (55)

ან „ციურიხი" ან „არაუ", სხვაგვარად ალბათ არ იქნება.

შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა. შეგახსენებთ, მოწინავე რვა გუნდი გაზაფხულზე ჩემპიონობისთვის და საპრიზო ადგილებისთვის გააგრძელებს ბრძოლას, დანარჩენი კი ლიგაში ადგილის შენარჩუნებას შეეცდება.

პირველი შვიდეული ფაქტობრივად ცნობილია, დარჩენილი ერთი საგზურისთვის კი გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხი" და ლევან ხომერიკის „არაუ" იბრძვიან.

კვირას ორივემ წააგო.

ციურიხელები „ქსამაქსს" ჯამარაულის გარეშე ესტუმრნენ — გოჩას ყვითელი ბარათების გამო დისკვალიფიკაცია ჰქონდა. ლიდერის გარეშე დარჩენილ „ციურიხს" თითქოს მაინც არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მთლად უქულოდ დარჩა. არადა, თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, როცა ჰელდმანმა მცველთა შეუთანხმებლობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მასპინძლებმა მალე გაათანაბრეს და მალევე დაწინაურდნენ კიდეც — ჯერ დიოპმა გაიტანა, მერე კამარამ. მეორე ნახევარში „ციურიხს" ცუდად წაუვიდა საქმე. 55-ე წუთზე ბიულმანმა გათანაბრების ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან — პენალტი მეკარემ აულო. სტუმრები ამის შემდეგაც უტევდნენ, მერე კი კონტრშეტევა გაეპარათ, რომელიც დელ სინიორიმ ბოლო იმედის ჯარიმითღა შეაჩერა და გაძევებაც დაიმსახურა. თერთმეტკაციანი „ციურიხი" რას აკეთებდა და ათკაციანს რა უნდა მოეხერხებინა? ვერც ვერაფერი. ეგ კი არა, ბოლოს მესამეც გაუშვა — 1:3.

ასე დაემშვიდობა „ციურიხი" თავის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშე შონ ბარტლეტს. სამხრეთაფრიკელმა, როგორც იცით, პრემიერლიგურ „ჩარლტონთან" გააფორმა კონტრაქტი, კვირას კი შვეიცარიულ კლუბში ბოლო მატჩი ჩაატარა და გუშინ ინგლისს მიაშურა. ისე, გასაკვირი კია, როგორ შეელია „ციურიხის" ხელმძღვანელობა თავდამსხმელს ასეთ გადამწყვეტ მომენტში.

კვირას თავიდან „არაუც" იგებდა, მაგრამ საბოლოოდ დიდი ანგარიშით დამარცხდა. ვიდერკერის ორ გოლს „ბაზელის" ფეხბურთელებმა ხუთით უპასუხეს. მეხუთე გოლისას არაუელებიც ათნი იყვნენ — მსაჯმა შეცვლაზე შესულ სენს 68-ე წუთზე არ აპატია უხეშობა. ხომერიკმა მთელი მატჩი ითამაშა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 20 | 11 | 5 | 4 | 31:15 | 38 |
| სენტ გალენი | 20 | 10 | 7 | 3 | 35:15 | 37 |
| ბაზელი | 20 | 10 | 4 | 6 | 41:31 | 34 |
| გრასჰოპერი | 20 | 10 | 3 | 7 | 41:22 | 33 |
| სერვეტი | 20 | 8 | 6 | 6 | 31:24 | 30 |
| ლოზანა | 20 | 9 | 2 | 9 | 32:32 | 29 |
| სიონი | 20 | 8 | 5 | 7 | 24:30 | 29 |
| ციურიხი | 20 | 6 | 7 | 7 | 31:27 | 25 |
| არაუ | 20 | 6 | 5 | 9 | 27:37 | 23 |
| ივერდონი | 20 | 5 | 5 | 10 | 24:33 | 20 |
| ლუცერნი | 20 | 5 | 3 | 12 | 26:46 | 18 |
| ქსამაქსი | 20 | 5 | 2 | 13 | 20:51 | 17 |

## პოლონეთი

### ლიგის თასი

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

ვისლა — ლეგია 3:1 (1:1); ამიცა — პოგონი 3:2 (5:4)

ნახევარფინალის წილისყრა

ამიცა (ვრონკი) — ვისლა (კრაკოვი); გურნიკი (პოლკოვიცე) (?) — ზაგლებე (ლუბინი)

*მატჩები გაიმართება 2001 წლის აპრილში*

## ფეხბურთის რუკასთან



**სერბი** ფორვარდი პრედრაგ მიატოვიჩი „ფიორენტინადან" წასვლას აპირებს, ვინაიდან მწვრთნელ ფატიჰ თერიმთან ვერ მოაგვარა ურთიერთობა. იუწყებიან, რომ იუგოსლაველს „გალათასარაი" ეპატიჟება, თავად ფეხბურთელი კი აცხადებს: „მიწვევები „გალათასარაის" გარდა სხვა კლუბებიდანაც მივიღე. უახლოეს მომავალში გადავწყვეტ, კარიერას სად გავაგრძელებ". შეგახსენებთ, რომ მიატოვიჩი „ფიორენტინაში" მადრიდის „რეალიდან" ჩაირიცხა. „სამეფო კლუბთან" ერთად მან 1998 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო და ფინალში ერთადერთი გამარჯვების გოლი გაიტანა.

**ინგლისურ „ჩარლტონს" „ინტერიდან" ანსელმო რობიატის და სტეფანო ლომბარდის შეძენა სურს. 30 წლის რობიატიმ კარიერის საუკეთესო წლები „ფიორენტინაში" გაატარა, სადაც ექვს წელიწადს თამაშობდა, მერე ერთხანს „ნაპოლის" ღირსებასაც იცავდა. ახლა იგი „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და სურს კლუბი გამოიცვალოს. სტეფანო ლომბარდი კი 24 წლისაა და „სან სიროზე" წინა სეზონში „ნაპოლიდან" ჩაირიცხა. სააგენტოების ცნობით, ცოტა ხნის წინ მას „ლაციო" ყიდულობდა, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა.**

**ვენესუელას** ნაკრების მწვრთნელი ომარ პასტორიცა თანამდებობიდან გადადგა. ვენესუელელები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ბოლო ადგილზე არიან და 10 თამაშში მხოლოდ 3 ქულა დააგროვეს. ფედერაცია ახალ მწვრთნელს ეძებს, ვინც გუნდი გაისად ბუენოს აირესში ლიდერ არგენტინასთან სათამაშოდ უნდა მოამზადოს.

**რუსული „ტორპედოს" ყოფილი ნახევარმცველი ვლადიმერ იურინი რამენსკოეს „სატურნის" მწვრთნელად დანიშნეს. მან ცოტა ხნის წინ გათავისუფლებული 53 წლის სერგი პავლოვის პოსტი დაიკავა. „სატურნის" ხელმძღვანელებს იმედი ჰქონდათ, რომ ლიგის ექვსეულში მოხვდებოდნენ და გაისად უეფას თასზე ითამაშებდნენ, მაგრამ საბოლოოდ გუნდმა ჩემპიონატი მეცხრე ადგილზე დაასრულა. პავლოვიც ამიტომ დაითხოვეს.**

**იუგოსლაველთა** „ცრვენა ზვეზდას" ფორვარდ გორან დრულიჩს წამყვანი ევროპული კლუბები ეპატიჟებიან, თუმცა ბელგრადული გუნდის ხელმძღვანელობა მის გაყიდვას არ აპირებს. „სხვადასხვა კლუბებმა მოგვმართეს, მაგრამ გორანს არანაირ ფასად არ გავუშვებთ" — აცხადებს „ცრვენა ზვეზდას" დირექტორი დრაგან ჯაიჩი. თავად ფეხბურთელი კი ამბობს: „ფული ჩემთვის მთავარი არ არის. ახლა მაღალი მიზნებისათვის ვიბრძვით და გვსურს, წარმატებას ევროპის მასშტაბით მივაღწიოთ". იუწყებიან, რომ მავანი ესპანური კლუბები სერბებს დრულიჩის სანაცვლოდ 13 მილიონ დოლარს სთავაზობენ.

## საფრანგეთი

### XVII ტური

**სენტ ეტიენი 0:2 ნანტი**

0:1 მოლდოვანი (56), 0:2 ზიანი (80)

**სედანი 0:0 ბორდო**

**ბასტია 3:0 მარსელი**

1:0 ტრევიზანი (43პ.კ.), 2:0 ნე (53), 3:0 ანდრე (77)

**ლილი 1:1 პარი სენ ჟერმენი**

1:0 ბეკი (47პ), 1:1 რობერი (51)

*მატჩი 62-ე წუთზე ავდრის გამო შეწყდა*

**ლანსი 4:3 მონაკო**

1:0 ფუერტესი (10), 1:1 სიმონე (34), 2:1 ფუერტესი (40), 2:2 რული (68პ.კ.), 3:2 საკო (76), 4:2 პიერ-ფანფანი (82), 4:3 სიმონე (90)

**მეცი 1:1 ტულუზი**

0:1 ბონილია (25), 1:1 ბატიკლი (58)

**რენი 0:1 ოსერი**

0:1 კაპო (80)

**ტრუა 0:1 გენგამი**

0:1 ფიორეზე (64)

**სტრასბური 0:3 ლიონი**

0:1 დორასო (16), 0:2 ვერელი (33), 0:3 ანდერსონი (63)

# ერთი გაუშვეს, ერთი მიიღეს

„ასეთია თამაშის წესები" — განაცხადა კვირას „სტრასბურის" აწ უკვე ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა კლოდ ლე რუამ. შაბათს, პირველი წრის ბოლო ტურში შინ „ლიონთან" დიდი ანგარიშით წაგება ლე რუასთვის საბედისწერო აღმოჩნდა. „განთავისუფლებული ვარ. კლუბში არანაირი ფუნქცია აღარ გამაჩნია. სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო ასეთი შედეგების შემდეგ. ახლა გუნდს თავკაცის გამოცვლა სჭირდება. რაც შემეხება მე, ალბათ, ცოტა ხნით დავისვენებ, მერე ახალ სამუშაოს მოვძებნი" — განაცხადა ლე რუამ კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე, „სტრასბურის" პრეზიდენტმა პატრიკ პრუაზიმ კი თავისი გუნდის ქომაგები გალანძღა, წუხელ ლე რუას მანქანას საბურავები დაუხვრიტეს, რაც ნამდვილად ფაშისტური გამოხტომა იყოო. ამჟამად ალზასელებს ცოტა ხნით ივონ პულიკანი გაწვრთნის, მთავარ მწვრთნელად კი პრუაზის პრაღის „სპარტას" თავკაცი ივან ჰაშეკი მიუწვევია. ჩეხი სპეციალისტი, რომელიც „სტრასბურში" 1990-93 წლებში თამაშობდა, თავის პასუხს ფრანგებს ამ კვირაში აცნობებს.

მოკლედ, „სტრასბური" უთავკაცოდ დარჩა. სამაგიეროდ, ორშაბათიდან მარსელის „ოლიმპიკს" გამოუჩნდა ხელმძღვანელი: ბრაზილიელი აბელ ბრაგას მიტოვებული კლუბი ესპანელმა ხავიერ კლემენტემ ჩაიბარა, რომელსაც, ვგონებთ, წარდგენა არ სჭირდება.

სანამ კლემენტე მარსელში ჩავიდოდა, ზღვისპირელებმა მორიგი მარცხი იწვნიეს და კორსიკაზე „ბასტიასთან" შერცხვნენ. სტუმრების განადგურება მათივე მეკარე ტრევიზანმა დაიწყო, მეორე ტაიმში კი ნემ და ანდრემაც გამოიჩინეს თავი. „თუ ფეხბურთელები თავიანთ საქმეს სერიოზულად მოეკიდებიან და ბევრს იშრომებენ, ამ კრიზისს დავძლევთ. ახლა გუნდში მთავარი მე ვარ და გადაწყვეტილებებსაც თავად ვიღებ. ქომაგებს ვპირდები, რომ თამაშსაც გამოვასწორებთ და შედეგებიც უკეთესი გვექნება. და თუ ვინმეს საქმისადმი გულგრილობას შევამჩნევ, უმალ გუნდიდან დავითხოვ" — ეს თქვა ესპანეთის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა კლემენტემ მარსელის აეროპორტში.

სხვა გუნდებში მწვრთნელთა წასვლა-მოსვლა ჯერჯერობით არ შეინიშნება, თუმცა ბოროტი ენები ამბობენ, შინ „ოსერთან" დამარცხებული „რენის" დამრიგებელ პოლ ლე გუენსაც არ უწერია დღევანდელ თანამდებობაზე დიდხანს გაჩერებაო.

ტურის ცენტრალური მატჩი სედანში გაიმართა, სადაც ერთმანეთს ლიდერები შეხვდნენ. „ბორდოს" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი (როში, ალიკარტე, დიუგარი, პაულეტა) აკლდა, მაგრამ მისმა მეკარემ ულრიხ რამემ ბრწყინვალედ ითამაშა და ჟირონდელებს ერთი ქულა მოაპოვებინა. ასე, რომ პირველი წრის ჩემპიონი „ბორდო" გახდა, თუმცა თუ „ნანტი" გამოტოვებულ მატჩს 13 დეკემბერს 3 ბურთის სხვაობით მაინც მოიგებს, „შემოდგომის ჩემპიონის" ტიტულიც მას დარჩება. იმ დღეს გაიმართება „ლილი" — პსჟ-ს შეხვედრაც, რომელიც 62-ე წუთზე თავსხმა წვიმის გამო შეწყდა. ამ დროისათვის ანგარიში 1:1 იყო და თან პარიზელებს ნიკოლა ანელკა ჰყავდათ დაშავებული. საფრანგეთის ნაკრების ფორვარდს ექიმებმა რამდენიმე კვირით იძულებითი შესვენება გამოუწერეს.

გაიოზ თალაკვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 17 | 8 | 6 | 3 | 25:14 | 30 |
| სედანი | 17 | 8 | 5 | 4 | 23:16 | 29 |
| გენგამი | 17 | 8 | 4 | 5 | 20:19 | 28 |
| ნანტი | 16 | 8 | 3 | 5 | 27:19 | 27 |
| ლილი | 16 | 7 | 5 | 4 | 17:11 | 26 |
| პსჟ | 16 | 7 | 4 | 5 | 28:22 | 25 |
| ლანსი | 17 | 6 | 6 | 5 | 21:18 | 24 |
| ბასტია | 16 | 7 | 3 | 6 | 18:17 | 24 |
| ლიონი | 16 | 5 | 8 | 3 | 20:14 | 23 |
| ტრუა | 17 | 6 | 5 | 6 | 20:24 | 23 |
| მონაკო | 17 | 6 | 4 | 7 | 24:23 | 22 |
| ოსერი | 17 | 6 | 4 | 7 | 17:19 | 22 |
| სენტ ეტიენი | 17 | 5 | 6 | 6 | 24:25 | 21 |
| მეცი | 17 | 5 | 5 | 7 | 15:22 | 20 |
| რენი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:18 | 19 |
| მარსელი | 17 | 5 | 3 | 9 | 17:23 | 18 |
| სტრასბური | 17 | 4 | 3 | 10 | 14:36 | 15 |
| ტულუზი | 16 | 2 | 6 | 8 | 14:20 | 12 |



REUTERS

ყოჩაღ, ბიჭო! დიკ ადვოკაატს ტორე ანდრე ფლომ გაუმართლა

# ფლოიანი სულ სხვაა! ძალიან ბნელში დაწერილი

## შოტლანდია

### XVII ტური

**ჰარტსი 3:1 დანდი**

0:1 კარანსა (24), 1:1 მიურეი (53), 2:1, 3:1 კამერონი (88, 90პ)

დანდი: როკატი, სმიტი, დე მარკი, ტვიდი, რაე, კარანსა (მაკკიმინგი 69), არტერო (მილნი 88), ფალკონერი, მაროკო, კანიჯა, ბონეტი

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

11 539 მაყურებელი

**რეინჯერსი 5:1 სელტიკი**

1:0 ფერგიუსონი (34), 1:1 ლარსონი (56), 2:1 ფლო (60), 3:1 დე ბური (68), 4:1 ამორუზო (76), 5:1 მოლსი (85)

რეინჯერსი: კლოსი, კონტერმანი, უილსონი, ლ. ამორუზო, რეინა, რ. დე ბური (თუგაი 86), ფერგიუსონი, ალბერტცი, ნუმანი, მილერი (მოლსი 60), ფლო (მაკკანი 86)

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

სელტიკი: დუგლასი, ბოიდი, ვალგარენი, მიალბი (მაე 46), აგატი, ტომპსონი, პეტროვი, მორავჩიკი (მაკნამარა 46), პეტა, ლარსონი, სატონი (ჯონსონი 86)

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: რეინა, უილსონი, ამორუზო, ვალგარენი, ტომპსონი, სატონი, მაკნამარა

გაძევება: ტომპსონი (64)

50 083 მაყურებელი

**აბერდინი 3:3 მოზერუელი**

0:1 ტოუნსლი (14), 1:1 სტავრუმი (41), 1:2, 1:3 მაკკალოხი (43, 69), 2:3, 3:3 დი როკო (80, 90)

**დანდი იუნ. 3:2 დანფერმლაინი**

1:0 ოკონორი (6), 2:0 ისტონი (43), 2:1 ბიულენი (60), 2:2 მოსი (64), 3:2 მილერი (86პ)

**კილმარნოკი 0:2 სტ. ჯონსტონი**

0:1, 0:2 პარკერი (50პ, 60)

**სენტ მირენი 1:1 ჰიბერნიანი**

0:1 ონილი (7), 1:1 მაკგარი (89)

არ შიათ, არ ცივათ და შუქიც არ ენატრებათ, მაგრამ მაინც უხასიათოდ არიან. უფრო სწორედ, იყვნენ: გუშინწინ „რეინჯერსმა" „სელტიკი" 5:1 დაამარცხა და გაიხარა.

ჩვენს მდგომარეობაში მყოფებმა საცოდავები სხვებს როგორ ვუწოდოთ, თუმცა აბა, „რეინჯერსის" ქომაგებისთვის გეკითხათ გასულ კვირამდე — ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნენ (წყალი შეწყდას ეკვივალენტი), საძულველ „სელტიკს" 15 ქულით ჩამორჩებოდნენ (შუქიც ჩაქრა) და რაც მთავარია, პირველ წრეში იმ არასახსენებელთან 2:6 ჰქონდათ წაგებული (ოო, გაჩერდა ყველა ბლოკი და წაიქცა ყველა ხრამი-1 და ხრამი-2).

ჰოდა, სანამ რეინჯერსელი ფანები „აიბროქსისკენ" მიმავალ გზას გადაკეტავდნენ, ფეხბურთელებს კი ბოლო მოდელის მანქანების საბურავებს დაუწვავდნენ, კლუბის ხელმძღვანელობა აქეთ ეცა, იქით ლონდონს ჩაფრინდა და სქოთური მასშტაბებით არნახულ თანხად ნორვეგიელი ტორე ანდრე ფლო იყიდა.

შუქიც გამოჩნდა. ჯერ მხოლოდ გვირაბის ბოლოსო — წერენ იქაური მიმომხილველები, რომლებიც მართლაც გვირაბში ჯდომის აზრზე ნამდვილად ვერ იქნებიან, თუ ცხადია, „სელტიკს" არ ახლდნენ ამ ხუთიოდე წლის წინ ერთ მზიურ ქვეყანაში.

ფლომ კი კვირას „აიბროქსი" ისე გაანათა, მეტოქეს ლამის თვალთ დაუბნელდა. პირველ სამ წუთში ნორვეგიელსა და რონალდ დე ბურს ორი მომენტი შეექმნათ, თუმცა ანგარიშის გახსნა 34-ე წუთამდე დაყოვნდა, როცა ბარი ფერგიუსონმა ამერიკელი კლაუდიო რეინას პასით იხეირა. წესით, „სელტიკს" სამიოდ წუთში უნდა გაეთანაბრებინა, მაგრამ მსაჯმა იმავე ფერგიუსონის საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაში ვერ შენიშნა.

მარტინ ონილის გუნდმა საპასუხო მაინც გაიტანა — უკიკინოდ დარჩენილმა ჰენრიკ ლარსონმა უგოლოდ დარჩენა არ ისურვა და ალან ტომპსონის კუთხურს თავი შეაგება.

მაგრამ კათოლიკეთა სიხარული თბილისური გრაფიკით ხანმოკლე გამოდგა: ფლომ წინ გაიყვანა ახალი თანაგუნდელები, მსაჯმა კი ცოტა ხანში სტუმარი ტომპსონი მოედნიდან მიაბრძანა. ათკაციან „სელტიკს" დარჩენილ დროში ჰოლანდიელებმაც გაუტანეს და იტალიელმა ამორუზომაც. „ალტერნატივა არ გვქონდა, აუცილებლად უნდა მოგვეგო. ამ გამარჯვებით საკუთარი თავის რწმენა დაგვიბრუნდა" — თქვა თავის პირველივე გლაზგოურ დერბიში გოლი გატანით გახარებულმა რონალდ დე ბურმა.

ფსიქოლოგიურად რეინჯერსელებმა მართლაც გაიუმჯობესეს მდგომარეობა, სატურნირო თვალსაზრისით კი „ოლდ ფირმ დერბის" შედეგს დიდი ცვლილებები არ გამოუწვევია. ეგაა, ორ ბობოლას შორის სხვაობა 12 ქულამდე შემცირდა.

ბოლოს კი იმ ჩვენებურზეც ვთქვათ, ნიჭი და ოსტატობა პირველ რიგში წყვდიადიდან თავის დაღწევაში რომ დაეხმარა: გიორგი ნემსაძეს წინა ტურში მიღებული მცირე ტრავმა „ჰარტსთან" თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაუმიზეზდა. შედეგად, ქართველი არგენტინელი ალბერტო კარანსათი შეცვალეს. „დანდის" დებიუტანტმა ჩინებული ჯარიმით ანგარიშიც კი გაიხსნა, მაგრამ მეორე ტაიმში, განსაკუთრებით ბოლო სამ წუთში, სტუმართა დაცვამ რამდენიმე შეცდომა დაუშვა და დაისაჯა კიდეც.

ჩვენ რაღა შეცდომა დავუშვით, რომ ასე ვისჯებით?

მზეო, ამოდი, ამოდი!

გიგა ძოზახიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 17 | 14 | 2 | 1 | 43:19 | 44 |
| ჰიბერნიანი | 17 | 11 | 4 | 2 | 31:12 | 37 |
| რეინჯერსი | 16 | 10 | 2 | 4 | 36:21 | 32 |
| კილმარნოკი | 17 | 9 | 3 | 5 | 22:17 | 30 |
| ჰართსი | 17 | 7 | 4 | 6 | 28:28 | 25 |
| სტ. ჯონსტონი | 17 | 6 | 5 | 6 | 18:24 | 23 |
| დანდი | 17 | 6 | 4 | 7 | 24:18 | 22 |
| მოზერუელი | 17 | 5 | 4 | 8 | 22:26 | 19 |
| დანფერმლაინი | 17 | 4 | 5 | 8 | 14:22 | 17 |
| აბერდინი | 16 | 3 | 7 | 6 | 17:23 | 16 |
| სენტ მირენი | 17 | 3 | 2 | 12 | 12:33 | 11 |
| დანდი იუნ. | 17 | 1 | 2 | 14 | 11:35 | 5 |